

140
1977

0769 364444
0112 4400330



ՀՈՒՆՎԱԴՐ 6
1977



ნარკიზა
მგელაძე

მ ო ტ ხ რ ო ბ ა

მხატვარი
ზაურ დვისაძე

ერთ დილას რედაქციაში მეზობელ სკოლიდან მოსწავლეები გვეწვივნენ. მაკულატურას აგროვებდნენ. ძველ გაზეთებს, ჟურნალებს; უბის წიგნაკებს, თაბახის ფურცლებს, რასაც ჩვენ უხვად ვაძლევდით, თან მოტანილ ტომრებში აწყობდნენ და დერეფნის ბოლოსკენ მხიარულად მიათრევდნენ.

— თქვენ ხელი გაუშვით, — თავაზიანად ეუბნებოდნენ ბიჭები გოგონებს, — მძიმეა, ჩვენ წავიღებთ.

გოგონებს არ უნდოდათ ბიჭებს ჩამორჩენოდნენ და ტომრებს ხელს არ უშვებდნენ.

— დღეს ჩვენი კლასი რეკორდს დამყარებს, — უხაროდა ფერმკრთალ, შავთვალა გოგონას.

რაკი ზედმეტი ქაღალდები მოვიშორე, გადავწყვიტე, ბარემ გადმომეწმინდა და დამელაგებინა თარო და კარადა. საქმეს შევუდექი.

ქვედა თაროსთან ლურჯყდიანი, მოსწავლის საერთო რვეული შევნიშნე. ასეთ რვეულში რედაქციაში, რა თქმა უნდა, აღარავინ წერს. საიდან გაჩნდა იგი ჩემს თაროზე?

რვეული გადავშალე და მაშინვე მივხვდი, რომ იგი დღიური იყო, მაგრამ ვისი? უცებ გამახსენდა ჩვენი წვლანდელი ნორჩი სტუმრები. ალბათ რომელიმეს რვეული ჩანთიდან ან ჯიბიდან ამოუვარდა და ვერ შევნიშნა. შევწუსდი, როგორ და-

მებრუნებინა პატრონისათვის, როცა ყდაზე სახელი და გვარი არ ეწერა? რაკი არ ვიცოდი, ვის დღიურთან მქონდა საქმე, გაგებდე მისი წაკითხვა.

კითხვამ გამიტაცა.. ძალიან მომეწონა უცნობი ბიჭის ჩანაწერები. ბევრი ვიფიქრე, რა მექნა ამ დღიურისათვის, მერე გადავწყვიტე თქვენთვის გამეცნო ეს ჩანაწერები.

აი, ისინიც:

11 ოქტომბერი

ავადა ვარ.

ექიმი გამოიძახეს.

ჩემი და ნანული ლექციაზე წავიდა, დედა სამსახურშია. ბებიას დაურეკეს, მაგრამ ჯერ არ მოსულა.

ექიმს კარი ისევ მე გაუღე.

— ვინ არის აქ ავად? — მკითხა ექიმმა და მკაცრად შემომხედა.

— მე ვარ, ექიმო! — მივუგე, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა.

— სკოლაში წასვლა ხომ არ დაგეზარა?

— როგორ გეკადრებათ! — ვიწყინე.

— რა გტკივა? — მკითხა ექიმმა და თან ჩანთიდან ფონენდოსკოპი ამოიღო.

— ყელი.

— მომიტანე კოვზი!

სამზარეულოში გავედი და კოვზი გამოვიტანე.

— თქვი: „ა“.

— ააა! — ვთქვი მე.

— აჰა, ანგინა, ჩირქოვანი. ნაყინი მიირთვი?

— არა, ექიმო.

— ამ წამალს სამჯერ გამოვიღებ ყელში. სტრუპტოციდი ორჯერ დღეში. საერთოდ, გლანდები გაქვს ამოსაკვეთი. გულის ძვერას გრძნობ?

— დიახ,

— კუნთები გტკივა?

— მტკივა ხოლმე.

— აი, ხომ ხედავ, ყველაფერი გლანდებისაგან არის. უნდა ამოიჭრა.

— კარგი, ექიმო, ამოვიჭრი.


პიონერი

6
ივნისი
1977

საპარტიულოს ალკა შ.კ.ის ლ. პ. ლანიის
სახელობის პიონერთა ორგანიზაციის
კასპაბლიკური საბჭოს
აშხალთიური საბავშვო ჰანალი

ბამოლის 1926 წლიდან

საქ. კა. შ.კ.ის ბამოხაბლოა



— ჰო, კარგი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ რატომ ხარ ასე სუსტი? ივარჯიშე დიდი დღეებით, ცივი წყალი გადაივლე, გაკაჟდები და არაფერიც აღარ გეტკინება. რა გინდა გამოხვიდე?

— მფრინავი-გამომცდელი, — ვუპასუხე, ცოტა არ იყოს, დარცხვენილმა.

— წარმოიდგინე, ჩემს ბიჭსაც მფრინავობა უნდა, მაგრამ იგი ბევრს ვარჯიშობს, სპორტსმენია. აი, კუნთები!

შემრცხვა, რომ ასე გამხდარი და ბეჭებში მოხრილი ვიყავი.

— ეს წიგნი ჩემი ბიჭისთვის მიმაქვს. დაგიტოვებ, თუ გინდა, ორი დღით. ორი დღის მერე მაინც უნდა გამოგიარო, ყელში ჩაგხედო.

ექიმმა ჩანთიდან წიგნი ამოიღო.

მ. რასკოვა, „შტურმანის ჩანაწერები“, წავიკითხე გარეკანზე.

ექიმს დიდი მადლობა მოვახსენე.

12 ოქტომბერი

სულმოთქმელად წავიკითხე მარინა რასკოვას წიგნი. გამახსენდა ერთი მწერლის ნაამბობი პოლინა ოსიპენკოს შესახებ. პოლინას ჰიდროპლანის წაყვანა უნდოდა, მაგრამ, თავის ნებისყოფის ძალაში რომ დარწმუნებულიყო, გადაწყვიტა ცურვა ესწავლა. მას თურმე ბავშვობიდან პანიკური შიში ჰქონია წყლისა.

ქალმა გადაწყვიტა, თუ ამ შიშს დაეძლევ, მფრინავი გამოვალო.

პოლინა უბრძანებდა, შთააგონებდა თავის თავს, რომ გაეცურა:

— მე არ მეშინია, მე წყალზე ვჩრდები, ესე იგი წყლისა არ მეშინია. მივცურავ, აი, მივცურავ!

ასე დასძლია შიში და ირწმუნა, რომ ასეთი ნებისყოფის მეოხებით შეეძლო თვითმფრინავის შტურვალთან დამჯდარიყო.

სალამოს წიგნი ნანულის ვაჩვენე. მან იმ დამეხვეწა წავიკითხა და დილას მითხრა:

— შესანიშნავი წიგნია. არაფერია იმაზე მშვენიერი, როცა აღამიანი თვითონ ზრდის თავის თავს, თავის ნებისყოფას. ყველა დიდი საქმე თვითაღზრდიდან იწყება.

იყო ერთი ჩინებული პოლონელი პედაგოგი — იანოშ კორჩაკი. აი რა წესებს გვთავაზობს მათთვის, ვისაც გადაუწყვეტია თვითაღზრდის დაწყება:

1. თუ ძალიან გიჭირს, გამოსწორდი არა ერთბაშად, არამედ — თანდათანობით.

2. დასაწყისისათვის მარტო ერთი, შედარებით მცირე ნაკლი ამოირჩიე და ის გამოასწორე.

3. სულთ ნუ დაეცემი, თუ ერთხანს არამცთუ გაუმჯობესება, გაუარესებაც დაატყო საქმეს.

4. ძალიან იოლ პირობასაც ნუ დადებ, ისეთი რამ დათქვი, რომლის შესრულება უკვე გამარჯვებას მოასწავებს.

5. მაინცდამაინც ნუ გაგებარდებ, თუ შეძენილ მანკიერებას ადვილად ასწორებ, თანდაყოლილს კი ძნელად.

იცო, რა ბედი ეწია იანოშ კორჩაკს? შესანიშნავი პედაგოგი და ექიმი, ობოლი ებრაელი ბავშვების თავშესაფარში აღმზრდელად მუშაობდა. ვარშავის ოკუპაციის დროს გერმანელებმა გადაწყვიტეს ბავშვები ტრებლინკის ლუგელში დაეწვათ. კორჩაკს შესთავაზეს მოშორებოდა ბავშვებს. მაშინ ის ცოცხალი გადაორჩებოდა, მაგრამ აღმზრდელმა უარი თქვა ასეთ სიცოცხლეზე და ბავშვებთან ერთად დაიღუპა.

ნანული მომავალი პედაგოგია და, თუ ვინმეს რაიმე ჭკვიანური უთქვამს აღზრდის შესახებ, ყველაფერი ერთ სქელ, მუშამბისყდიან რვეულში აქვს ჩაწერილი. გადავწყვიტე, მეც

შვეუდგე საკუთარი თავის აღზრდას, რადგან ჩემი მიზანი — გავხდე მფრინავი-გამომცდელი — მიუწვდომელია. რადგან თუ არ მოვერთე ჩემს თავს, ჩემს ხასიათს.

რითი დავიწყო?

13 ოქტომბერი

ისევ სიცხე მაქვს.

წუხელ ბევრი ვიფაქრე ჩემს მომავალ საქმეზე და გადავწყვიტე: უპირველეს ყოვლისა ამოვიკვეთო გლანდები. მერე შევუდგე ფიზიკურ წვრთნას. მოვიგონე ასეთი კომპლექსი:

დილით ნახევარი საათით გამამხნევებელი ვარჯიში, ტანის დახეულ სველი ტილოთი, რამდენიმე ხნის შემდეგ გადავალ ცივ შხაპზე.

დერეფანში ჩამოვკიდებ რგოლებს და ყოველი გაკვეთილის მომზადების შემდეგ ვივარჯიშებ რგოლებზე.

14 ოქტომბერი

ექიმმა მითხრა, ორი კვირის შემდეგ მიმართვას მოგცემ გლანდების ამოსატრეულად.

დედაჩემს შევეშინა.

მე, პირიქით, გამეხარდა, რომ ჩემი გემის განხორციელებაში ხელი არ შემეშალა.

17 ოქტომბერი

ბიბლიოთეკაში წავედი. მიწოდდა რაიმე ისეთი წიგნი მომეძებნა, რომელშიც ნებისყოფის ან ფიზიკური ძალის წრთობაზე იქნებოდა სასარგებლო რჩევა.

მეგი დეილამ, ჩვენმა ბიბლიოთეკარმა, იცის, რომ მე კატალოგში არ მიყვარს წიგნის ძებნა და ყოველთვის მიშვებს წიგნის თაროებთან.

წიგნს ვაროდანაც ვატყობ, საინტერესოა თუ არა. თუ საინტერესოა, ბევრი კითხვისაგან ოდნავ გაცვეთილიც იქნება. ფურცლებზე აქა-იქ აღნიშნებებსაც მოგვრავ თვალს. ეს ის ადგილებია, ჩემამდე სხვას რომ მოსწონებია.

ნახატებს გადავთვალე. ნახატებს ხომ ეტყობა, რაზე მოგვითხრობს წიგნი.

ამ ნახატების გამო გადავიკითხე მთელი ჟიულ ვერნი. მოყვითალო, გაცრეცილი ფურცლები თითქმის ცალ-ცალკე ეწყო, ნახატებს კი იღუმალების ელფერი გადაჰკრავდა. წიგნს ეტყობოდა, რომ სულმოთქმელად იკითხებოდა.

„მი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ რომ დავამთარე, მაშინვე მოვძებნე „საიდუმლო კუნძული“ და „კაპიტან გრანტის შვილები“.

ახლა კი წავაწყდი წიგნს „გამოცდილია ცაში“, მფრინავ-გამომცდელებზე. სხვა წიგნის ძებნა აღარ დამიწყია. დავავლე ხელი და მაშინვე შინ გამოვიქეცი.

წიგნი გადაშლილი დავდე საწერ მაგიდაზე და გადავწყვიტე, სანამ გაკვეთილებს არ მოვამზადებ, შიგ არ ჩავიხედავ მეთქი.

ერთი სული მაქვს გავიგო, რა ამბები ტრიალებს წიგნში, მაგრამ სიტყვა სიტყვაა. თვალი მაინც იმ წიგნისკენ გამიზნობს. სახელმძღვანელოში წავითხულს კარგად ვერ ვიგებ. ამოცანის პირობა რაღაც უაზრობად მეჩვენება.

„გამოცდილია ცაში“ დაკბურე და კარადის თავზე შემოვდე. მაგრამ მივხვდი, რომ ეს ნებისყოფის სისუსტით მომხდებოდა. ისევ ჩამოვიდე, გავშალე და ისე დავდე მაგიდაზე.

არა, სანამ ამოცანას არ გამოვიყვან, წიგნში არ ჩავიხედავ!

„ა პუნქტიდან გამოსული მატარებელი ბ პუნქტამდე მისვლას უნდება...“

„ა“ პუნქტი თვალს უკრავს „ბ“ პუნქტს და ეღმიჭება, „ბ“

პ. მარქსის ს.ს. სახელობ. კო. ბიბლიოთეკა



პუნქტი იმუქრება, მუშტს უქნევს. შემდეგ ეს პუნქტები ერთმანეთს ხელს ხვევენ და რვეულზე ხორუმს ცეკვავენ.

გაგზარაზდი, რვეული მაგიდაზე დავახეთქე, სააბაზანოში შევედი და სახეზე ცივი წყალი შევისხი.

ნებისყოფის ნატამალი არ გამაჩნია. თუ ახლავე ამოცანა არ გამოვიყვანე, მფრინავობაზე ფიქრს თავს დავანებებ.

ამოცანის პირობა თავიდან გადავწერე. სქემა დავხაზე. აჰა!.. მივხვდი, ნუთუ ასე ადვილ ამოცანაზე ამდენს ვფიქრობდი? პასუხი შევადარე. სწორია.

გადავათეთრე.

ახლა დამჩნა ისტორია და ქართული.

თითოჯერ წაკითხვა საკმარისია. დილით თარიღებს გავიმეორებ და მორჩა.

19 ოქტომბერი

წიგნში „გამოცდილია ცაში“ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი.

აი, მაგალითად, რა არის სიმამაცე? აქამდე მეგონა, რომ, როცა ადამიანი თავს წირავს, ის უკვე მამაცია, მაგრამ ვთქვათ, კაცი ხანძარში მოჰყვა და გაბედა მესამე სართულიდან გადმოხტომა, მამაცია? ან ქურდი, რომელსაც მესამე სართულზე შეასწრეს, წირავს თავს და ხტება, მამაცია? არავითარ შემთხვევაში, რადგან მას არა აქვს არჩევანის საშუალება.

სიმამაცეზე ლაპარაკი იწყება იქ, სადაც არის არჩევანის შესაძლებლობა.

ხანძარია. გარედან მაყურებელს შეუძლია არჩევანი გააკეთოს, შევიდეს ადამიანების გადასარჩენად თუ არა? და თუ თავისი ნებით შევიდა, დასძლია შიში, არად ჩააგდო საფრთხე, ასეთ კაცზე ვიტყვი, მამაცია-მეთქი.

ასე რომ, სიმამაცე ნებაყოფლობითი მოქმედებაა და არა იძულებითი. მას შემთხვევით არ ჩადიან. შემთხვევით არავინ შევარდება ცეცხლში, არ გადაეშვება აღელვებულ ზღვაში სხვის გადასარჩენად. შემთხვევით გმირებად არ ხდებიან.

ამას წინათ კლასში ვკამათობდით. ივერი, რომელსაც ყველასი და ყველაფრის გაბიაბრუება უყვარს, ამტკიცებდა:

— ნახევარზე მეტი გმირებისა შემთხვევით გახდნენ გმირები. რა ვიცი, იქნებ გასტელო სულაც ვერ ხედავდა, ცეცხლსა და კვამლში საით მიჰყავდა თვითმფრინავი და შემთხვევით დაეჯახა მტრის ბენზინის ავზებს!

— ასეთი შემთხვევის ალბათობა ძალიან მცირეა, ასი ათასიდან — ერთი, რადგან იმოედნა ტერიტორიაზე, რომლის ზევიტაც მიფრინავდა თვითმფრინავი, ბენზინის ავზები უსასრულოდ მცირე წერტილი იყო, — აუხსნა პაატამ ივერის. — ან როგორ ავხსნათ სხულუხიას გმირობა, მტერმა ხელები რომ გადაუმტვრია და მანაც ვერაფერი ათქმევინა?

— ასეთ გამოწვევის ეუშვებ, — დაეთანხმა ივერი.

— გამოწვევის? შოთა გამცემლიძე, ალექსანდრე მატროსოვი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ოლეგ კოშევი, ზოია რუხაძე?.. მეტ-ნაკლებად ყველას ჰქონდა შანსი ცოცხალი დარჩენილიყო.

— აქედან ასე ჩანს, — ორაზროვნად უპასუხა ივერი.

— იქიდან როგორ მოჩანდა, თუ ძმა ხარ, აგვისენი, — სთხოვეს სხვებმა.

ივერიმ ხელი ჩაიჭნია, ვითომდა თქვენთან ლაპარაკი არ ღირსო, და ოთახიდან გავიდა.

რატომ აქვს ზოგიერთს ისეთი თვისება, რომ ყველაფერში, რაც დიადია და ამაღლვებელი, ეჭვი შეიტანოს?

ახლა წიგნზე „გამოცდილია ცაში“.

მფრინავ-გამომცდიელი გალაი თვლის, რომ ჩვენს დროში სიმამაცის ყოველ შემთხვევას, განსაკუთრებით ავიაციის, თავისი „ტექნოლოგია“ აქვს. უნდა იცოდეთ, კარგად ერკვეოდეთ ამ „ტექნოლოგიაში“.

გალაი სიმამაცის, გამბედაობის ორ სახეობას განიხილავს. რაც მე განსაკუთრებით მომეწონა: ეს არის გამბედაობა სიკვდილის გამო და ცოდნისმიერი გამბედაობა.

გამბედაობა უცოდინრობის გამო — ეს არის, როცა სასოწარკვეთის წუთებში კაცი რაღაც რისკზე მიდის იმ იმედით, იქნებ მოლოდინი გამიმართლდესო.

ცოდნისმიერი გამბედაობა იმ მფრინავის სიმამაცეა, რომელიც შესანიშნავად ფლობს თავის მანქანას. არა უაზრო რისკი — მოსალოდნელი უაზრო მსხვერპლით, არამედ გონივრული ნაბიჯი.

ერთხელ გალაი და მისი ამხანაგი ცუდ ამინდში ავიდნენ ცაში და კინაღამ დაიღუპნენ. გალაი ამის შესახებ წერს:

„გარეგნულად ეს ჩვენი უპრინციპო გადაწყვეტილება ძალიან ლამაზი ჩანდა; გაბედული მფრინავები არად დაგიდევნენ სიძნელეებს და ცუდ ამინდშიც კი მიდიან დავალების შესასრულებლად.“

სინამდვილეში კი ეს იყო წმინდა წყლის კაპიტულანტობა. თურმე ყოველთვის როდი ყოფილა შესაძლებელი ადამიანთა საქციელზე ამ საქციელის გარეგნული მხარის მიხედვით იმსჯელო“.

თვითმფრინავის ეკიპაჟი დაიღუპებოდა, რომ არ მიეღო აეროდრომს, რომელზეც ამ თვითმფრინავის მიღება ფაქტიურად შეუძლებელი იყო, რადგან მისი სიგრძე იმ მანძილზე მოკლე იყო, თვითმფრინავს გასარბენად რომ ესაჭიროება.

ყველაზე მამაც ადამიანებად გალაი თვლის აეროდრომის მუშაკებს, რომლებმაც უზარმაზარი რისკი გასწიეს, აჩვენეს „შესანიშნავი მაგალითი მოქალაქეობრივი სიმამაცისა, რაც ზოგჯერ პირად გაბედულებაზე მეტია“.

„მოქალაქეობრივი სიმამაცე“ — ეს გამოთქმა ძალზე მომეწონა, ის ბევრად მეტი მგონია, ვიდრე გაბედულება.

მოქალაქეობრივი სიმამაცე შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა, რომელიც არც წყალში ვარდება და არც ცეცხლში, არამედ ვთქვათ, ვაქცინას ქმნის რთული ავადმყოფობის წინააღმდეგ და 5-10 წლის განმავლობაში დიდი მოთმინებით აყენებს ერთსა და იმავე ცდას. მისი ბრძოლის ველი, სიმამაცის ასპარეზი ლაბორატორიაა, კოლები, სინჯარები... მას ოვაციებს არ უმართავენ და ქუჩაში ყვავილებით არ ხვდებიან, მაგრამ, მე მგონი, იგი გმირულ საქმეს ჩადის.

ჩვენს ბიოლოგიის მასწავლებელს მარჯვენა ხელის მტევანი მოჭრილი აქვს.

იგი ყოველდღე მოდის სკოლაში, კოხტად ჩაცმული. მხნედ გამოიყურება. როცა ნიშანს მარცხენა ხელით გვიწერს დღიურში, ცდილობს რაიმე ხალისიანი თქვას, რომ შეწუხების საბაზი არ მოგვეცეს.

ჩემი აზრით, ეს არის მოქალაქეობრივი სიმამაცე.

რა უფრო ძნელია, ერთხელ გასწიო რისკი, თუ მთელი სიცოცხლე, ყოველდღიურად, ყოველ საათს სძლიო სისუსტეს, დაღლილობას, ნადვებს და აკეთო ხალხისათვის სასარგებლო საქმე?

ვფიქრობ, ეს მეორე.

29 ოქტომბერი

დაწოლილი ვწერ.

ოპერაცია გავიკეთე. რომ ვთქვა, არ მეშინოდა-მეთქი, მართალი არ იქნება. მუსლები მიკანკალებდა, მაგრამ ეჭიმმა ვითომ ვერც კი შემატყო შიში, პირიქით, ასე იძახდა: ო, რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილაო. მამხნევებდა.

ახლა ვეწვიარ და ყინულიან რძეს ნელ-ნელა ვწრუპავ. ყლაპვა მიჭირს, მაგრამ რომ მახსენდება, ოპერაცია უკანა მაქვს მოტოვებული, ერთბაშად ვმშვიდდები.

ნანულიმ სიურპრიზი გამიკეთა: რგოლები და მაგარი თოკი მომეტანა. როგორც კი ავდგები, დერეფანში ან ლოჯიაში ჩამოვკიდებ.



ნათია, მარტო, მარტო
ნიკოლოზი

ჩემიკლასელები პირდაპირ გაკვეთილებიდან მოვიდნენ ჩემ სანახავად.

ბებიამ მამუკას სთხოვა, პურზე გამეგზავნეო, და სუფრის გასაშლელად დაფაცურდა.

გოგონები ბებიას მოესმარნენ.

ზურიკო რგოლების ჩამოკიდების თადარიგს შეუდგა, მაგრამ კაუჭები არ აღმომაჩნდა. ზურიკო შემპირდა, შინიდან მოგიტან და ხვალვე გაგიკეთებ; ძალიან კარგს იზამ, თუ ვარჯიშს დაიწყებო. თვითონ ზურიკო კარგი სპორტსმენია. ხუთჭიღში ვარჯიშობს.

— იცი, რა ჭირიანი ვიყავი? — მითხრა ზურიკომ, — პირველ კლასში დედაჩემს ხელში აყვანილი მიყვავდი სკოლაში და გზაში ხანდახან ჩამეძინებოდა ხოლმე.

ჩვენს პირდაპირ ერთი მოცურავე ცხოვრობდა. ეტყობა, შევეცოდე, ასეთი რაქიტინი რომ ვიზრდებოდი, და ერთხელ ჩემად წამიყვანა აუზში. ძალიან მომეწონა წყალში ჭყუმპალაობა. მეორედ მე თვითონ ვთხოვე, წამიყვანე-მეთქი.

ცოტა რომ წამოვიზარდე, ხუთჭიღში დავიწყე ვარჯიში. ცურვა, სროლა, ცხენოსნობა, სირბილი, ფარიკაობა. ინსტიტუტშიც არ დავანებებ თავს ვარჯიშს. ჩემი მწვრთნელის აზრით, მეორე კურსზე უკვე სპორტის ოსტატობას უნდა მივაღწიო.

ამასობაში სუფრაც გაიშალა და ყველა შემოევსხედით. სუფრასთან საუბარი ჩამოვარდა პროფესიის არჩევაზე.

ზურიკომ თქვა: სკოლა თუ კარგად დავამთავრე, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში მიინდა ვისწავლო, ავიაინჟინერი გავხდეო.

მამუკამ — არაფრის ნიჭი არ მაწუხებს მაინცდამაინც და არ ვიცი, ბოლოს რას გადავწყვეტო.

ნათიას ჟურნალისტობა უნდა, ეს კარგა ხანია ვიცით და მის ნაწერებსაც ეტყობა, რომ მართლაც აქვს ნიჭი. ორჯერ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გაიმარჯვა.

ოლეგმა თქვა: ჯერ სამხედრო სასწავლებელს დავამთავრებ, მერე უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში განვაგრძობ სწავლასო.

— მე კი, — თქვა დალილამ, — კულინარი უნდა გამოვიდე, უფრო სწორად, მემაქარლამე.

ჩვენ გაგვიკვირდა.

— თქვენ არ იცით, რა ტორტებს აცხობს დალილა, — გვითხრა ნათიამ, — მარწყვისას, ფორთოხლისას, ყავისას, რა ჰაეროვან ფუნთუშებს, რა მსუბუქ „ბურბუშულას“, შაქარლამას“ — ენაზე რომ დნება. თქვენ რა, სერიოზულად ფიქრობთ, რომ არსებობს „ლამაზი“ და „ულამაზო“, „რომანტიკული“ და „პროზაული“ პროფესიები? განა რომელიმე პროფესია თავისთავად ბედნიერებას მოგიტანს? აბა, მითხარით, ცუდი ექიმი სჯობს თუ კარგი მემაქარლამე? მთავარია, როგორი ექიმი, როგორი მემაქარლამე, როგორი ჟურნალისტი, როგორი ინჟინერი ხარ, და არა ის, თუ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომში რა სპეციალობა გიწერია. მთავარია შენი სამუშაო გიყვარდეს.

— ნათია, როგორც ყოველთვის, საყურადღებო აზრებს გამოთქვამს, პირდაპირ აიღე და გაზეთში დაბეჭდე რუბრიკით „გესაუბრებით პროფესიის არჩევაზე“. მაგრამ, ნათო, თუ საავიაციო ინსტიტუტში ვერ მოვეწყე და იძულებული გახდები ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდე, მაშინ რა ჰქნა? — იკითხა ზურიკომ.

— ჩემი აზრით, დიდ სურვილს წინ არაფერი დაუდგება, მაგრამ თუ მაინცდამაინც მიზანს ვერ მიადწიე, ან თუ ვერ აკეთებ, რაც გიყვარს, შეიყვარე ის, რასაც აკეთებ!

— მე რომ რედაქტორი ვიყო, — გაიღიმა ზურიკომ, — ახალვე მიგიღებდი რედაქციაში. ვერ ხედავ, რა აზრები მოგდის თავში?

— ეს ჩემი აზრი არ არის, — გაეცინა ნათიას, — ზობს ასეთი რუსული თქმა.

სადილს ატმის კომპოტი დავაყოლეთ. ბებიამ ორი დიდი ქილა გახსნა.

დალილამ ბებიას სახელდახელოდ ასწავლა ბლიც-ნამცხერის გამოცხობა, რომელსაც მოხდენილი სახელი ჰქვია: „ერთი, ორი, სამი“ და, რომელიც თურმე სამის დათვლაში მზად არის.

სადამოს უკვე სრულიად ჯანსაღად ვგრძნობდი თავს.

3 ნოემბერი

მეორე დღეა ვვარჯიშობ და სველი ტილოთი ვიზელ ტანს. ჯერჯერობით კუნთების ტკივილს ვგრძნობ, მაგრამ კორჩაკმა ხომ გვასწავლა, დროებით მდგომარეობის გაუარესებამ არ შეგაშინოთო.

ვეზადებით დემონსტრაციისათვის, მეოთხედიც მთავრდება და რაც გამიცდა, უნდა ავანაზლაურო.

მათემატიკაში ოთხი ამოცანა მაქვს ამოსახსნელი.


ლომონოსოვს უთქვამს: მათემატიკის სწავლა თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ ტვინი წესრიგზე მოჰყავსო.

ამოცანის ამოხსნა შეიძლება არა მარტო სწორად, არამედ ლამაზადაც. მისი შინაგანი ლოგიკა ჰგავს კარგად აგებულ შენობას, სადაც აუცილებელია ზედა სართული ქვედას ეყრდნობოდეს, ქვედა კი ზედა სართულს საყრდენად ემსახურებოდეს.

4 ნოემბერი

ჩვენი ისტორიის მასწავლებელი სტალინგრადში იბრძოდა. როცა ომის ამბებს ჰყვება, კლასში ბუჩის გაფრენას გაიგო-





ნებ. გუშინ კი ისეთი რამ თქვა, რაზეც მე ყური ვცქვიტე. სიტყვა ვაჟკაცობაზე ჩამოვარდა.

— ჩვენი მფრინავები, — გვითხრა მასწავლებელმა, — ხშირად მიდიოდნენ ტარანზე. არ გამოიგია არც ერთი შემთხვევა, რომ ვაშისტი მფრინავი წამოსულიყო ტარანზე. მაგრამ ჩვენები პაერში არასოდეს ესროდნენ მტრის თვითმფრინავიდან გადმომხტარ პარაშუტისტებს. ვაშისტიები კი — იცოცხლე, თუ მოიხელთებდნენ, ცოცხალს არ გაუშვებდნენ.

— რატომ? — იკითხა ივერიმ, — რატომ ვიჩენდით ასეთ გულჩვილობას?

— იმიტომ, რომ ჩვენ ვაჟკაცობის ჩვენი, დაუწერელი კანონი გვაქვს: უმწეო პარაშუტისტს არ ესვრიან. რა თქმა უნდა, ჩვენი არმია ანადგურებდა მტერს, მაგრამ სამხედრო ტყვეებს ცუდად არავინ ექცეოდა. იქ კი, ოსვენციმში, დახაშუში ჩვენს სამხედრო ტყვეებს გაზის ღუმელებში წვაავდნენ.

შეუბრალებლობა, გულქვაობა სირცხვილია ვაჟკაცისათვის, ძლიერი, გონიერი ადამიანისათვის. ტყუილად ჰგონია ზოგს, რომ ძლიერი, ღონიერი ვაჟკაცი არ შეიძლება გულჩვილი, სათუთი ხასიათისა იყოს.

იმედი მომეცა, რომ ჩემი ხასიათი ხელს არ შემიშლიდა გავმდარეიყავი გაბედული მფრინავი და იმდენად გაეთამამდი, რომ მასწავლებელს შევეკითხე:

— თქვენი აზრით, ხასიათის რა აუცილებელი თვისება უნდა ჰქონდეს მფრინავ-გამომცდელს?

— აბსოლუტური პატიოსნება! — მიპასუხა მან. — რადგან გამომცდელი აფასებს მრავალი ადამიანის ნამუშევარს, მას უფლება არა აქვს ბოლომდე მართალი და პატიოსანი არ იყოს.

ავიაციის გენერალ-მაიორი მანუჩაროვი ამბობს: კაცი, რომელსაც არ ძალუძს მხოლოდ სიმართლე ილაპარაკოს, არ გამოდგება საგამომცდელი საქმიანობისათვის, ხოლო მფრინავ-გამომცდელად — მით უმეტეს.

იური გაგარინი წერს, რომ გამბედავი, ძლიერი, ნამდვილი მამაკაცი შეიძლება იყოს მხოლოდ მართალი კაცი.

ამის შემდეგ მასწავლებელმა ბევრი საინტერესო ეპიზოდი გვიამბო მფრინავების ცხოვრებიდან.

ასე რომ, თურმე ჩემი ხასიათი, ქათამს რომ ვერ დავკლავ და ყველა მაწანწალა ძალღი მეცოდება, არც ისე უიმედო ყოფილა.

მაგრამ შემიძლია კი ყველგან და ყოველთვის მხოლოდ სიმართლე ვილაპარაკო? ვნახოთ.

15 ნოემბერი

დედას ძალიან დაუგვიანდა და მე და ნანულიმ გადავწყვიტეთ მის შესახვედრად წასვლა. მით უმეტეს, რომ ძლიერი ქარი ამოვარდა და დედა უპალტოოდ იყო წასული.

ის იყო, ნანულიმ პალტო ჩამოიღო, რომ ზარის ხმაც გაისმა. დედა იყო. ნამტირალევი ჩანდა.

— ამდენი რატომ დაგიგვიანდა? — ჰკითხა ნანულიმ. — მე და ჯარჯი შენს შესახვედრად მოვდიოდით.

— მამაშენის საფლავზე ვიყავი, — ხმადაბლა თქვა დედამ.

მამა... სუთი წელიწადია, მამა აღარა მყავს. მამაჩემი ქიმიური ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო. ღამით ერთ მეპაპრატეს გაზი დარჩენოდა მოშვებული. როცა ეს გაიგეს, ორი მეპაპრატე უკვე გრძობადაკარგული ეგდო აპარატებთან. ქარხანაში განვაში ატყდა. მამა გამოვარდნილა თავისი კაბინეტიდან, რაც მოხდა, გზაში გაუგია და, სანამ სხვები აირწინალო ეძებდნენ და ირგებდნენ, პირდაპირ შევარდნილა საამქროლში, გაზი გადაუკეტავს.

ერთი გრძობადაკარგული მეპაპრატე გამოუყვანია და ისევ შებრუნებულა. სულ ორიოდე მეტრით ვეღარ მოუღწევია კარამდე. ამ დროს აირწინალიანი მშველელებიც მოსულან. მეპაპრატე გადაურჩინათ. მამაჩემისთვის კი ვეღარ უშველიათ.

აი, ასე დაილუბა მამა, როგორც ომში, — ამხანაგი გადაარჩინა, თვითონ კი...

მას შემდეგ ცხოვრება გაგვივირდა. ვერც წარმოგვედგინა, თუ უმამოდ ცხოვრება შეიძლებოდა. მანამდე დედა ხშირად ავადმყოფობდა და მამა სულ დედას უფრთხილებოდა.

— ეს დედას გაეხარებდა! — ეს იყო მამის საყვარელი ფრაზა.

ჩვენც ყოველთვის ვცდილობდით, ისეთი რამ გაგვეკეთებინა, რაც დედას გაეხარებოდა. მე და ნანული ახლაც, როცა რამის გაკეთებას გადავწყვეტთ, ერთმანეთს ან ჩვენს თავს ვკითხებით: — დედას გაეხარებდა? და გულში ასე ვთვლით, რომ მამასაც გაეხარებდა.

19 ნოემბერი

ნანულიმ სტიპენდია აიღო და მალაზიაში წავედით დღისათვის თბილი წამოსასხამის საყიდლად. ზოგან არ იყო, ზოგან ფერი არ მოგვეწონა, ბოლოს, როგორც იქნა, წავაწყდით ისეთს, როგორც, ჩვენი აზრით, დედას უნდა მოსწონებოდა. მუქი ლურჯი იყო, თეთრწინწკლებიანი.

კინოშიც გვინდოდა შესვლა, მაგრამ შინ წერილი არ გექონდა დატოვებული. დედა მოვიდოდა და, შინ რომ ვერ გენახავდა, შევეშინებოდა. ამიტომ სასწრაფოდ წამოვედით. მხოლოდ წიგნის მალაზიაში შევიარეთ.

— ვაიმე, ეგზიუპერი ქართულად! — წამოიძახა ჩემმა დამ, — რაღა ვქნა, ფული რომ არ მიყოს?

მოვიჩხრიკეთ ჯიბეები. მე 27 კაპიკი აღმომაჩნდა, ნანულის — 75. მაინც დაგვაკლდა ორი კაპიკი.

გამყიდველმა შეგვხედა, ხელისგულზე ხურდა ფული მეორედ რომ გადავითვალეთ, და გვკითხა:

— რამდენი გაკლდებათ?
— ორი კაპიკი.

— არა უშავს, წაიღეთ, — გვითხრა გამყიდველმა და წიგნი გამოგვიწოდა, რომლის ღირებულება ნაცრისფერ ყდაზე ბავშვის დახატულივით უბრალო, მწვანე თვითმფრინავი ეხატა. „ადამიანთა მიწა“, ეწერა ზედ.

გზაში ნანულიმ მიაბნო, როგორ დაილუბა 1944 წლის 31 ივლისს, საფრანგეთის განთავისუფლებამდე სამიოდე კვირით ადრე, მფრინავი და მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი და რა შესანიშნავი მწერალი და პიროვნება იყო.

ნანულის ვთხოვე, რადგან მფრინავებზეა, მოდი ჯერ მე წავიკითხავ-მეთქი.

კარგიო, მითხრა, თან დასძინა:
— ამ წიგნის ერთხელ წაკითხვა არ კმარა. ის ხშირად უნდა გადაფურცლო, დაუფიქრდე, დაიხსომო, ისწავლო.

23 ნოემბერი

სამი დღეა „ადამიანთა მიწა“ ვკითხულობ. ბნელ ოთახში რომ ღამიერი შეიტანო, ისე გამიანთა გონება, ისე ჩამახედა საკუთარ სულში.

მე მგონია, არსებობს ისეთი წიგნები, რომლებზეც შეიძლება თქმა: ასეთი ვიყავი ამ წიგნის წაკითხვამდე, ხოლო ასეთი გავხდი წაკითხვის შემდეგ.

ეგზიუპერის ეს წიგნი სწორედ ასეთად მიმაჩნია. აქ ჩემთვის ამოვწერ ზოგიერთ ადგილს, რომელიც მრავალ ფიქრს აღძრავს.

„ყოველი ხელობის სიდიადე, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს ადამიანებს. არსებობს ერთადერთი ნამდვილი ღირებულება და ეს ადამიანთა ურთიერთობაა.

როცა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისთვის ვშრომობთ, ჩვენ ჩვენივე ხელით ვაგებთ საკუთარ ციხეს და მართლმართონი ვიკეტებით იმ ციხეში ჩვენს მოჩვენებით საუნჯესთან ერთად, რომლისთვისაც სიცოცხლე არც კი ღირს.

... თვითმფრინავი უეჭველად მანქანაა, მაგრამ ამავე დროს იგი შემეცნების შესანიშნავი იარაღიც არის. ამ იარაღმა მოგვცა საშუალება დედამიწის ნამდვილი სახე დაგვეჩვენა.

... ჩვენ განთავისუფლება გვინდა. მას, ვინც წერაქვით მუშაობს, უნდა რომ აზრს ხედავდეს წერაქვით მუშაობაში. კატორღელი მუშაობს წერაქვით და ასეთი შრომა ამცირებს კატორღელს. მადნეულის მაძიებელიც წერაქვით მუშაობს და ეს შრომა ამოღებს მას. წერაქვით მუშაობა სრულიადაც არ ნიშნავს კატორღაში ყოფნას. კატორღის საშინელებანი მატერიალური ხასიათისა როდია. კატორღა არის იქ, სადაც წერაქვით მუშაობა მოკლებულია ყოველგვარ აზრს, სადაც შრომა არ აკავშირებს მშრომელს ყველა სხვა ადამიანთან.

... შეიძლება გააბრუო გერმანელები იმის ძახილით, რომ ისინი გერმანელები და ბეთჰოვენის თანამემამულენი არიან. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომ ამ მუშაში ბეთჰოვენი გააღვიძო.

... ის, ვინც კვდება იმისათვის, რომ ჩვენი ცოდნა წინ წასწიოს, ან იმისათვის, რომ მოგვცეს საშუალება — ადამიანები ავადმყოფობათაგან განვეკურნოთ, ის თავისი სიკვდილითაც სიცოცხლეს ემსახურება.

... საკმარისია, ადამიანმა, რომელიც ვარსკვლავებქვეშ თავმდაბლად დარაჯობს რამდენსამე ცხვარს, შეიგნოს თავისი როლი, რომ მაშინვე უბრალო მსახურად კი არა, გუშაგად იგრძნოს თავი, და ყოველი გუშაგი ხომ პასუხისმგებელია მთელი იმპერიის ბედისათვის.

• ჩვენ ბელნიერები ვიქნებით მხოლოდ მაშინ, როცა შევიცნობთ ჩვენს თუნდაც მცირე როლს ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიცხოვროთ და მოგვკვდეთ მშვიდად, რადგან ის, რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს, აზრს აძლევს სიკვდილსაც.

ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა თორნიკე ძია, მამაჩემის ძმა. თორნიკე ძია არქიტექტორია, მოსკოვში მუშაობს. ისეთი საინტერესო ამბების მოყოლა იცის, რომ მენანება, მარტომ ვუსმინო, ამიტომ ვთხოვე, ბიჭებს მოვიყვან-მეთქი.

— მაგას რა კითხვა უნდა, რაც მეტი ვიქნებით, მხიარულებაც მეტი იქნება.

მალე ბიჭებიც მოვიდნენ.

სანამ სუფრას გავმლდით, მაგნიტოფონზე ახალი ჩანაწერები მოვისმინეთ.

მერე ძიამ ჩემოდნიდან ფერადი ალბომი ამოიღო და თვალიერებას შევუდექით.

ალბომი მოსკოვის არქიტექტურას ეხებოდა.

— კალინინის გამზირის მადლივი შენობები. ეს კი გორკის ქუჩაა, რომლის სიგანე სამოცი მეტრია, — გვისჩნდა თორნიკე ძია, — თავის დროზე კი 16 მეტრი იყო. ამ ქუჩის გასაფართოებლად „მოსსოვეტის“ შენობა 13,65 მეტრით შესწივს სიღრმეში. ეს იყო ადრე. 1927 წელს კი აქ აიგო ტელეგრაფის შენობა და ქუჩის სახეც სულ მთლად შეიცვალა.

აბა, ამ სახლის ლიბოს დააკვირდით — მუქი ყავისფერი გრანიტით არის მოპირკეთებული. ეს გრანიტი გერმანელებმა შემოიტანეს: ამ ქვით გამარჯვების ობელისკი უნდა აღემართათ.

ალბომის ფურცლები ერთგან გაუჭრელი იყო და ძიამ მაკრატელი მოითხოვა.


— ბიჭებო, ვინ იცის, როდის გამოიგონეს მაკრატელი? ჩვენ ვღუმიდით.

დასასრული შემთხვევა ნომერში





მშენებელი



ინჟინერული ნიშნობის მქონე ქაირი

„საქართველოს სსრ,
თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა,
მე-3 საშუალო სკოლა,
აიდა ირმაზოვას.“



ქვირასო აიდა!

სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ქ. როსტოკიდან.

გილოცავ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს. ჩვენ ამ დღეს ფაშისმის მსხვერპლთა საფლავზე გვირგვინები მიგვაქვს.

დიდი მადლობა წერილისა და ღია ბარათებისათვის.

შენი დაბადების დღეზე ჩემი პაკეტი თუ მიიღე?

სასწავლო წელი კარგი ნიშნებით დავამთავრე.

ჩვენ კარგი ზოობარკი გვაქვს. იქ თუთიყუში, ვეფხვი, დედა დათვი, ბუ, ზღვის ლომი, კუ და ფრინველები გვყავს.

გივზავნი გდრ-ის პიონერულ ყელ-სახვევსა და ფოტოსურათს.

შენი ანაჰაი.

„მეარჯობა, კაროველო მემობარკო!“

მე უნგრელი პიონერი ვარ. მქვია იანოშ კოჩიში. ვცხოვრობ ბუდაპეშტში. ჩვენი ქალაქი ძველი და ძალიან ლამაზია.

მე ვაგროვებ ღია ბარათებს და სამკერდე ნიშნებს. შენ რას აგროვებ?

მიაბე შენს ოჯახზე.

იანოშ კოჩიში.

„მეარჯობა, აია!“

VI კლასის მოსწავლე ვარ, ბუდაპეშტში ვცხოვრობ. ჩვენს ქალაქში ბეგრი პარკი, ბაღი, თეატრი, საცურავი აუზი, სასპორტო მოედანი, სკოლა და ქარხანაა.

ოჯახში ოთხნი ვართ: მე, ჩემი სამი წლის და ანკე, დედა და მამა. დედა პარტიზმის ფაბრიკაში მუშაობს, მამა ხარატი.

სკოლაში რუსულ ენას ვსწავლობთ. ვიცი წერა და კითხვა. ცოტას დედაც მეხმარება.

ზაფხულში ბალატონის ტბაზე წავალ ბანაკში. შენ?

იანოშ კოჩიში.

„აია!“

მე იანოშის მეგობარი ვარ. გიმნაზიის I კლასში ვსწავლობ.

ვეარჩივობ ფეხბურთში და ვაგროვებ ფეხბურთის სამკერდე ნიშნებს.

შენ?

მე 15 წლისა ვარ. მამაჩემი მძღოლია, ხოლო ჩემი უფროსი ძმა ცირკში მუშაობს.

მე ფრანგულსაც ვსწავლობ. რომელი სახელმძღვანელო გიყვარს?

მალე მომწერე. პასუხს მოუთმენლად ვილი.

ზოლტანი. ბუდაპეშტი.


ეს წერილები მცირე ნაწილია ამ მრავალფეროვანი ფოსტიდან, რომელიც ყოველდღე მოდის თბილისში, ცხრა ძმის ქუჩაზე მდებარე მე-3 საშუალო სკოლაში სხვადასხვა პიონერის სახელზე.

ეს ნაირფერი კონვერტები ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში იყრის თავს.

ადრესატი მეგობრებთან ერთად ხსნის, რადგან ფაქტიურად წერილი მთელ რაზმს, მთელ კლასს ეკუთვნის და აინტერესებს.

მთელი კლასია საქმის კურსში, თუ როგორ სწავლობენ იანოშის,

ა. ორმაზოვა (მარცხნიდან პირველი) და მისი მეგობრები მ. ხუაშულური, ა. კარი-ზაშვილი და კ. აბუქანიანი ამჟამად უნაბრალ თანატოლებთან გასაბავან ალაგობ.



▲ (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. რაჭვიშვილი, ა. ხალსუფლიშვილი და ნ. საბანელიძე ეცნობიან საზღვარგარეთიდან მიღებულ ბარათებს.

ზოლტანის, ანკეს ამხანაგები იქ, შორეულ ბერლინში, როსტოკში, ბუ-დაპეშტში, პრაღაში, როგორ ატარებენ არდადეგებს, რას თამაშობენ, რა ფილმებს უყურებენ, რა ცხოველები ჰყავთ ზოოპარკში, რა ჰქვია მათ ძაღლს, რომელ მდინარეებში ბანაობენ და ისიც კი იციან, რა ტემპერატურისაა ამა თუ იმ მდინარის წყალი, არდადეგებისას. როგორ იზიჰმეს ახალი წელიწადი თუ პირველი მაისი.

მოდის ფერად-ფერადი კონვერტებით ულამაზესი ღია ბარათები, გადასაყვანი სურათები, პიონერის ნაირფერი ყელსახვევები, ბავშვების საყვარელი ნახატები, ქალაქების ხელები: ჯაჭვის ხიდი მდინარე დუნაიზე, გმირთა მოედანი ბუდაპეშტში, მარგარიტას კუნძული, რომელიც მწვანე მოლსა და ნაირფერ ყვავილებს მოუქარავს, როსტოკის ხელები.

და ყოველივე ამას მოჰყვება უცხოელ თანატოლთა გულის სიტბო, ინტერესი — როგორ ცხოვრობენ საბჭოეთის ბავშვები, როგორ ატარებენ არდადეგებს, რა სიმღერებს მღერიან, როგორი ფორმები აცვიათ, როგორია მათი ეროვნული სამოსი, ხალხური საკრავები, სათამაშოები, როგორ ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, ფესტივალებს, ოლიმპიადებს, როგორ ავილდობენ გამარჯვებულთ; აინტერესებთ, ჰყავთ თუ არა ნიანგი აქაურ ზოოპარკში, როგორი ატრაქციონები იმართება

კირკში და ა. შ. დაუსრულებლად. თბილისის მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივი თვითონაც ძალზე ინტერნაციონალურია.

ამ ქართულ-რუსულ სკოლაში ქა-

რთველების გვირდით სწავლობენ სომხები, რუსები, იეზიდები. პირველი კლასიდანვე უმეგობრდებიან ერთმანეთს.

ოქტომბრის რაიონში, 9 მძის ქუჩაზე, ჯერ კიდევ ბევრია ძველებური, თბილისური საერთო ეზო, სადაც არასოდეს იკეტება კარები. მეზობელი მეზობლის იმედად ტოვებს ბავშვს, ამხანაგი ამხანაგის სახლში სადილობს, მეცადინეობს, უბნის გოგობიჭები ერთად დასდევენ ბურთს, თამაშობენ კლასობანას, მოდიან სკოლაში, პიონერთა სახლში.

აქ თითქოს დიდის რძესთან ერთად შეიწოვენ მეგობრობის, ძმობის, ურთიერთგატანის გრძობას, რაც შემდეგ მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვებათ ხოლმე.

სკოლის პიონერულ რაზმეულში 332 პიონერია. ერთი სულისკვეთებით შედუღებული მრავალეროვანი კოლექტივი.

სკოლის პიონერხელმძღვანელები ღია რეხვიაშვილი და ლოლიტა ერანოსიანი სიამოვნებით გვიამბობენ სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის მუშაობაზე.



რომელსაც გერმანული ენის მასწავლებელი ლიდა გოერცი ხელმძღვანელობს. კლუბში სამი სექცია მუშაობს: საინტერესო შეხვედრებისა, ფერადი ფოსტისა და სხვადასხვა ფერის ყელსახვევებისა.

კლუბს თავისი კალენდარი აქვს. კლუბის წევრები გულდასმით ემზადებიან ამა თუ იმ ქვეყნის სახეი-მო თარიღის აღსანიშნავად. აკეთებენ ალბომს, რომელშიც ათავსებენ ფოტოსურათებს, სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალში გაფანტულ პუბლიკაციებს ამ ქვეყანაზე, აკრავენ ქვეყნის ეროვნულ დროშას, კოსტიუმებს და, ასე გასინჯეთ, იმ ქვეყნის ეროვნულ კერძსაც ამზადებენ, სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობენ, სკოლის რადიოთი გადასცემენ საუბრებს ამ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მართავენ ვიქტორინას, გამარჯვებული პიონერები იღებენ სამახსოვრო საჩუქრებს.

ბევრჯერ გამოსულან გამარჯვებულნი კლუბის აქტივისტები: ახული კარიჭაშვილი, თინა ელოვევა, მანანა წიკლაური, აიდა ორმაზოვა, ემა ასლანოვა.

ოქტომბრის რაიონში ამ სასწავლო წელს მეგობრობის დეკადა მოეწყო. თითოეული სკოლა თითო საბჭოთა რესპუბლიკას განასახიერებდა.

მე-3 სკოლა ბელორუსიის შესახებ მონტაჟით გამოდიოდა. ამ ღონისძიებას წინ უძღოდა მიწერ-მოწერა ბელორუს პიონერებთან, ბელორუსიის რესპუბლიკის გერბისა და დროშის დამზადება.

მომზადდა დიდი სტენდი, რომელზეც აისახა ბრესტის ციხესიმაგრის

დამცველთა უპკნობი გმირობა. ბელორუსიიდან მიღებული ესკიზების დახმარებით გოგონებმა შეიკერეს ფერადი კაბები, მოამზადეს ბელორუსული ხალხური სიმღერები და ცეკვები. მათ დიდი მოწონება ხვდათ წილად.

ხალხთა მეგობრობაზე კითხულობდნენ ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი პოეტების ლექსებს მაღინა ხუბულური, ხათუნა ჩინჩიკი, ლია ორლოვა, ლერი რევიშვილი, ეკა კობლატაქე, მიაა შარიფაშვილი, ქართულს რუსული ცვლიდა, რუსულს — ქართულს. ამ სკოლის ბავშვებმა ორივე ენა კარგად იციან. რაზმეულის შეკრებაც ორ ენაზე ეწყობა, ხოლო უცხოელ მეგობრებს, მართალია, რუსულ ენაზე სწერენ წერილებს, მაგრამ ქართულ ანბანსაც უგზავნიან. ბევრი მონიბლა კიდევ ქართული ანბანის ჩუქურთმამ და სილამაზემ.

ღიახ, ინტერნაციონალისტებად იზრდებიან თბილისის მე-3 საშუალო სკოლის პიონერები, 9 ძმის ქუჩაზე მდებარე ეს მომცრო შენობა ძმობის, მეგობრობის კერად იქცევა და როცა დადგება დრო და „ვეფხისტყაოსანს“ გადაშლიან, ღიახაც ირწმუნებენ რუსთაველის სიბრძნეს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ნ. გვასალია.

ფოტო

ა. კოხორაშვილისა.

თ. შამოვა ვარილს წარს თავის უცხოელ მეგობარს.



მრავალ ჭირვარამგამოვილი და ბევრის მომსწრე ქალაქი ვლადივოსტოკი ამაცობს თავისი გმირული წარსულითა და საუკეთესო აწმყოთი. საბჭოთა ხელისუფლებამ შორეული აღმოსავლეთი აყვავებულ ბაღნარად გადააქცია. აქ განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებენ ხალხთა ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა სახელებს, რომელთა სადიდებლად არა ერთი და ორი ძეგლი აღუშენებიათ. ქალაქში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გმირების სახელობის მრავალ ქუჩას შეხვდებით, მათ შორის ერთი ქუჩა იპყრობს ქართველი კაცის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ქუჩა, მგზნებარე რევოლუციონერის, სამოქალაქო ომის მებრძოლის, მტკიცე ბოლშევიკის, ნიკო-ნი სახელოვანი თანამემამულის ჩეოლოზ თედორეს ძე ბუშიძის სახელს ატარებს, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი სიცოცხლე შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს შესწირა.

სამწუხაროდ, ამ სახელოვანი თანამემამულის საბრძოლო-რევოლუციური საქმიანობა საქართველოში ცნობილი არ არის. ფართო საზოგადოებამ არ იცის, ვინ იყო ნიკოლოზ (ნიკო) ბუშიძე.

ცხოვრების მეტად მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა ნ. ბუშიძეს. იგი დაიბადა 1894 წელს „ბორკილების კუნძულად“ წოდებულ სახალინზე, ყოფილი კატორღელების თედორე ბარამიძისა და ალათის ბუშიძის ოჯახში. თედორესა და ალათის სასჯელის მოხდის შემდეგ, იმდროინდელი კანონის მიხედვით და მთავრობის ნებართვით უფლება მიეცათ ცოლ-ქმრობისა, ოღონდ, უნდა ეცხოვრათ ჯვარდაუწერლად. მშობლებს, ნიკოს გარდა, კიდევ ორი შვილი ჰყავდათ, ყველაზე უფროსი — ეკატერინემის გამო, რომ კატორღელ მამაკაცებს უფლება არა ჰქონდათ შვილები თავიანთ გვარზე დაეწერათ, თედორე ბარამიძის შვილები დედის გვარით — ბუშიძედ მოიხსენებინან.

ენით აუწერელი ტანჯვა-წვალება იყო კატორღელის ხვედრი. დღედაღამ მძიმე სამუშაო ქვანახშირის მალარობში, ოქროს საბადოებზე, ხე-ტყის ჩეხვა და ხეების თრევა, დამცირება და აბუჩად აგდება, შიმშილი და სიცივე. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა კატორღელი განთავისუფლების შემდეგ. თუმცა მას ეძლეოდა „გლეხის წოდება“ და მიწის ნაკვეთი იქვე დასახლების უფლებით, მაგრამ ყოფილ „ტუსალს“



ნიკოლოზ (ნიკო) გუგუშვილი

არ ჰქონდა საშუალება ცხოვრების მოსაწყობად. ზოგი მძიმე შრომით ახერხებდა თავის გატანას, ზოგი მოჯამაგირებით ირჩენდა თავს. ამგვარ ყოფაში უნდა გაეტარებინა ყოფილ კატორღელს 13 წელიწადი, მხოლოდ ამის შემდეგ მთავრობის თანხმობით შეეძლო წასულიყო ვლადივოსტოკში ან ციმბირის რომელიმე ქალაქში, რაც სახალინელი კატორღელების ოცნება იყო. ხელისუფლების აღნიშნული უფლებით თედორეა და ალათის ოჯახმა მოახერხა 1902 წელს ვლადივოსტოკში გადასვლა და საცხოვრებლად იქ დამკვიდრება. ვლადივოსტოკში მაშინ ქართველების კოლონია იყო, ჰქონდათ საკუთარი ბიბლიოთეკა, ჰყავდათ კონსული კირილე გილოვანი. ამ ქალაქში სულ

სხვანაირად წარიმართა ბეშიძეების ოჯახის მომავალი თაობის ბედი და მათი ცხოვრების გზა.

ბეშიძეების ვლადივოსტოკში ჩასახლების შემდეგ მალე გარდაიცვალა ოჯახის მარჩენალი თედო ბარამიძე, ცხოვრების მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა წვრილშვილიან დედას — ალათის, რომელიც ძალღონეს არ იმუშრებდა. პატარებს შრომას აჩვევდა, თავიანთი სამშობლოს სიყვარულს, მშრომელი ხალხის პატივისცემას და მეფის დამქაშების სიძულვილს უღვივებდა გულში. დედის რჩევითა და ხელშეწყობით მ წლის ნიკომ მუშაობა დაიწყო ზეინკლის შევირდად ამჟამად „დალზავოდად“ წოდებული ქალაქის მექანიკურ სახელოსნოში. ეს სახელოსნო ვლადივოსტოკის პროლეტარიატის საბრძოლო ცენტრს წარმოადგენდა. მძიმე და აუტანელი იყო ცხოვრების პირობები, ბეშიძეების ოჯახს არ გააჩნდა სახსრები, ყმაწვილს კი სწავლის დიდი სურვილი ჰქონდა. პატარა ნიკო სახელოსნოში რომ მუშაობდა, თან იქვე სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა, სამუშაოდან თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ახმარდა და ასე შრომასა და სწავლაში გადიოდა დრო. ცნობისმოყვარე და ინტერესიანი ბიჭუნა ხშირად ესწრებოდა მუშათა კრებებსა და მიტინგებს. აქვე მიიღო ნიკომ პირველი რევოლუციური ნათლობა. უკვე ამ პერიოდში მას ხშირად ავალებენ მუშებს შორის გაავრცელოს არალეგალური-სააგიტაციო ფურცლები. მამაცი და შეუპოვარი ახალგაზრდა ყოველთვის კარგად ართმევდა თავს მიცემულ საპასუხისმგებლო დავალებებს, ამიტომაც ბოლშევიკი ხელმძღვანელების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ნიკო აქ დაუკავშირდა ახალგაზრდა რუს რევოლუციონერს, ზეინკალ ალექსანდრე გულბინოვიჩს და მისი განუყრელი მეგობარი გახდა, მასთან ერთად ეწეოდა რევოლუციური ბრძოლების მძიმე ჭაპანს.

ნ. ბეშიძის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეფის მოხელეებს და იგი 1911 წელს სამუშაოდან დაითხოვეს, — საპირველმაინსო გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობის სამზადისში მონაწილეობისათვის. ნიკომ მალე მუშაობა დაიწყო სამხედრო ნავაადგურში, სადაც კვლავ მეტი გაქანებით განაგრძო რევოლუციური საქმიანობა: ნიკო ბუნებით იყო კაცთმოყვარე, მშრომელი ადამიანების პატივისცემელი და დამფასებელი, მათი ინტერესების თავდადებული დამცველი. ამ თვისებების წყალობით მან მრავალი

ერთგული მეგობარი და მხარდამჭერი გაიჩინა. მისი ხელმძღვანელობით მუშაობა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, შეიარაღებულ გამოსვლებში, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ დაპატიმრებულ რევოლუციონერთა ოჯახებს.

1914 წელს მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ნ. ბეშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს მძარცველური ომის საწინააღმდეგო გამოსვლებში, იცავს ლენინურ საზს ომისა და ზავის საკითხებში, მონაწილეობას იღებს მიტინგებისა და კრებების მომზადებაში, ავრცელებს პროკლამაციებს, აგიტაციას ეწევა თვითმპყრობელობისა და უსამართლო, მძარცველური იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

1917 წელს ნ. ბეშიძე, როგორც სოციალიზმის საქმისათვის ნაცადი მებრძოლი რსდმპ რიგებში მიიღეს, ამ დღიდან კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ამრიგად, ნ. ბეშიძე დიდ ოქტომბერსა და შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეხვდა, როგორც უკვე გამობრძმედილი რევოლუციონერი და ნაცადი ბოლშევიკი ხელმძღვანელი.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდხანს ვერ იარსება. იმპერიალისტებსა და შინაგან კონტრრევოლუციას არ სურდათ შერიგებოდნენ შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა წყობილების დამყარებას. ამის შედეგად 1918 წლის ივნისში ვლადივოსტოკში მოხდა კონტრრევოლუციური გადატრიალება. დაიწყო ინტერვენციის, მკაცრი ტერორისა და სამოქალაქო ომის ყველაზე მძიმე წლები. ვლადივოსტოკის ნავსადგურ „ზოლოტოი როგის“ ყურეში შემოვიდნენ ამერიკისა და იაპონიის სამხედრო გემები, რომლებმაც ქალაქში გადმოსხეს თავიდან-ფეხებამდე შეიარაღებული სადესანტო ჯარები. მანჯურიიდან დაიძრნენ თეთრგვარდიელი არამზადები, დაიწყო წითელი მებრძოლების განუკითხავი დასჯა-წამება. მოკლეს ვლადივოსტოკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კონსტანტინე სუხანოვი, ელმავლის ლუმენი დაწვეა ლეგენდარული რევოლუციონერი სერგეი ლაზო. შემოსეულმა მტერმა ქალაქში გააჩაღა ძარცვა-გლეჯა, აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ძარცვავდნენ ბანკებს, საზღვარგარეთ გაჰქონდათ ხალხის სიმდიდრე: ხე-ტყე, ქვანახშირი, ბეწვეული, თევზი, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა.



იაპონიის ჯარებმა ხელთ იგდეს ზღვისპირეთის საბჭოები და დაეხმარნენ თეთრგვარდიულ მემბოხეებს, რომლებმაც შეიმდგ ბურჟუაზიული წყობილება აღადგინეს.

რეაქციის თარეშის ამ მძიმე დღეებში ბოლშევიკები იძულებული გახდნენ დროებით იატაკქვეშა სამუშაოზე გადასულიყვნენ, მაგრამ ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ, პირიქით, თანდათან გააძლიერეს მუშაობა მასებში. შეუდგნენ იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციის ხრიკების მხილებასა და გამოაშკარავებას. ნ. ბეშიძის ბინა ბოლშევიკების საბრძოლო შტაბად გადაიქცა. შორეული აღმოსავლეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და საბჭოებმა მობილიზაცია უყვეს მთელ ძალებს მომხდური და შინაური ბანდების გასანადგურებლად. მშრომელმა მოსახლეობამ, მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკების აღნიშნულ ონისძიებებს მებრძოლი რაზმების შექმნითა და მათი ფრონტზე გაგზავნით უპასუხეს. მუშები და გლეხები ნებაყოფლობით, მასობრივად შედიოდნენ წითელ პარტიზანთა რაზმებში.

1920 წლის 31 იანვარს პარტიზანებმა ქალაქის მუშათა რაზმებთან ერთად სასტიკად დაამარცხეს თეთრგვარდიელთა რაზმები, ვლადივოსტოვიდან გააძევეს კოლჩაკელი გენერალი როზანოვი და მისი დამქაშები. ამ გამარჯვებამ ფრთხილ შეასხა და საბრძოლველად აღანთო ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

1920 წლის მარტში გაიმართა გუბერნიის პროფკავშირების პირველი ყრილობა, მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნ. ბეშიძემ. ამ დროს იგი აირჩიეს მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარედ და ამ პოსტზე დარჩა კიდევ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მეზღვაურები თავიანთ რევოლუციურ და საბრძოლო საქმიანობას წარმართავდნენ ქალაქის მექანიკური სახელოსნოების მუშებთან მჭიდრო კონტაქტში. ნ. ბეშიძეს ამ ძნელ, მაგრამ საპატიო საქმიანობაში მუდამ მხარში ედგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი ა. გულბინოვიჩი, რომელიც თავის ქართველ ძმადნაფიცთან ერთად იყო ორგანიზატორი მუშათა სახელოსნოებში წითელ პარტიზანთა და მუშათა მებრძოლი რაზმების შექმნისა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლასა და მტრის საბოლოოდ განადგურების საქმეში.

მუშათა არალეგალურ კრებებსა და მიტინგებზე, მექანიკურ სახელოსნოებში

ში ხშირად შეხვედბოდით ნ. ბეშიძეს. იგი ესაუბრებოდა მუშებს, მეზღვაურებს, პარტიზანებს ქვეყნის ყველაზე საჭირობოროტო საკითხებზე, მსმენელებს განუმარტავდა პარტიის პოლიტიკას. ამ პერიოდში განსაკუთრებით მგზნებარედ გაისმოდა მისი მოწოდება, ებრძოლათ მოღალატე ძმების მერკულოვებისა და მათი ავი ზრახვების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებდნენ ინტერვენტების მითითებითა და მათივე დავალებით. მამაცი ქართველი რევოლუციონერი ასრულებდა რა პარტიის მთელ რიგ საბრძოლო დავალებებს, ამავე დროს არ წყვეტდა საავტოცაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას.

ნ. ბეშიძის ხელმძღვანელობითა და მისი უშუალო მონაწილეობით 1921 წლის 16 ივნისს გაიფიცნენ ნავსადგურ „ზოლოტოი როვის“ მუშები და მეზღვაურები. კონტრრევოლუციამ მუშათა და მეზღვაურთა გაფიცვას უპასუხა გაძლიერებული რეპრესიებით. გაფიცვის მონაწილენი და ისინი, ვისზეც ეჭვი მიიტანეს ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობაზე, სამუშაოდან დაითხოვეს. მამინ მეზღვაურთა კავშირმა ნ. ბეშიძის ხელმძღვანელობით ბოიკოტი გამოუცხადა ყველა იმ საწარმოს, საიდანაც გაფიცვის მონაწილე მუშები და მეზღვაურები დაითხოვეს სამუშაოდან.

ასლოვდებოდა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების თარეშის აღსასრული. ეს დროც მალე დადგა. 1922 წლის ოქტომბერში ვლადივოსტოკში სასიხარულო ხმა დაირხა, პარტიზანთა და წითელარმიელთა რაზმები ქალაქს უახლოვდებოდნენ. ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელთა ბანდებმა იგრძნეს თავიანთი ბატონობის აღსასრული და ხელი მიჰყვეს მოსახლეობის გაძლიერებულ ძარცვა-გლეჯას, ცდილობდნენ დაეჩქარებინათ შორეული აღმოსავლეთის მთელი სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანა. მტრის ამ ვერაგ ზრახვებსა და აღვირახსნილობას მუშათა პროფკავშირებმა დაუპირისპირეს თავიანთი რიგ-

ბის ორგანიზებულობა და შემხილრობა.

ინტერვენტების უახლოესი გეგმილი ნავსადგურ „ზოლოტოი როვის“ ყურეში, ისინი ელოდნენ ნადავლს და ემზადებოდნენ საზღვარგარეთ გასაქცევად.

ბოლშევიკებმა და მუშათა პროფკავშირებმა თავიანთ მხრივ მიიღეს გონივრული და დროული გადაწყვეტილება — უცხოეთის არც ერთი გემი არ გაემავათ ნავსადგურიდან, ყველა გემი და მთელი მათი სიმდიდრე შეენარჩუნებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საჭირო იყო სწრაფი და გამამწყვეტი მოქმედება, რომ მტერს არ დაესწრო თავისი ვერაგული ზრახვების განხორციელება. შეიქმნა გაფიცულთა კომიტეტი, მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ნ. ბეშიძე. მუშათა კომიტეტმა გადაწყვიტა, 19 ოქტომბერს ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების გაქცევის წინააღმდეგ დაეწყოთ ქალაქში საყოველთაო გაფიცვა. ნ. ბეშიძესა და მის ამხანაგებს დაევალოთ, ნაწილ-ნაწილ დაეშალათ „ზოლოტოი როვის“ მდგარი უცხოეთის ყველა გემი და მოწინააღმდეგისათვის მოესპოთ ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება. დაიწყო გემების დაშლისათვის მზადება, ნ. ბეშიძე თავგამოდებით შრომობდა, რევოლუციონერები დასახული მიზნების განხორციელებისათვის არ იშურებდნენ ძალ-ღონეს. საქმე წინ მიიწედა, მაგრამ არც მტერს ეძინა და ნ. ბეშიძის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა მოწინააღმდეგისათვის. საიდუმლო პოლიციამ მუდმივი ზედამხედველობა დაუწესა ნ. ბეშიძეს, მას აგენტი მიუჩინეს, რომელიც ფეხდაფეხ დასდევდა. დიდ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას საფრთხე დაემუქრა. 1922 წლის 17 ოქტომბერს დაატუსაღეს ა. გულბინოვიჩი. პოლიცია ნ. ბეშიძეს დაექებდა. 18 ოქტომბერს გაფიცულთა კომიტეტის ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემ-



ნ. ბეშიძის სახელობის ქუჩა ქალაქ ვლადივოსტოკში.

გეტყვი

პირდაპირ ვითხრათ? გეტყვით: თქვენს მხრებზე მინდა ფრენა, მინდა მფრინავი ეტლით დავსერო სივრცე ზენა. გეტყვით, პირდაპირ გეტყვით: თქვენ გენაცვალეთ, თქვენ!

მზე რაა? თქვენ ხართ ჩემი მზეც, მთვარეც, მიწაც, ცაცაც; კავკასიონი ჰქვია, მე შევიყვარე რაცა.

აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს ვეტრფი, მათი დიდება მმოსავს გეტყვით, პირდაპირ გეტყვით!

ეს ჩემი გული არის ერთი უსაზღვრო ხნული, ხნულში სამ მარცვლად ღვივის სამი ძმის სიყვარული.

გეტყვით, რომ სულით გეტრფით, მუნად იზრდება რწმენა. გეტყვით, პირდაპირ გეტყვით: თქვენ გენაცვალეთ, თქვენ!

მითა ხოდახნელი

ზაფხული

არსად იძვროდა ერთი ფოთოლიც, ბალახიც თითქოს თვლემას მინებდა. დღემდა ბუნება პირველყოფილი, ერთი ჭრიჭინაც არ ჭრიჭინებდა.

ვამი აჰქონდათ სურვილი მიწის წელმალალ ალვებს — ბიჭებს ჭალარებს. ღრუბლები ეცნენ ერთმანეთს რიხით. კისრულით ყირა გადაატარეს...

უცებ მოდიდა დამშრალი ღელე, წვიმამ სიმები ააწკრიალა და ვალმოხდილი კაცივით მერე ილიმებოდა ზეცა კრიალა...

დევ ნ. ბეშიძეც შეიპყრეს. თეთრგვარდიელთა საპყრობილები პატიმრებით აივსო, მათ სასტიკად აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ.

ოქტომბრის ერთ საღამოს, — იგონებს ნ. ბეშიძის და ევატერინე, — ნიკო დავგვიანებით მოვიდა შინ. ოჯახში ყველას ძალზე გაეხარდა მისი გამოჩენა, რევოლუციურ საქმიანობას გადაყოლილი, ის ხომ იშვიათი სტუმარი იყო სახლისა. განსაკუთრებით დელავდა და შეილის შინ არყოფნას მწვავედ განიცდიდა დედა, ამიტომ მან თვალცრემლიანმა შესჩივლა შვილს: — შვილო, სულ გარეთ რომა ხარ, ამ არეულობაში არაფერი შეგემთხვევსო, ხომ იცი, რა ურჯულეობები არიან თეთრები, მტერმა არ დაგვაზანოს და გული არ მოუკლა შენს უბედურ დედასო.

ნიკომ დედას მხრებზე ხელი მოხვია და ალერსით უთხრა: — ნუ გეშინია, დედა, ჩემი ჯავრი ნუ გექნება, თეთრებს მალე დავამარცხებთ, იაპონელებს კუდილით ქვას ვასროლინებთ და ბედნიერი ცხოვრება გვექნება, შენც მოისვენებ და მეცო.

18 ოქტომბერს დილით ნიკომ ოჯახთან ერთად ისაუზმა და წავიდა. ნიკოს შინიდან გასვლის რამდენიმე საათის შემდეგ ორმა მუშამ ბეშიძეების ოჯახს საზარელი ამბავი აუწყა: თეთრმა ჯალათებმა ნიკოლოზი დააპატიმრესო. ამ ცნობით თავზარდაცემულმა დედამ საშველად ქართველების კონსულ კირილე გელოვანს მიმართა, რომელმაც გამწარებულ ქალს დასამშვიდებლად მხოლოდ ეს უთხრა: ნუ გეშინია, ალათი, თქვენს შვილს სასიკვდილოდ ხელს ვერავინ ახლებსო.

მალე ცნობილი გახდა, რომ ნ. ბეშიძე და ა. გულბინოვიჩი ჯალათებს ნავ „მანჯურიით“ იაპონიის ზღვაში გაეყვანათ და იქ აწამებდნენ, ორი დღის შემდეგ კი პატიმრები „რუსული კუნძულის“ საპყრობილებაში ჩამწყვდიდეს და მხეცური წამებით ცდილობდნენ მათ გამოტყვას ბოლშევიკების განზრახვის შესახებ უცხოეთის გემების დაშლის თაობაზე. ცდილობდნენ აგრეთვე გავგოთ, ვინ იყვნენ ბოლშევიკური პროკლამაციებისა და მუშათა გაფიცვების მოთავეები. ამოდ ცდილობდნენ ამობრძმედილი რევოლუციონერების ნებისყოფის შერყევას და სულით გატყვას, მტერმა ვერაფერი შეიტყო... ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დიდხანს არავინ იცოდა, რა ბედი ეწიათ მამაც რევოლუციონერებს ნ. ბეშიძესა და ა. გულბინოვიჩს.

მართალია, ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა მოახერხეს გემების

დაშლის ორგანიზატორების საპყრობილებაში ჩამწყვდევა, მაგრამ ბოლშევიკებმა თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება მაინც შეძლეს, უცხოელთა ყველა გემი გატაცებული ნადავლით დაკავებულ იქნა და საბჭოთა ხელისუფლების საკუთრებად გამოცხადდა.

1922 წლის გვიან შემოდგომით ვლადივოსტოკში წითელი არმიისა და პარტიზანების შემოსვლისა და იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე მეზღვაურთა პროფკავშირებმა და სხვა ორგანიზაციებმა საგანგებო ზომები მიიღეს, რომ მოეძებნათ და ესხნათ დაპატიმრებულ რევოლუციონერთა სიცოცხლე, მაგრამ ამაოდ, მათი კვალი დიდხანს არსად ჩანდა. მხოლოდ 1923 წლის მაისში მოულოდნელად ფარდა აეხადა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა საშინელ მხეცობას, როცა ზღვის ტალღებმა ვლადივოსტოკის სანაპიროზე გამოირიყა მათუღით გადაბმული და საშინლად დასახიჩრებული ორი რევოლუციონერის გვამი. ვერავინ შეძლო მათი ცნობა. მხოლოდ დედამ ბავშვობის დროინდელი ნაჭრილობევი მუხლითა და დაზიანებული ცერით ამოიციწო თავისი შვილი. ცნობილი გახდა თეთრგვარდიელთა ხელით ნაწამები და დაღუპული რევოლუციონერების ვინაობა. სამოქალაქო ომის სწორუპოვარი გმირები დიდი პატივით დასაფლავეს ვლადივოსტოკის ეგერმელდის სასაფლაოზე.

ასე ცხოვრობდა, იბრძოდა და დაიღუპა ნიკო ბეშიძე, რომელმაც შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეს შესწირა ახალგაზრდობა, თავისი მშვენიერი სიცოცხლე. დიდია ნ. ბეშიძის დამსახურება ქართველი, რუსი და სხვა ხალხების საბრძოლო თანამებოძობის განმტკიცებაში, ამიტომაც მაღლიერი შთამომავალი არ ივიწყებს მის ღვაწლსა და ნამაგარს. გარდა იმისა, რომ ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი ამშვენებს, ვლადივოსტოკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სათუთად უვლიან და ინახავენ ნ. ბეშიძის სახელოვან წარსულთან დაკავშირებულ ფოტო და წერილობით დოკუმენტებს. ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული რევოლუციონერის საქმიანობა დავიწყებას არ მიეცემა.

საპარტაპ რეზინაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



გამოცემლობა „მოლოდინა გვარდია“ გამოუშვა წიგნი „წიგნის ანბანი“. იგი განათვნილია იმართვის, ვინც ახლა უფრო ცხოვრებაში, ვინც ფიქრობს, როგორი უნდა იყოს. ამ წიგნში მოთვალისწიებულია ნარკვევები, მოთხრობები, საუბრები სიკეთესა და ბოროტებაზე, მომთხროვნელობასა და პრინციპულობაზე, ნებისყოფაზე... მათი ავტორები არიან: მწიგნობარი, შურნალისტები, მეცნიერები, პედაგოგები, აქიმატი. ერთი სიტყვით, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანები. მათი გამოცდილება, მსჯელობა, დასკვნები და ზოგჯერ ეპიკური, ვიწროვანი, ძალზე საინტერესო და სასარგებლო იქნება შენთვის, ჩვენო კვირფასო მკითხველო, და ამიტომ გავაძვირებთ, შურნალის ფურცლებზე თანდათანობით გამოვაკვამხეთ თავები აღწერილი წიგნით.



წიგნის ანბანი

ავტორიტეტი

აღიარებული მნიშვნელობა ორგანიზაციის, კოლექტივის, თეორიისა და ა. შ., რაც ემყარება მშრომელთა ფართო მასების ნდობას; პიროვნება, რომელიც სარგებლობს გავლენით, პატივისცემითა და ნდობით.

როდესაც ორნი რაიმე საკითხის ირგვლივ კამათობენ, ისინი ხშირად იშველებენ მესამის, ორივეს მიერ აღიარებული პიროვნების აზრს. ეს მესამე მათთვის ავტორიტეტია. არსებობს ასეთი მცნებაც „მედიატორი“, როდესაც, ორნი ვერ შეთანხმდებიან, მოილაპარაკებენ, რომ ისინი განსაჯოს ვინმე მესამემ, მიუკერძოებელმა პიროვნებამ. ასე ხდება არა მარტო ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ ხშირად სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის დროსაც. თუ ერთ ქარხანას აქვს პრეტენზიები მეორის მიმართ, ეს უკანასკნელი კი ამ პრეტენზიებს უმართებულოდ თვლის და მათ არ იღებს, ისინი ამ საქმეს განსაჯელად გადასცემენ სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელსაც არბიტრაჟი ეწოდება და სწორედ ეს არბიტრაჟი დაადგენს, რომელი მხარეა მართალი. არბიტ-

რაჟი, თუ მის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებიან, იაქტულების ზომას მიმართავს, მაგრამ თვით იღუა, რაც მას საფუძვლად უდევს, გამომდინარეობს ადამიანების ცხოვრებისეული აუცილებლობიდან — ჰქონდეს ავტორიტეტი.

პირველყოფილ საზოგადოებაში, როდესაც მთელი ქონება: შუბები, მშვილდისრები, ცხოველთა ხორცი, მიწისა და ტყის ნაყოფი, თვითონ მიწა და ტყე — ყველაფერი საერთო იყო, ადამიანებისთვის საკმარისი იყო გამოცდილი მონადირეების „წმინდა“ ავტორიტეტი. მაგრამ როდესაც წარმოების განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა კერძო საკუთრება და, ცხადია, უთანასწორობა, ამ ახალი წესების დამკვიდრებისათვის აუცილებლად საჭირო გახდა ძალაუფლება. მას შემდეგ ავტორიტეტის გვერდით, რომლის ყურადღებაც არავისთვის არ არის სავალდებულო, არსებობს ავტორიტეტი ადამიანებისა და დაწესებულებებისა, რომელთა განკარგულების შეუსრულებლობაც კანონით ისჯება.

თუმცა ეს დროებითი მოვლენაა, — ასე თვლიან კომუნისტები. კომუნისმის დროს, როდესაც ქონებრივი უთანასწორობა, ვაჭრობა და სახელმწიფო მოსპობა, ისევე, როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ოღონდ ცივილიზაციისა და ადამიანთა შეგნებულობის შეუღებლად უფრო მაღალ საფეხურზე, კვლავ მხოლოდ „წმინდა“ ავტორიტეტები იმოქმედებენ. სწორედ ამისთვის არის კარლ მარქსის იდეების ავტორიტეტის ძალა, რომ ისინი უპასუხებენ კაცობრიობის ამ ოც-

ნებას, რომელიც ცოცხლობს, როგორც მათი შორეული წინაპრების სრული თავისუფლების ხსოვნა.

სიტყვასთან „ავტორიტეტი“ ბევრი გამოთქმაა დაკავშირებული, რომელთაც სხვადასხვა ვითარებაში თითქმის ყოველდღიურად ვისმენთ: ავტორიტეტის განმტკიცება, ავტორიტეტის შელახვა, ავტორიტეტის გამოყენება, ავტორიტეტის დამხობა, ავტორიტეტის არაღიარება და სხვა...

კლასის დამრიგებელი, რომელიც უჩვენებს ბავშვებს, როგორ უწევს ანგარიშს მათ მიერ არჩეულ კლასის მამასახლოსს, ამით ამტკიცებს მის ავტორიტეტს. ამასვე აკეთებს, მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, როდესაც ხალხის თანდასწრებით ეთათბირება, რჩევას ეკითხება ბრიგადირს, აგრონომს, იღებს და აფასებს მათ წინადადებებს.

ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ბევრია გაკეთებული სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების უფლებათა გაფართოებისათვის.

ესეც მათი ავტორიტეტის განმტკიცებაა.

ძალიან ცუდია, როდესაც ისწრაფვიან ყოველნაირად აამაღლონ ისეთი კაცის ავტორიტეტი, რომელმაც იგი უკვე დაკარგა: ცუდად მუშაობს, თავი უღირსად უჭირავს. ცხადია, არც ის ვარგა, როდესაც ცდილობენ ჩაგვიწვრიონ ვინმეს მიმართ განსაკუთრებული მორიდება და პატივისცემა, მხოლოდ იმიტომ,



რომ ამ უკანასკნელს დიდი თანამდებობა უჭირავს. ხომ ცნობილია, თანამდებობა, ადგილი კი არ ამშვენებს ადამიანს, არამედ, პირიქით, თვითონ ადამიანმა უნდა დაამშვენოს თანამდებობა.

ამასთან, სწორედ ისინი, ვისაც ეს უბრალო ჭეშმარიტება ავიწყდება, თავიანთი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას იღებენ, როგორც მათი ავტორიტეტის შელახვას. სიმართლის მარცვალი ამაში, ცხადია, არის. კრიტიკა ადამიანის შეცდომებზე, ნაკლზე მითითებაა და სწორედ ამიტომ მას ავტორიტეტს არ მატებს. მაგრამ კრიტიკა, როდესაც სამართლიანია, რა გეფეცობა, უნდა აიტანო!

ძნელი და ფაქიზი ხელოვნებაა ჭკვიანურად გამოიყენო საკუთარი ავტორიტეტი.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობა კაიზერის გერმანიასთან ზავის დადების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ხოლო ლენინი ზავის მომხრე იყო, მან სასწორზე დადო მთელი თავისი ავტორიტეტი და განაცხადა, რომ იგი გადადგებოდა დაკავებული თანამდებობიდან, თუ ბრესტის ხელშეკრულება დადებული არ იქნებოდა.

დიდი ხანია შენიშნულია, რომ ახალგაზრდებს ხშირად ორი უკიდურესობა ახასიათებთ, ან ყველა ცალკეულ შემთხვევაში ყველა საკითხზე მთავარი უმაღლესი ავტორიტეტი, ანდა, საერთოდ, არ უნდათ ცნონ არავითარი ავტორიტეტი. რაციონალური მარცვალი, ცხადია, პირველ პოზიციასაც აქვს და მეორესაც, მაგრამ ამას დაზუსტება და გარკვევა სჭირდება. დაე სწრაფვამ ავტორიტეტისაკენ მიგიყვანოს იქამდე, რომ იპოვო დამრიგებელი, შენი სულიერი ხელმძღვანელი, რომელსაც შეგიძლია რჩევა ჰკითხო, მიენდო, ვისაც გინდა მიჰბაძო ცხოვრებაში. ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს მასწავლებელი, მწვრთნელი, დედ-მამა, ანდა ოჯახის რომელიმე მეგობარი — ამის ათასგვარი ვარიანტი არსებობს. ასეთი ადამიანის შერჩევას შეგნებულად უნდა მიუღვე, კარგად მოიფიქრო და ისე გა-

დაწყვიტო, ვინაიდან ამაში უნდა ხედავდე ერთ-ერთ იმ მიზანთავანს, რომელთა ახალგაზრდობაში მიღწევისაგან ბევრია დამოკიდებული.

რაც შეეხება მეორე პოზიციას — „არავითარი ავტორიტეტი არ არის საჭირო“ — ამის მიზეზი გახლავთ თვითდაჯერება, სულელური სიჯიუტე, ყოყოჩობა და ბევრი კიდევ სხვა არც ისე მოსაწონი თვისება. საკუთარი ძალებით ყველაფერში გარკვევის სურვილი მოსაწონი განზრახვაა, ოღონდ თუ ეს დაკავშირებულია სხვისი გამოცდილების ხელაღებით უარყოფასთან, შენ უთუოდ დაიბნევი, ანდა სულაც საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგოდ ვინმეს უკეთურ გავლენაში მოექცევი.

თუ ყველა და ყოველი ავტორიტეტის უაზრო უარყოფა უმეტეს შემთხვევაში უბრალოდ სისულელეა, ამ ავტორიტეტების წინაშე ბრმა ქედმობრაც ძალზე მავნებელია და საშიში. ამას ყოველმხრივ ადასტურებს ცხოვრებისეული გამოცდილება.

თითქმის ყველა უდიდესი აღმოჩენა ეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებმაც ეჭვი მიიტანეს ამა თუ იმ სპეციალისტის ავტორიტეტზე, შეხედულებაზე, აზრსა თუ წარმოდგენაზე. ყველა დიდი, ანდა უბრალოდ სერიოზული სწავლული სწორედ იმიტომ არის ასეთი, რომ ერთხელ მაინც გამოვიდა ზღაპრის იმ ბიჭუნას როლში, რომელმაც შენიშნა, რომ მეფე შიშველი იყო.

უავტორიტეტებოდ კაცობრიობა უთუოდ ვერ იარსებებდა, მაგრამ ავტორიტეტების დაუმზობლად იგი ნამდვილად ვერ განვითარდებოდა, წინ ვერ წასწევდა მეცნიერებას, ტექნიკას, მთელი თავისი ცხოვრების წარმოებასა და ორგანიზაციას. ცხოვრება ერთ ადგილზე გაიყინებოდა, თუ ყოველ ახალ ცოდნასა და დასკვნას საბოლოოდ მივიჩნევდით, მამ რაღა აზრი აქვს სწავლასა და საკუთარი გამოცდილების მოპოვებას?

ყველა ეპოქის უნიჭიერესი, ყველაზე ნათელი გონების ადამიანები დაუღალავად მოაგონებენ ხოლმე ამ ჭეშმარიტებას ადამიანებს.

ჭრიყვი დაიყვი

გათოშოლ ტყეში შინდის ხემ თოვლისფრად გამოანათა, გახარებულმა დათუნამ მის ძირას მოიკალათა. ეს რა უეცრად აყვავდა, სხვა ხეებს ისევე სძინავთო, სულ მალე ნაყოფს დაისხამს და შეიგეჰქვივი ტკბილადო. ფიქრობს და მალა შეისცქერის სვებედნიერის იერით, ზვალის იმედით სულდგმულობს, თათებს ილოკავს მშიერი. ტყე გადამწვანდა, აყვავდა, ფირი ეცვალა ხეგხუვებს; დათვი კვლავ შინდის ძირას წევს, ისევე იმედით შეჰყურებს. უჩვეულო მამული დამწიფდა, თხილი დამრგვალდა ლამაზად, წაბლი ქურქს იძობს ნელ-ნელა, ყანაში ტარო დაბაზდა. ტყეებს მოედო ნადირი, გასუქდა მხეცი ყოველი, დათვი კვლავ შინდის ძირას წევს, მის დამწიფებას მოელის. სტანჯავს, აწუხებს შიმშილი გულის და სულის ამშლელი. ღონე ეღივო თანდათან, თათის მოლოკვა არ შევლის. გამოილია მავალი, სიმინდიც, თხილიც, წაბლიცა... შინდი ახალა შეთვალდა, ოქროს მარცვლებად გადიქცა. მაგრამ... ვაჰ, დათვი ვერ დგება, ღონე არ მოსდევს დაკრდომილს, შიმშილით დასუსტებულსა მწარე ცრემლები გადმოსდის.

ასხნოვ ტყეში

ხანძარს სძინავს, დიდ ხანძარს ერთ პატარა ღერში; ვაი, სადაც გაჩნდება, კაცს ჰქუდიდან შეშლის. უცებ აბრიალდება და დაიწყებს ტკაცანს; წლობით ნაშრომს, ნაშენებს ქარს გაატანს ნაცრად. ტყეებს აქცივს უდაბნოდ, მწვანე მდელოს მოზრავს, უსახლკაროდ დატოვებს ოჯახს, მრავალ ოჯახს. გულს მოუკლავს სუყველას ხალვლით, დარდით, ღელვით ერთი ღერი ასანთის, პაწაწინა ღერი.



უნდა ეფრინა, ვიდრე მზეს შემოუვლიდა და ისევ ორბიტის ამავე წერტილში აღმოჩნდებოდა.

ქარონის კოსმოსური ბილიკის გადაკვეთისას „ფარნავაზი“ წამში ორმოცი ათასი კილომეტრი მიკროლა სისტემის ცენტრისაკენ. მზე აქედან სულაც არ ჰგავდა მზეს, იგი სამი ათას ორასჯერ უფრო სუსტად ანათებდა, ვიდრე დედამიწაზე. უტას შეეცოდა კიდეც მშობლიური მნათობი და გული შეეკუმშა, თითქოს მის უმწეობაში თვითონ ყოფილიყოს დამნაშავე.

თუმცა იახტის რეაქტორები არ მუშაობდა, „ფარნავაზის“ სიჩქარე, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც განუხრელად იზრდებოდა — შორეული მზის მიზიდულობის ძალა აქედან უკვე საკმაოდ საგრძნობი იყო და ხომალდი ყოველ წამს იძენდა მცირეოდენ აჩქარებას. ცხადია, მზის გრავიტაციული ველი ქარონის ორბიტიდან როლი იწვებოდა, მისი გავლენის სფეროს რადიუსი 150 ათას ასტრონომიულ ერთეულამდე — ზოგიერთი კომეტის აფელიუმამდე* მიდიოდა. ის კი არა, მათემატიკოს გეორგ ჰილის გამოთვლით, ამ ველის საზღვარი მზიდან 230 ათასი ასტრონომიული ერთეულის დაშორებით გადის. მაგრამ ამას თავი გავანებოთ, ასეა თუ ისე, უტა ფაზიამ ორგზის დაამუხრუჭა „ფარნავაზი“: ერთხელ — სწორედ ჰილის ხაზზე, მეორედ — უშორესი კომეტის აფელიუმის წერტილში, და იახტის კოლოსალური სიჩქარე, რომლითაც იგი თვეების მანძილზე მიარღვევდა სივრცეს, წამში სულ რაღაც ორმოც ათას კილომეტრამდე დაეცა.

ხვალ უტა ფაზიამ მესამედ უნდა ჩართოს სამუხრუჭე რეაქტორები. მერე კიდეც ორი-სამი კორექციაც დასჭირდება და ათიოდე დღის შემდეგ „ფარნავაზი“ მზის მიმართ შეიჭრება მშობლიური ცისფერი პლანეტის ატმოსფეროში.

ათიოდე დღე, ორას ორმოცამდე საათი...
 ნეტა რა ახალი ამბებია დედამიწაზე? მართალია, არც ისე დიდი ხანია, რაც იქიდან გამოფრინდა, მაგრამ ახლა დრო ისეა აჩქარებული, ორი-სამი წლის კი არა, ხში-

ნუგზარ
 აუსანავა

მხატვარი
 იოსებ სამონაძე.

გაგზის სასილი

ფანტასტიკური მოთხრობა

1

— ესეც ასე! — უტა ფაზია სავარძლის საზურგეს გადააწვა, წელში გაიზნინა, მკლავები ფართოდ გაშალა და გაიზმორა. — შეგვიღია საკუთარი ეზოს ჭიშკარი და ეგ არის! მოვსულვართ!

„ფარნავაზი“ ის იყო გადაკვეთა მზის სისტემის მეათე და ყველაზე განაპირა წევრის, სამი საუკუნის წინათ აღმოჩენილი პლანეტა ქარონის ორბიტა, რომელიც მზიდან სამოცდაჩვიდმეტი, ხოლო პლუტონის ორბიტიდან თითქმის ოცდათვრამეტი ასტრონომიული ერთეულით* არის დაშორებული. იახტის ილუმინატორიდან ჩანდა ცთომილის მქრქალად მოკიფე სფერო. უტა ფაზიასათვის უცხო და უჩვეულო არ იყო კოსმოსური მასშტაბები, მაგრამ მასაც კი გააუჩუოლა, როცა წარმოიდგინა, რამოდენა გზა ედო წინ ამ უკუნეთში გადაკარგულ პლანეტას, რომელსაც ექვსას ოთხმოცი მიწიერი წელიწადი

რად ერთი დღის განმავლობაშიც შეიძლება იმგვარი რამ მოხდეს, რომ მთელი კაცობრიობის ცხოვრება ერთი დაკვრით შეიცვალოს და სულ სხვანაირი გზით წარიმართოს.

დედას ამ ათიოდე დღის წინათ ელაპარაკა. დედამიწასთან მარსის რეტრანსლატორმა დააკავშირა დიდი ვივაგლახის შემდეგ. სისხლისფერ პლანეტაზე სილის ქარიშხალი ბობოქრობდა და ეკრანზე გამოსახულება უვარგისი იყო, მოცლილი მხატვრის მიერ გასართობად მოხაზულ ესკიზს ჰგავდა. უტამ მაინც შეიცნო მშობლიური სახის ნაკვთები და ცრემლი მოერია. კიდეც კარგი, ბგერითი კავშირი უნაკლო გამოდგა და შვილმა სიამოვნებით შენიშნა — დედის ხმა ჩვეულებრივად მხნედ და ხალისიანად უღერდა...

ნეტა ხათუნა რასა შვრება? ხალდედან დაბრუნების შემდეგ აღარ უნახავს. ვითომ დედამიწაზე დახვდება? „იმდენი მაგას რა ვუთხრა, — გაიფიქრა უტამ, — დედამიწაზე მაგან არ მოისვენოს. პირველსავე შემთხვევას

* ასტრონომიული ერთეული — 149 600 000 კმ (საშუალო მანძილი დედამიწიდან მზემდე).

* კომეტის ელიფსური ორბიტის მზიდან უშორესი წერტილი.

ხელიდან არ გაუშვებდა და სადმე კოსმოსში გაუტევდა.
ვინ იცის, ახლა, ამ წუთში, სად ამყარებს წესრიგს...“

„ძინ-ძილინი!“

უტა შეკრთა, სწრაფად გამოერკვა, ქრონომეტრს ახე-
და და უცებ მშვილდით მოიწიდა — მორიგ ვიდეო-
სენსორებზე ჯერ ათ საათზე მეტი რჩებოდა. მაშასადამე...
„ძინ-ძილინი!“

მაშასადამე, რაღაც მოხდა! სად? დედამიწაზე თუ კო-
სმოსში?.. ერთი რამ ცხადია — სიგნალი დედამიწისაა.
უტამ იცოდა, „ძინ-ძილინი“ ერთხელაც განმეორდებოდა
და მერე დაიწყებოდა ტექსტის გადაცემა. ნეტა რა ამ-
ბავია, ნეტავი რა მოხდა?

„ძინ-ძილინი!“

ეკრანი აციმციმდა, ზედ მზევულმა ტალღებმა გადაირ-
ბინეს. მერე ის ტალღები გაქრა და ცენტრში ფართო-
ყვრიმალეზიანი და ცხვირაპრეხილი მამაკაცის სახე გა-
მოჩნდა. უტამ მაშინვე იცნო იგი. წინ ისე გადაიწია, თი-
თქოს გამოსახულებას პაჭუა ცხვირზე თითი უნდა ჩა-
მოჰკრასო, და სმენად იქცა.

— ყურადღება, ლაპარაკობს დედამიწა! — ოდნავ ჩა-
ხლეჩილი ბარიტონით ხმადაბლა, მაგრამ მკვეთრად და
გარკვევით თქვა დიქტორმა. — ისმინოს ყველამ! ეს
ენება მზისქვეშეთის კოსმოსურ ფლოტს. ლაპარაკობს
დედამიწა! მზის სისტემის პირველი კლასის ყოველ
ხომოდს ბრძანება ეძლევა, კავშირი დაამყაროს შორე-
ული ნაოსნობის მართვის ცენტრთან! ვიმეორებ...

უტა ფაზია ინტერესით ათვალიერებდა დიქტორის
ულამაზო სახეს და თან სიამოვნებით ფიქრობდა, რა
დიდებული რამ იყო გალენას ველი. ჩვეულებრივი ელექ-
ტრომაგნიტური ტალღებით დედამიწიდან ქარონის
ორბიტამდე გამოსახულების გადაცემას დაახლოებით
ათი საათი დასჭირდებოდა (ერთი ასტრონომიული ერთ-
ეულის გავლას სინათლე რვა წუთსა და ოც წამს ან-
დომებს), გალენას ველი კი მთელ ამ დროს უმნიშვნელო
სიდიდემდე კუმშავს და, როგორც გამოსახულების გა-
დაცემა-მიღება, ისე საუბარიც რაიმე საგრძნობი ინტერ-
ვალის გარეშე მიმდინარეობს.

უტა ფაზიამ ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა, დე-
დამიწელი დიქტორის პაუზით ისარგებლა და გერმანულ
ენაზე ხმადაბლა თქვა:

— ჰერ ერის ფონ კელერ, დილა მშვიდობისა! გეთაყ-
ვა, რა მოხდა, ოდნავ უფრო გარკვევით ხომ ვერ ამიხ-
სნი?

ფართოყვრიმალეზიანი მამაკაცს წვრილი თვალები მო-
ულოდნელად გაუფართოვდა, ცხვირი კიდევ უფრო აებ-
რისა და უფერული წარბები შუბლზე აუცოცდა. მერე
სახეზე ნეტარება მოეფინა, გაიღიმა და თითქოს უნებ-
ლით აღმოხდა:

— უტა ფაზია!..

ხოლო მერე თავი მიაბრუნა და იერიქონის საყვირით,
რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიღრიალა:

— შეფ! ფრაუ ლიუდმილა! ხაზზე „ფარნავაზია!“ უტა
ფაზია, ფრაუ ლიუდა!

— რა გაყვირებს, საქსონიის ტყეებში ხომ არ გგონია
თავი! — ხუმრობანარევი წყრომით შეუძახა ნაცნობმა
ხმამ. მაშინვე ერის კელერის გამოსახულებამ მარცხნივ
მიიწია, დაპატარავდა და ეკრანის მარჯვენა ნახევარი ქა-
ლარაშერეულ სანდომიან ბანოვანს დაუთმო. ქალმა ოდ-
ნავ სევდიანი, დიდი ცისფერი თვალები შეანათა უტას:
— გამარჯობა, ჭაბუკო! მშვიდობა შენს მობრძანებას!
ახლა სადა ხარ?

— უტა ფაზიაზე მუდამ მომნუსხველად მოქმედებდა ლი-
უდმილა ივერინას მზერა. შეხედავდა და თვალს ვეღარ
აშორებდა.

მოთხრობა „მაპარ სამხილს“ „პიონერის“

კონკურსზე წამახალისებელი პრემია მიენიჭა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ივერინა!

— სადა ხარ?

— ქარონსა და პლუტონს შორის.

— უფრო ზუსტად?

„ფარნავაზის“ მეთაურმა ქრონომეტრს ახედა და წა-
მით ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია:

— დაახლოებით ერთი ასტრონომიული ერთეულით
გავცდი ქარონის ორბიტას.

ივერინამ ტუჩები მოკუმა და ზედ მაგრად მომუჭული
ხელი მიიღო:

— ცოტაა. სიჩქარე?

— წამში ორმოცი ათასი კილომეტრი.

— მაშასადამე, სატურნის ორბიტაზე მხოლოდ სამი
დღის შემდეგ იქნები, ხომ?

— არა, უფრო გვიან. თითქმის ხუთ დღეში.

— რატომ?

— ხვალ სამუხრუჭე რეჟიმზე გადავდივარ.

ივერინამ ოდნავ მოჭუტა დიდი ცისფერი თვალები და
უტას ისევ მომნუსხავი მზერა მიაპყრო.

— პირიქით?

— რა „პირიქით“?

— აჩქარება არ შეგიძლია?

„ფარნავაზის“ მეთაური მხრებში გაიმართა და ღირ-
ხეული, საკუთარ ძალაში დარწმუნებული კაცის ღიმი-
ლით გაიღიმა:

— რას ბრძანებთ, შემიძლია კი არა, თუ საჭირო იქ-
ნა, ერთ საათში ას ორმოც ათასამდე ავიყვან!.. მაგრამ...
რა მოხდა, ლიუდმილა? — უტა ფაზიამ პირველად მი-
მართა სახელით ივერინას და მაშინვე უხერხულობა იგ-
რძნო, მაგრამ ნათქვამს აღარაფერი დაუმატა.

ჭაღარაშერეულ ბანოვანს ამისთვის იოტისოდენა ყუ-
რადღებაც არ მიუქცევია, მაგრად მოკუმული ტუჩები
ისევ მოისრისა და თავი გვერდით გადახარა:

— ჰიდალგო გაგიგონია?

უტამ მხრები აიჩიჩა და გამოცდაზე გასულ მოწაფე-
სავით უპასუხა:

— ასტროიდი ნომერი ცხრაას ორმოცდაოთხი: აღ-
მოაჩინა ვალტერ ბაადემ 1920 წელს; დიამეტრი — ორ-
მოცდათორმეტი კილომეტრი; მასა — სამი მთელი ოც-
დათხუთმეტი მეასედი გრამი გამრავლებული ათის ოც-
დამეშვიდე ხარისხზე; ჰიდალგოს ორბიტის სიბრტყე ეკ-
ლიპტიკის სიბრტყესთან ორმოცდასამგრადუსიან კუთ-
ხეს ადგენს...

— ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორბიტა სხვა
ასტროიდეებთან შედარებით ძალზე გაწეილია, — შე-
აწყვეტინა ივერინამ, — და ყველაზე მეტად უახლოვდე-
ბა სატურნს, აფელიუმში ამ პლანეტისაგან სულ მცირე
ხუთნახევარი ასტრონომიული ერთეულით არის დაშო-
რებული...


— კი, მაგრამ...

ივერინამ მარჯვენა ხელის იდაყვი მაგიდას დააყრდნო
და ხელისგული გაშალა — იყუჩეო.

— სატურნი ახლა მზის მიღმა იმყოფება, ჰიდალგო კი
აფელიუმს უახლოვდება და სატურნის ორბიტიდან ხე-
ლის გაწვედნაზეა. შენ ახლა ყველაზე ახლოს ხარ ამ ას-
ტროიდის აფელიუმიდან და, ცხადია, შენ მოგიხდება
მისი სტუმრობა, თუკი, რა თქმა უნდა...

უტამ მოუთმენლად გააქინა თავი:

— „თუკი“ არ არსებობს... ოღონდ, ბოლოს და ბო-
ლოს, ამიხსენით, რაშია საქმე? აგერ უკვე რამდენი ხა-



ნია ვლასარაკობთ და გარკვეულად ჭერაც არაფერი ვიცი... ან ეს კელერი რაღას იღიმიება? — უტას გაღიზიანება შეეტყო და კელერი მყისვე დასერიოზულდა. — უბედურება მოხდა რამე?

— უამბე, ერის, — ხმადაბლა თქვა ლიუდმილამ. — სულ თავიდან მოუყევი, ოღონდ მოკლედ.

ახლა წინა პლანზე ისევ კელერის გამოსახულებამ წამოიწია. ივერინამ ოღნავ სიღრმეში გადაინაცვლა. უტამ თვალი გააყოლა და კელერს ყურადღება მხოლოდ მაშინ მიაქცია, როცა ერისმა გაუღიმა და თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

— ზე!.. — მოუთმენლად შეაგება უტა ფაზიამ. — გისმენ!

— მაშ ასე. — კელერმა რატომღაც მხრები აიჩეჩა და ისედაც სველი ტუჩები რამდენჯერმე გაიღოკა. — მაშ ასე. ამ მოკლე ხნის წინათ ჰიდალგოზე გაიგზავნა კოსმოგონიური ექსპედიცია. ეს ექსპედიცია ბოლოდროინდელი კომპლექსური კვლევის ერთ-ერთი რგოლია. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ბოლოს და ბოლოს ამოიცნონ მზის სისტემის ასტეროიდთა წარმოშობის საიდუმლო, სახელდობრ: მარსსა და იუპიტერს შორის გაფანტული ურიცხვი ასტეროიდი მართლა პლანეტა ფაეტონის ნამსხვრევებია თუ, პირიქით, მიმდინარეობს აკრეციის პროცესი და მერე, იქნებ ერთი მილიონი წლის შემდეგაც, ამ ასტეროიდებისაგან კარგა მოზრდილი პლანეტა ჩამოყალიბდეს, რომელიც მოერგება და შეავსებს ბოდე-ტიციუსის ცნობილი წესის* ხარვეზებს...

— მერე, ჰიდალგო რა შუაშია? — იკითხა უტამ.

— ერთი შეხედვით, ეს ასტეროიდი მართლაც განზე დგას და დანარჩენებთან თითქოს არაფერი ესაქმება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი ანომალიური და განსაკუთრებულია, იქნებ სახელდობრ ჰიდალგოზე აღმოჩნდეს ის ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია მთელ პრობლემას მოჰფინოს ნათელი.

უტამ ჰიდალგოს გაწეული ტრაექტორია წარმოიდგინა და ტუჩები უნდობლად ამოხურცა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ჰოდა, სწორედ ჰიდალგოზე გაიგზავნა ერთ-ერთი ექსპედიცია, — განაგრძო კელერმა — „ათინამ“, რომელმაც იგი ჰიდალგოზე გადასხა, გზა განაგრძო და ახლა სადღაც ბერნარდის ვარსკვლავის რაიონშია. ასტეროიდზე ერთი პირობა უველაფერი კარგად მიდიოდა, ექსპედიციის წევრები ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდნენ ჰიდალგოს და მშვენიერი მასალაც მოიპოვეს, მაგრამ ერთ დღეს უბედურება მოხდა და სულ რაღაც ოციოდე წუთში მოულოდნელად დაიღუპა ოთხი ასტრონავტი...

— როგორ? რა მიზეზით?

— ეს ჭერ არავინ იცის და სწორედ შენს კისერზეა, ამის გამოკვლევა. მზის სისტემაში ახლა, შენი „ფარნავაზის“ გარდა, არც ერთი პირველი კლასის ხომალდი არ არის. მხოლოდ შენ შეგიძლია ჰიდალგოსთან მისვლა და ექსპედიციის კატასტროფის მიზეზების გამოძიება...

- ყველა დაიღუპა?
- არა, ყველა არა.
- სულ რამდენი წევრი იყო?
- ხუთი. ოთხი დაიღუპა, აკი გითხარი.
- ვინ და ვინ იყვნენ?

* ბოდემ და ტიციუსმა მარტივი არითმეტიკული მწკრივით ერთმანეთთან დააკავშირეს მზის სისტემის პლანეტების ორბიტათშორისი მანძილები. მათი წესის თანახმად, მარსსა და იუპიტერს შორის (მარსიდან 1,4 ასტრონომიული ერთეულის, ხოლო იუპიტერიდან — 2,4 ასტრონომიული ერთეულის დაშორებით) უნდა არსებობდეს კიდევ ერთი პლანეტა.

— ივ რადიმიჩი, ექსპედიციის მეთაური. არ შეიძლება არ გახსოვდეს — ვარსკვლავთა ოპტიკას განსწავლეთ და აკადემიაში...

უტას გული შეეკუმშა.

— მახსოვს... კიდევ?

— კიდევ ნოელ ორიოლი, ბენტ იენსენი და სელიმ შირაზი. სელიმმა, თუ გახსოვს, აკადემია ჩვენზე ერთი წლით ადრე დაამთავრა.

უტამ შუბლი შეიჭმუნხა, მაგრამ შირაზი ვერ გაიხსენა.

— მეხუთე ვინღაა, ვინ გადარჩა?

— სტაჟიორია ერთი, ქალიშვილი. დიანა სტაშკოვა. სწორედ ის დაგვიკავშირდა...

2

დედამიწასთან საუბარი დაამთავრა თუ არა, უტა ფაზიამ კომპიუტერს ასტეროიდთან შეხვედრის სვლაგეზი გამოათვლევინა, რეაქტორები მთელი სიმძლავრით ჩართო და ოცდათექვსმეტი საათიც არ იყო გასული, რომ აფეთქებიდან დაქანებული ჰიდალგოს თავგადადებულ მონადირესავით კვალში ჩაუღდა. უნიფათო მანძილზე მიახლოვდა კიდევ ექვსიოდე საათი მოუნდა და, როცა ასტეროიდისა და „ფარნავაზის“ სიჩქარეები გათანაბრდა, უტამ სავსებით გამორთო მცირე სიმძლავრით მომუშავე სამანევრო რეაქტორი. ჰიდალგო — გიგანტური კლდის ოვალური ნატეხი — იახტის თავზე ეკიდა და საკმაოდ სწრაფად ბრუნავდა საკუთარი ღერძის გარშემო. „ოჰო, — გაიფიქრა „ფარნავაზის“ მეთაურმა, — ამ ასტეროიდს ალაბთ საგრძნობი გრავიტაციული ველი ექნება“.

და უტა ფაზიამ მრავალნაცადი ბიოკომბინეონისაკენ გაიწიოდა ხელი.

3

მას შემდეგ, რაც დედამიწას მომხდარი უბედურების ამბავი შეატყობინა, დიანა სტაშკოვას თვალებს რული არ მიჰკარებია. სტაჟიორს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უპატრონოდ არ მიაგდებდნენ, მაგრამ მაშველის მოსვლამდე ამ ჯოჯოხეთურ ასტეროიდზე მარტოდმარტო გადობდა არ გინდოდა? ვინ იცის, საიდან მოეღის ახალი საფრთხე! აკი გუშინ ბეწვზე გადარჩა: დილით იმ საბედისწერო პლატოს მიაკითხა. ის იყო, კონუსისებურ კლდეს წვეროზე მოექცა, რომ ნიადაგის რყევა შეიგრძნო. მიიხედა და საფეთქლები გაუცივდა — ბაზის თაღფაქს მეტეორიტი დასცემოდა. დაჯახების ადგილას ვეება შადრევანივით ამოსკდა დიდ-პატარა კლდის ნამსხვრევები და წარმოუდგენელი სიჩქარით აიჭრა შავ, გაყინული ვარსკვლავებით მოჭედილ სივრცეში, რათა ახარსოღდეს დაბრუნებულიყო უკან, ასტეროიდის ზედაპირზე. ჰიდალგოს გრავიტაცია ამ მასის სხეულისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დედამიწაზე არსებულ სიმძიმის ძალის აჩქარებას ბევრად ჩამორჩებოდა. ამიტომ, თუმცა დიანას სპეციალური გრავიფეხსაცემელი ეცვა, მხოლოდ ათიოდე ნახტომი დასჭირდა, რომ ორმოცდაათმეტრიანი მანძილი გადაელახა და განადგურებულ ბაზასთან გაჩენილიყო. საშინელი სურათი გადაეშალა თვალწინ სტაჟიორს: კომპაქტური ტელედანადგარის ადგილას დაგრეხილი ნიკელისა და ვანადიუმის ხროვა ეყარა, ნამსხვრევებს დაეღეწა ოქსიგენერატორის* კორპუსი, იქვე მიმოფანტულიყო საკვების ტუბები, ზოგი — გაგლეჩილი, ზოგიც — დაუზიანებელი. კი-

* ოქსიგენერატორი — უანგბადის მწარმოებელი დანადგარი, რომელიც უანგბადს უშუალოდ მინერალისაგან ამომიშუავებს (ფანტ).



დევ კარგი, ყველგანმავალი მოშორებით იდგა და არ დაზინებულა (ყველგანმავალი ერქვა, მაგრამ ამ ფანტასტიკურ ხერგებში ყველგანმავალი კი არა, თავი ვერ მოიქნევდა კუდს). დიანამ ყველაფერი, რაც კი გადარჩა, უმაქნის მანქანაში გადაზიდა, რომელსაც ახლა სადგომის მაგივრობა უნდა გაეწია, მერე დაჯდა და ცოტა წაიტირა კიდეც.

ვინ იცის, ჰიდალგოს ას წელიწადში ერთი მეტეორიტი თუ ეწვევა და ბედი არ გინდა — სწორედ ახლა მოვარდა და მაინცდამაინც ბაზის შენობას დაასკდა თავს! თითქოს საგანგებოდ დაუმიზნესო!

დიანა ყველგანმავლიდან გამოძვრა და ისევ იმ გადასახედ კონუსურ კლდეზე ავიდა.

აქედან ხელისგულივით ჩანდა მომცრო პლატო. მის ზედაპირს, გარშემო შემოჭარულ კლდეებთან შედარებით, უფრო ღია ფერი ჰქონდა, თითქმის ნაცრისფერი დაჰკრავდა, ალაგ-ალაგ მკრთალ ღიმონისფრადაც ციალებდა. შორეული მზე სუსტად ანათებდა, მაგრამ მას სატურნი და მისი თანამგზავრები ეხმარებოდნენ და პლატოს შუაგულში მაინც მკაფიოდ ჩანდა ოთხი თეთრკომბინეზონიანი ასტრონავტის უძრავი სხეული, სამი — თითქმის ერთად, ერთმანეთისაგან ხელის გაწვდენაზე, მეოთხე — ცოტა მოშორებით... უკვე მეხუთე დღეა, ასე წვანან...

დიანამ თვალები დახუჭა და ის ავი დილა მოიგონა...

ასტეოიდს ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდნენ. უკანასკნელი ბანაკი სათვლავით მეცამეტე იყო (მოდი და ნუ ირწმუნება რიცხვ ცამეტის ეშმაკეულობას!). პლატო იმავე საღამოს (აქ „დილა“ და „საღამო“ პირობითად იხმარებოდა — დედამიწის დროის მიხედვით) დაზვერეს კონუსური კლდის წვეროდან და პირველად სელიმ შირაზიმ თქვა — ამ მშვენიერ მოედანზე მგონი გონიერ არსებას წაუმუშავებიაო. იგ რადიმიჩის გარდა ყველას გაცეინა. იგმა ხმადაბლა ჩაახველა, ძალზე ხმადაბლა, მაგრამ რადიოფონებმა ეს ხმადაბალი ჩახველება მიიტანეს ასტრონავტთა სმენამდე და ბიჭები გაჩუმდნენ (დიანა კი ისედაც არ აპირებდა ხმის ამოღებას და არც გაცეინა). „ხვალ ვნახავთო“, — წყნარად თქვა ექსპედიციის უფროსმა და მსუბუქად ჩამოხტა კლდიდან.

ხვალეც დადგა.

ბაზაში სამორიგოდ დიანა დატოვეს — მისი ჯერი იყო. მოწყენილი იჭდა ტელეეკრანთან და უყურებდა, როგორ გადადიოდნენ ასტრონავტები ახორხილი კლდეების ერთი ქიმიდან მეორეზე, ჯერ ერთი ამოეფარებოდა აყუდებულ ტინს, მერე სხვა გაქრებოდა თვალსაწიერიდან. პლატოზე რომ გავიდნენ, შეჩერდნენ, ქვევით დაიხედეს, ფეხები დააბაკუნეს და ხელების ქნევა დაიწყეს — აშკარად ჩანდა, ცხარე კამათი გაიმართა. ყველაზე მეტს, აქედანვე ეტყობოდა, სელიმი დავობდა. ტანმორჩილი შირაზი ქვევიდან ზევით შეჭყურებდა ამხანაგებს და რალაცას გამწარებით უმტკიცებდა. მერე უცებ დაწყნარდნენ და წავიდნენ. წინ ნოელ ორიოლი მიდიოდა, მერე ბენტ იენსენი იყო, მას სელიმ შირაზი მიჰყვებოდა, ხოლო ყველაზე უკან იგ რადიმიჩი მიაბიჭებდა.

პირველი ორიოლი დაეცა. დიანამ ნათლად დაინახა, როგორ გაიღვრა რალაცამ მის ბეჭებშუა და იმ ადგილას კომბინეზონში ვარსკვლავისებური ხვრელი გაჩნდა. ნოელმა ხელები აიქნია და პირქვე ჩაემხო. ნელა, სულ ნელა ეცემოდა, კლდეს რომ შეეხო, სხეულმა უკუცემით ისევ ზევით აიწია და მერე საბოლოოდ გაეკრა ტინს. იმავე წამს იენსენმა მეკრძე იტაცა ხელი და ისიც ნელ-ნელა ჩაიკეცა. შირაზი წინ მიაწყდა — ალბათ ხელის შეშვლება თუ უნდოდა — და დიანამ ისევ ნათლად

შენიშნა, წელანდელივით როგორ გაიღვრა სელიმის ფასთან და მის მუზარადშიც გაჩნდა ვარსკვლავისებური ხვრელი. შირაზი როგორღაც გვერდულად წაიქცა. რადიმიჩმა, რომელიც ისედაც ოდნავ ჩამორჩებოდა ამხანაგებს, ახლა ნაბიჯი უკან გადმოდგა და მაშინვე რადიოფონში მისი მღელვარებისაგან მოკუდული ხმა გაისმა: — სტაშკოვა, აცნობე დედამიწას! ბაზა არ მიატოვო, პლატოზე ფეხის შემოდგმა არ...

ალბათ „არ გაბედო“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ზურგი იმასაც შეუხვრია იმავე გაელვებაში. არაბუნებრივად შექანდა, ერთხანს იდგა და ირხეოდა. მერე ისევე გამართული, მუსხლჩაუხრელი, მოჭრილ ხესავით წაიქცა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ დიანამ გაციკრვება და შეშფოთებაც ვერ მოასწრო. ის კი არა, როცა ყოველივე დამთავრდა, შემდეგაც კარგა ხანს იჭდა ეკრანთან თვალგაშტერებული, მხრებჩამოყრილი, გაშეშებული...

სტაშკოვამ თვალი გაახილა. არა, სასწაული არ მომხდარა, ოთხივე კოსმონავტი ისევ ისე უმოძრაოდ იწვა მოყვითალო-ნაცრისფერ პლატოზე.

დიანა ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გაემართა ყველგანმავლისაკენ.

რა ქნას?

დედამიწას უკვე შეატყობინა. სამი სამარქაფო უანგბადის ავზი აქვს. თუ მოზომილად ხარჯა, თითო თორმეტ საათს იკმარებს. ასე რომ, ორმოციოდენ საათის სამყოფი უანგბადის პატრონია.

საქმელი — რამდენიც გინდა.

მაშასადამე, უნდა ელოდოს. ამ ორმოციოდენ საათში ალბათ მოუსწრებს მაშველი. თუ არადა... ამბობენ, უუანგბადობით გამოწვეული სიკვდილი საშინელებააო, მომაკვდავი თურმე არაადამიანურ ტანჯვას განიცდის. ამიტომ... ამიტომ... როცა უკანასკნელი ავზი დაცლაზე მიდგება, კომბინეზონის საკინძეს გაიხსნის და...

და ჰიდალგოს კიდეც ერთი ყინულის ლოდი მიემატება.

4

— თანამედროვე იარაღის ნახელავი არ უნდა იყოს, — უტა ფაზია დიანას უყურებდა, მაგრამ, ეტყობოდა, ხმა-მალა ფიქრობდა. მან ის იყო დამთავრა ბაზის კატასტროფისას სასწაულებრივად გადარჩენილი ტელეფირის შესწავლა და ჯერაც თვალწინ ედგა იმ ტრაგედიის სურათი, რომელიც ერთი კვირის წინათ ჰიდალგოზე გათამაშდა. — უცნაური ჭრილობებია. მსკდომი ტყვიისას ჰგავს...

— როგორი ტყვისა? — დიანა ყველგანმავლის იატაკზე იჭდა, მიტყუებულ წვივებზე ხელები შემოეხვია და ზურგით მანქანის კედელს მიჭყრდნობოდა.

— მსკდომი ტყვისას. ოთხასიოდენ წლის წინათ ჩვენში, დედამიწაზე ხმარობდნენ ასეთ ტყვიებს. ეს ტყვია სხეულში შეჭრისთანავე ფეთქდებოდა, ქსოვილს ფლეთდა და მის მიერ მიყენებულ ჭრილობას განკურნება აღარ ეწერა.

— რამდენადაც ვიცი, ოთხასი წლის წინათ დედამიწელები ჰიდალოზე არ დაფრინავდნენ. არც სამასი წლის წინათ. ხომ?

უტამ თავის დაქნევით დაუდასტურა:

— არც ორასი, არც ასი წლის წინათ. საერთოდ, თქვენ პირველები ხართ, თქვენამდე აქ არც ერთ ადამიანს არ დაუდგამს ფეხი. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ისეთი არავინ არის ცნობილი, რომელსაც შეუძლია პირობიტეტში შეგვიტოლო.

— არაოფიციალურად?

კ. მარქსის სახელობა ბიბლიოთეკა

უტამ არაფერი უპასუხა: ფიქრიანი თვალები მიაპყრო ორასიოდე მეტრში აღმართულ უნაგირა კლდეს, რომელიც საოცრად ჰგავდა იალბუხს. ილუზიას ისიც აძლიერებდა, რომ შავჩრდილდაფენილი ტინის უნაგირი სატურნის რგოლების შუქით იყო მკრთალად განათებული და თოვლით დაფარული გეგონებოდა. მძაფრად მონატრა მთები — ნამდვილი, გორიანი მთები და არა ეს უფორმო კლდის ნატეხები. ჩავა თუ არა დედამიწაზე, აიკიდებს ზურგჩანთას, ხელში წერაყინს დაიჭერს და კავკასიონზე სახეციალოდ გასწევს. თვითონ, საკუთარი ფეხით ავა უძნელეს მწვერვალებზე — თორემ საბავირო გზით უშბასა და გამარჯვების პიკზე ახლა თითისოდენა ბაღლებიც კი აღიან.

უცებ დიანამ გაიცინა. სიზმარში ზანადაკის ხმას რომ გაიგონებ, ისეთი იყო მისი სიცილი.

— სულ სხვანაირი მეგონე...
— ა?

— სულ სხვანაირი მეგონე-მეთქი.
უტამ ახლალა შეათვალიერა ინტერესით დიანა.

„მთლად ბავშვი ყოფილა, — გაიფიქრა. — ლამაზი ბავშვი კია“. ხმამაღლა კი:

— უანგბადის მარაგი გაქვს? — ჰკითხა და კაბინას თვალი მოავლო.

— დაახლოებით სამ საათს კიდევ მეყოფა. უკანასკნელ ავშშილა დარჩა.

— საკმარისია.
— რას აპირებ?

უტამ ღრმად ამოისუნთქა:

— პლატოზე უნდა გავიდე.
დიანამ წვივებზე შემოსალტული ხელები შეაქანა და მერე მომუქა და მუხლებზე დაილაგა:
— ნუ იზამ, ივი ტყუილად არ ამიკრძალავდა პლატოზე გასვლას. ალბათ სახიფათოა. შეიძლება, ჯერაც ჩასაფრებული არიან...

— ვინ?
— ვინც ჩვენებს ესროლა.

— მერე, შენი აზრით, ვინ უნდა იყვნენ ისინი?

— რა ვიცი. იქნებ მაინც სხვებმა, უცხოპლანეტელებმა დაგვასწრეს აქ მოსვლა? ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რომელიღაც ძვირფას ლითონს მიაკვლიეს და ჩვენი გამოჩენა არ ეჭაშნიკათ?

— დავუშვათ... მაგრამ რაღა პლატოზე გასვლას დაუცადეს? მანამდე არ შეეძლოთ თქვენი ამოუღებელი?

დიანამ ხელები გაშალა:
— ალბათ ძალიან ახლოს მივედით მათ საიდუმლოსთან.


ფაზია წამით ჩაფიქრდა. მერე გადაჭრით წამოდგა. ბიოკომბინეზონის საკინძე შეიკრა და მუზარადს მისწვდა.

— მგონი, ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოსა ხარ. მაგრამ ზოგი რამ უნდა დაზუსტდეს. ერთი მოსაზრება გამოიჩინდა...

— უტა, იქ გასვლა სახიფათოა!

ფაზიამ ხელი გაუწოდა, დიანამ თავისი პაწია ხელი მიაგება და აჰყვა. ვაჟმა გაუღიმა შეწუხებულ სტაჟიორს:

— ნუ გეშინია, ჩემი კომბინეზონი სასწაულებრივი



მასლისაგან არის გაკეთებული. მარტო კოსმოსური სიჩქარით მოვარდნილ მეტეორიტს თუ შეუძლია მისი დაზიანება, ჩვეულებრივი მსკდომი ტყვია რა ბედენაა! მეტეორიტი კი... აკი თვითონ თქვი, ას წელიწადში თურმე ერთი მეტეორიტი ცეცმა ჰიდალგოზე და ამას წინათ ისიც ჩამოვარდნილა. ასე რომ, არავითარი საფრთხე არ მელის და ტყუილად გეშინია... ნახევარ საათში აქა ვარ.

პლატოზე ფეხი შედგა თუ არა, უტა ფაზია მაშინვე დარწმუნდა, რომ სელიმ შირაზი მართალი იყო და აქაურობას მართლაც გონიერ არსებათა ხელი აჩნდა ფრთხილად, კუს ნაბიჯით მიდიოდა, თან დაკვირვებით ათვალიერებდა გარშემო ახორხილ ვეება ლოდებს. პლატო მართკუთხა იყო, მისი კლდოვანი იატაკი თითქმის იდეალურად გლუვი და კლდეს კი არა, მართლა ლითონსა ჰგავდა. „ნეტა რა უნდა იყოს? — გაიფიქრა უტამ... — ან ვინ ყარაულობს აქაურობას ასე გულმოდგინედ, როგორც ცერბერი ჰადესის კარებს?“ დახოცილ კოსმონავტიბამდე ათიოდე ნაბიჯი რომ დარჩა, შედგა და მიმოიხედა.

პლატოს შუაში კვეთდა ორივე მხარეს კლდეებში გაჭრილი, ასევე მართკუთხა კვეთის საკმაოდ ფართო ღარი („ნამდვილი გზატკეცილია“! — პირველად ეს გაიფიქრა უტამ, რომელმაც ეს უცნაური სარტყელი, ჰიდალგოს გარშემო შემოვლებული, „ფარნავაზიდანვე“ დაინახა). მხარმარცხნივ, იმ ადგილას, სადაც ეს ღარი პლატოზე შემოდოდა, ფაზიამ ორი შავი, უძრავი მოგრძო ლოდი შენიშნა. მხარმარცხნივ; მოპირდაპირე მხარეს, სამიოდე ასეთივე ლოდი ეგდო.

უტას არ უყოყმანია, შებრუნდა და მხარმარცხნივ წავიდა, „გზატკეცილის“ კიდურა ხაზის პარალელურად, მისგან ასე ათიოდე ნაბიჯის დაშორებით. არც კლდეებზე, არც ტინის ღარში არვითარი მოძრაობა არ შეუნიშნავს. ყველგანმავლისაკენ მიიხედა. „იალბუზზე“ დიანა იდგა უმოძრაოდ, თითქოს კლდეს შეზრდოდა. ხელის დაქნევა დააპირა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა. უცებ გაუელვა — ვაითუ გაუმართლებელ რისკზე მივდივარ, მეც დავიღუპო და სტაშკოვასაც ვერაფერი ვუშველოო. მაგრამ ცნობისწადილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ რისკზე ფიქრი მაშინვე მოისხიბა და გზა განაგრძო.

თითქმის კლდეს აკრული მიუახლოვდა „გზატკეცილისა“ და პლატოს გადაკვეთის წერტილს, იმ ორ შავ ლოდს დააცქერდა და შუბლი ცივი ოფლით დაეცვარა:

„პლატოს ნაცრისფერ იატაკზე ორი სკაფანდრიანი ადამიანი იწვა. თითოეული მათგანის გვერდით ხელის მძიმე ტყვიამფრქვევი იდგა და უამრავი ცარიელი მასრა ეყარა...“

5

„კოსმონავტიკის ისტორიის“ მეორე ტომში წერია: „1993 წლის 5 სექტემბერს კუნძულ მაუას (ჰავაის არქიპელაგი) კოსმოსურ ბაზაში შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფმა ხელთ იგდო სასტარტოდ გამზადებული საექსპედიციო ექსპრესი „კალაგენი“ და გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით, ხომალდი დედამიწაზე არ აღბრუნებულა.“

ამ უპრეცედენტო შემთხვევის შესახებ ოფიციალურ პრესაში სხვა, უფრო ზუსტ ან ხავსე ცნობას არ გაუჟონავს. მაგრამ საკვალიფიკაციო აკადემიაში მოსმენილი ლექციებიდან უტა ფაზიამ გაცილებით იმაზე მეტი იცოდა, რაც „კოსმონავტიკის ისტორიაში“ იყო მოთხრობილი. ამ აკადემიაში „კოსმოლოგიის შესავალს“ ფანტასტიკურად ერუდირებული და კრიმინალისტიკის თანდაყოლილი უნარით დაჯილდოებული ბრიტანელი პროფესორი ჯიმის ჯონსი კითხულობდა. ჯონსის ერთ-ერთი მეგობარი ამერიკული მონოპოლიის — „ვანადიუმ-კომპანის“ პრჩვეული იყო და ხელი მიუწვდებოდა ბევრ საიდუმლომდე, რომელთა გამოცნობაზე არაერთი იმდროინდელი გაზეთი თუ გამომცემლობა ოცნებობდა.

იმ „ბანდიტთა ჯგუფში“ ორიოდე თავზეხელაღებულ ცნობილ განგსტერთან ერთად რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი და ინჟინერი შედიოდა, რომლებიც ხელფასს „ვანადიუმ-კომპანის“ სალაროებში იღებდნენ. დედამიწის ვანადიუმის საბადოები თითზე ჩამოსათვლელი იყო, არადა, ამ ლითონზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდებოდა. სწორედ იმ პერიოდში კომპანიას ფინანსური სიძნელებები დაეწყო და მისმა მესვეურებმა გადაწყვიტეს დედამიწის მიღმა ეძებნათ პლატინაზე უფრო ძვირფასი ვანადიუმი. უბედურება ის იყო, რომ მარსსა და ვენერაზე კერძო კომპანიის წარმომადგენელს ცხვირსაც არ შეაყოფინებდნენ, მეკუკური, იუპიტერი და იუპიტერისიქითა პლანეტები კი ჯერ კიდევ თეთრ ლაქებად ითვლებოდნენ; მაშასადამე, რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ ასტეროიდები. საექსპედიციო ხომალდის ასაგებად „ვანადიუმ-კომპანის“ არც დრო ჰქონდა და არც სახსრები, ამიტომ მზამზარეული ტრანსპორტის გამოყენება გადაწყვიტა, რისკზე წავიდა და „კალაგენი“ გაიტაცა.

„კალაგენმა“ ასტეროიდების სარტყელისაკენ გაუტია. ვიდრე მარსის ორბიტას მიაღწევდა, ექსპრესი რეგულარულად გადმოსცემდა ცნობებს კომპანიის საიდუმლო კოსმოსური კავშირგაბმულობის სამსახურს, მაგრამ ასობით მცირე პლანეტის ქაოსში ჩაუტყუშებლავდა თუ არა, დამუნჯდა და პირში წყალი ჩაიგუბა. არავინ იცოდა, რომელ ასტეროიდზე „ჩამოვდა“ ხომალდი — ცერერაზე თუ იუნონაზე, ვიქტორიაზე თუ აკვიტანიაზე, ფლორაზე თუ მელპომენაზე, იქნებ სულაც რომელიმე უსახელო კლდის ნატების მსხვერპლი გახდა... იმედგადაწურულმა „ვანადიუმ-კომპანიმ“ კიდევ ათიოდე წელს იბარბაცა, კიდევ ბევრი ხრიკი იხმარა, მაგრამ წელში ვეღარ გაიმართა და წაიქცა.

...და აი, „კალაგენის“ სენსაციური გატაცებიდან ოთხას ოცდახუთი წლის შემდეგ ექსპრესის გაქრობის ბურუსით მოცულ ისტორიას ნათელი მოეფინა.

უტა ფაზიამ ბაგეზე იკბინა და თვალწინ ნათლად წარმოუდგა ჰიდალგოზე დატრიალებული ტრაგედიის პირველი აქტი:

კალაგენელები, რა თქმა უნდა, პირველად გამოუკვლეველი ასტეროიდების შესწავლას შეუდგნენ. რამდენიმე მცირე პლანეტა უბრალო კლდის ან ყინულის უფორმო ნატები აღმოჩნდა, სხვებზე ვანადიუმის ნახსიცი არ მოიპოვებოდა. მაგრამ განგსტერ-მეცნიერებს მალე ბედმა გაუღიმა: სწორედ იმ დროს ასტეროიდთა სარტყელში ჰაპანწყვეთით მიიკვლევდა გზას ჰიდალგო, რომელიც ის იყო თავისი პერიპელიუმიდან გადიოდა. პირველმავე ანალიზმა კალაგენელებს სუნთქვა შეუკრა: ეს ნესვისებური ფორმის ასტეროიდი თითქმის მთლიანად წმინდა ლითონური ვანადიუმის, მოლიბდენისა და კიდევ რამდენიმე სხვა იშვიათი ლითონისაგან იყო შედგენილი.

„კალაგენის“ ეკიპაჟს დრო არ დაუკარგავს და მაშინვე შეუდგა ვანადიუმის საბადოს ღია დამუშავებას. როგორც ჩანს, მას საკმაოდ მძლავრი ლაზერული ტექნიკა ჰქონია — სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა პლატოს და მასში შემდინარე ორი „გზატკეცილის“ ამგვარი სახით დამუშავება.

როცა ხომალდის სათავსები ვანადიუმის ზოდებით აივსო და სტარტის დრომაც მოაღწია, უცებ გამომუღავნდა, რომ ორ თავზეხელაღებულ განგსტერს ეკიპაჟის



ამოუღებელი და „კალაგენის“ ხელში ჩაგდება გადაეწყვიტა. ანგარიში ზუსტი იყო: თუ ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდებოდა, „ვანადიუმ-კომპანი“ პრემიას ოც-ზე კი არა, ორ კაცზე განაწილებდა და თვალის დახამხამებაში გამდიდრებული განგსტერები დანას დაკეცავდნენ, ლასოს დააზვევდნენ, სადმე კალიფორნიაში ან ახალ ზელანდიაზე დასახლებოდნენ და უდრტივებულად გალევდნენ წუთისოფელს.

მაგრამ ინჟინრებმა და მეცნიერებმა როგორც შეიტყვეს შეთქმულების ამბავი და წამიც არ დაუყოვნებიათ, მაშინვე მოქმედებას შეუდგნენ. როცა სტარტისათვის უკვე ყველაფერი მზად ჰქონდათ, განგსტერები შორს გაიტყუეს, სამი მკვლელი მიუჩინეს — ახალგაზრდა ინჟინრები, რომლებიც უკვე აღარ სჭირდებოდათ — და ისე, რომ მათი შეტაკების შედეგისათვის არ დაუცდიათ, სასტარტო დილაკს დააჭირეს თითი.

„კალაგენი“ ჰიდალგოს გაცდა, მაგრამ დედამიწას ვერ მიაღწია — რომელიმე ასტეროიდს თუ შეასკდა, ან მართვა მოეშალა და სადაც უსასრულებელში ჩაიკარგა, ან იქნებ რეაქტორმა იფეთქა და ამოდენა ხომალდი თვალის დახამხამებაში ფერფლად აქცია.

ჰიდალგოზე დარჩენილმა ხუთმა დედამიწელმა კი, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ „კალაგენის“ ეკიპაჟმა ისინი სასიკვდილოდ გასწვრა, საქმის ცოდნით, მეთოდურად დაცხრილა ერთმანეთი.

ამით დამთავრდა ტრაგედიის პირველი აქტი. მაგრამ ბოროტების თესლი ზოგჯერ ჭანგა ბალახივით

სიცოცხლისუნარიანია და ისეთ ადგილას ან ისეთ დროს ამოყოფს თავს, სადაც და როდესაც არ ელოდებიან. ოთხას ოცდახუთი წლის შემდეგ ამ ღვთისმშობელს უკვე უნდა ასტეროიდზე ტრაგედიის მეორე აქტი გათამაშდა:

უტა ფაზიამ იცოდა, რომ თუ ჰიდალგოს მასის მქონე სხეულის ზედაპირიდან თარაზულად გავისვრით საგანს (ამ შემთხვევაში — ტყვიას) ისეთი საწყისი სიჩქარით, რომელიც მეტია წრიულ ორბიტულ სიჩქარეზე* და ნაკლებია პარაბოლურ სიჩქარეზე**, ეს საგანი (ამ შემთხვევაში — ტყვია) სამუდამოდ მთავარი, მიმზიდველი სხეულის ორბიტაზე დარჩება. როგორც ჩანს, კალაგენელთა მიერ გასროლილი ტყვიების სიჩქარე („დაახლოებით 800-850 კილომეტრი წამში“, — გაიხსენა უტამ) სწორედ ამ შუალედში თავსდებოდა. მაშასადამე, ეს ტყვიები უკვე მესხუთე საუკუნეა დაქრიან ჰიდალგოს გარშემო, ადამიანთა ხელით გაჭრილი ლარის გასწვრივ და მშვიერი მგლების სროვის მადით ელოდებიან მორიგ მსხვერპლს...

ტყვიები ზედაპირიდან დაახლოებით ერთ დონეზე იყო გასროლილი, თანაც ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. სწორედ ამიტომ დიანას ამხანაგთაგან ზოგი მკერდში დაიჭრა, ზოგიც ბეჭებში, ხოლო ტანმორჩილ შირაზის ტყვია თავში მოხვდა...

„ფარნავაზის“ მეთაურმა თვალები მოჭუტა.

უტა ფაზია და დიანა სტაშკოვა მშობლიურ პლანეტაზე ჩაიტანენ ამ მწუხარე ამბავს. მართალია, დედამიწაზე „ვანადიუმ-კომპანის“ კვალიც აღარ დარჩა, მაგრამ უტა ფაზია და დიანა სტაშკოვა მაინც აღძრავენ საჩივარს მის წინააღმდეგ, რაკი ხელში ასეთი მკაცრი სამხილი ჩაუვარდათ.

მერე რა, რომ ამდენი დრო გავიდა, მერე რა, რომ დედამიწაზე უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს ამგვარ ბოროტებათა საფუძველი!

გალაქტიკაში ხომ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი პლანეტა, სადაც უამრავი რამ არის მოსაგვარებელი, სადაც ზოგჯერ ბოროტი ჯერ კიდევ სძლევს ხოლმე კეთილს. მათთვის სამაგალითოდ უნდა იქცეს ეს ნაღვლიანი ისტორია...

უტა ფაზიამ თავი ასწია. „იალბუზზე“ ქანდაკებასავით იღვა თეთრკომბინეზონიანი დიანა.

6

„ფარნავაზი“ ნელა, სულ ნელა დაეშვა პლატოზე, რომელმაც მშვენივრად გააწია კოსმოდრომის მოვალეობა.

კორპუსი ოდნავ შესამჩნევმა ბიძგმა შეაქანა. უტამ რეაქტორები გამორთო და ყური მიუგდო. დიანაც, რომელიც მეთაურის უკან იდგა და მის მხარეზე ხელი ედო, სმენად გადაიქცა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ოთხას ოცდახუთი წლის წინათ გასროლილი ტყვიების კორპუსზე მიჭახების ხმა არც ერთს არ გაუგონია.

მიუხედავად ამისა, უტა ფაზიამ იცოდა — ოცი წამის შემდეგ ჰიდალგოს ორბიტაზე ერთი ტყვიაც აღარ დარჩებოდა. ამიტომ ორიოდ წუთი რომ გავიდა, საძრომი გააღო, პლატოზე ჩავიდა და ოთხი ასტრონავტის გაშვებული სხეულები იახტის სალონში დაასვენა.

უტა და დიანა მცირე ხანს მდუმარედ დაჰყურებდნენ დალუპულ დედამიწელებს.

მერე „ფარნავაზის“ რეაქტორებმა ერთხელ კიდევ შეარყია ამერიდან უკვე უზიფათო ასტეროიდის სხეული. იახტამ მძლავრად გაიწია, ჰიდალგო ნელ-ნელა ჩამორჩა, დაატარავდა და შავეთში ჩაიძირა.

„ფარნავაზი“ მზისკენ მიიჩქაროდა.


* წრიული ორბიტული სიჩქარე — სიჩქარე, რომლითაც სხეული ორბიტაზე მოძრაობს.
** პარაბოლური სიჩქარე — დისპაციის სიჩქარე (იგივეა, რაც მერე კოსმოსური სიჩქარე), ანუ სიჩქარე, რომელიც უნდა შეიძინოს სხეულმა, რათა განთავისუფლდეს ვარსკვლავის, პლანეტის, ასტეროიდის მიზიდულობისაგან.

გული გვატკინავს

ამას წინათ ერთმა ჩემმა თანაკლასელმა ბიჭმა მთხოვა ისტორიის გაკვეთილების მომზადებაში დაგხმარებოდი. აბა უარს როგორ ვეტყობდი ამხანაგს! დავიწყეთ ერთად მეცადინეობა, მაგრამ ზოგიერთმა ჩვენმა კლასელმა ეს ამბავი გაატრიზავა—შეცვარებულები დაგვარქვეს. ორივეს ძალზე გვეტკინა გული. ნუთუ არ შეიძლება თანაკლასელ გოგონასა და ბიჭს შორის უნაგარო, ამხანაგური გრძნობა არსებობდეს?..

ნინო ალფინიძე,

გალის რაიონის ოტობაის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.



ნორკ კორასკონდნგთა ჟარნალი № 6

პირველი თოვლი

ზღაპარი

იყო ერთი თოვლის კაცი, ცის ღრუბლებში ჰქონდა ბინა. თეთრ ალმასებს აგროვებდა და გულაში ერთად ყრიდა. ზოგს ვარსკვლავებს წაართმევდა, ლურჯი ციდან მნათობს ხსნიდა, ზოგჯერ ღრუბლებს დააფრქვევდა და მის ცრემლებს ვერცხლად ქმნიდა.

გულა ნელა ივსებოდა, ივსებოდა ალმასებით, თოვლის კაცი მიათრევდა, იღლებოდა ტვირთის თრევით. და ერთხელაც ისე მოხდა, ისე მოხდა, რომ არ ელი, ის ჩამოვდა ერთ ღრუბელზე და გაუშვა გულას ხელი. გულა უცებ გადაბრუნდა, გულაც ტვირთით დაიღალა, ალმასები ტრიალ-ტრიალ დეიდაშიწას დაეყარა. იყო მთვარე გორის პირას თოვლის ცქერით დაღალული, იდო თოვლი მიწის ტვირთად თეთრ ალმასად დაფახტული.

თამარიკო სხვიტარნიძე,
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლა, VIII² კლასი.

იქნებ შეიბნონ...

ჩვენი კლასელი ვაჟები ყოველთვის ცდილობენ არაფერი გვაწყენინონ გოგონებს, მათ ნამდვილად იციან ამხანაგობის ფასი. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ზოგიერთ გოგონაზე. ისინი ჭორაობით, ენატანიობით ამხანაგებს შორის უნდობლობას თესვენ, ცდილობენ წლების მანძილზე თანშეზრდილი მეგობრები ერთმანეთს დააშორონ. ვურჩიეთ მათ ხელი

აეღოთ მოსწავლისათვის ამ შეუფერებელ საქციელზე, მაგრამ ჭერჭერობით ვერაფერს გავხდით. ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ, „პიონერის“ მკითხველებს გაცნოთ ჩვენი გულისტკივილი, იქნებ მათმა გამოხმაურებამ სასურველი შედეგი გამოიღოს.

დალი ბიგვაშაძე,

გულრიფშის რაიონის განახლების
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ზრთოსნავს პივეპველეთ

სოფელი, სადაც ზაფხულს ვატარებთ ხოლმე, მთისა და ბარის მიჯნაზე მდებარეობს. ტყე აქ აღრე ბევრი იყო. გვახსოვს, როგორ მოვიდნენ დიდი, მუხლუხა ტრაქტორები და დაუწყეს მუხნარს ამოძირკვა. იმ მუხნარში — იგი უფრო მთიან მხარეზეა — აუარებელი ფრთოსანი ყივივებდა, გალობდა...

წაქციულ ხეზე რომელი ჩიტი გაგიჩერდებათ, რომელი შაში არ დაფრთხება უზარმაზარი ტრაქტორის გუგუნში! ჰოდა, გადაიკარგნენ ჩვენი მხიარული სკვინჩები და ბელურები, ბოლოქანქალები და ლობემძვრალეები, შამვები და ბულბულეები... ცოტანილა დარჩნენ იმ არემარეში.

გაკაფული ტყის ადგილას ახლა ზოგან მანდარინის, ზოგან ჩაის პლანტაციებია. არც ერთის ბუჩქზე იკეთებს ჩიტი ბუდეს და არც მეორესი, მაგრამ გაშენდა ქარსაფარი ზოლები, სადაც თავი შეაფარეს ტყედაკარგულმა ფრთოსნებმა.

და მერე, იცით, კიდევ სად იკეთებენ ბუდეს?

საკარმიდამო ნაკვეთებზე მოხას-

ხასე ვაშლისა და მსხლის, ქლიავისა და კომშის ხეებზე.

გაზაფხულის ერთკვირიან არდადეგებზე სოფელს ვეწვიეთ.

ჟივ-ჟივ-წივ-წივ! — ჟღერებდნენ ჩიტები. სადღაც შაშიც კშთავდა.

— მოდი მივეშველოთ! — ვთქვით ჩვენ და სოფელი მეგობრებიც ავიყოლიეთ. ვიშოვეთ საჭირო მასალა და მალე ჩიტებისთვის სახლიც მზად იყო.

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... ხეებზე გავდგი.

თბილისში დაბრუნებულებმა ორი-ოდე კვირის თავზე წერილი მივიღეთ სოფლიდან. „ჩვენს გაკეთებულ სახლებში უკვე დასახლდნენ ჩიტები. ალბათ კვერცხებიც დადეს, მაგრამ ჩვენ არ ვსინჯავთ, გვეშინია არ დავაფრთხოთ“, — გვწერდნენ ტოლამხანაგები.

ახლა ერთი სული გვაქვს ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ჩასვლაში...

ზაზა და მამუკა გამსახურდიანი,
გლდანის № 1 სპორტული სკოლა-
ინტერნატი, VIII კლასი.

პოეზიისთვის!

მთები მწვანედ შეიმოსა, მოიჩითა კორდი, მდელი, კიდევ უფრო დაამშვენა გაზაფხულმა საქართველო.

მზე კაშკაშებს ცის ტატნობზე, მთელ ქვეყანას სხივით მოსაჯს, ფრთებხატულა გაზაფხული ყველასათვის მომილოცავს!

თამარ ფიცხელაური.
ახმეტის რაიონის აწყურის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

საქმილ მარხაქი

მნი გეგოგანის გეგანი

კავკასიური ზღაპარი

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი



ღარიბი ჩვენი ბინიდან
დილით მდიდართან მივიდა.

უთხრა: — ზეცაა წმინდა და
ნანატრი ღარი არი,
ბაზარში წასვლა მინდა და
მათხოვე სახედარი.

— ვირი დავკარგეთ, შენს გარდა
იცი სოფელმა მთელმა, —
მიუგო ღარიბ მეზობელს
მდიდარმა მეზობელმა.

უცხად, ყოყინი მოესმათ
აღშფოთებული ვირის,
ცბიერი მეპატრონისას
ვირიც მოთქვამს და ტირის.

— ფიცი მწამს, ბოლო მოცეხს, —
უთხრა ღარიბმა მდიდარს, —
მომესმა, ფიცავ სალოცველს,
ყოყინი თავლის მხრიდან.

— გაცუღდა სიტყვა მართალი, —
აყვირდა გაიძვერა, —
ვირის თუ გჯერა ნათქვამი,
ჩემი რატომ არ გჯერა?

ღარიბი გაწბილებული
გზაზე მიდის და ხედავს:
ბატკანი ატირებულა,
ბლავის და უხმობს დედას.

მხარზე მოიგდო ღარიბმა
აბლავლებული ცხვარი,

თავლას შეაგდო, გარედან
გადაურაზა კარი.

გათენებამდე ღარიბთან
მდიდარმა მიირბინა,
— გავიგე, ჩემი ცხვრისათვის
მიგიჩენია ბინა.
ვიცი, ბლავილით დაგლიდა,
არც გაძინებდა მშვიდად,
თუმცა გარჯადაც არ ღირდა,
მადლობელი ვარ დიდად.

— ვინ მოგატყუა?
ვინა თქვა?! —
უთხრა ღარიბმა მდიდარს, —
მე არაფერი მინახავს,
ფიცავ წმიდათა წმიდას.

— ვინც ეძებს,
იგი ჰპოვებსო, —
წასვლა უნდოდა მდიდარს, —
მაგრამ ბლავილი მოესმა
ღარიბის თავლის მხრიდან.

— ფიცი მწამს,
ბოლო მოცეხს, —
წყენით მიმართა ღარიბს, —
ხომ ხედავ,
ვირცხვენს სალოცველს
ბლავილი ჩემი ცხვარის?!

ღარიბმა მდიდარ მეზობელს
ცხვირწინ მიუგდო კარი,
უთხრა:

— სჯობს ჩემი გვეროდეს,
ვიდრე სულელი ცხვარის.





გაყუჩების დროს მხედველობის

თვალი ბავშვის დაბადებისთანვე ანატომიურად (აღნაგობით) ჩამოყალიბებული და დასრულებულია. თვალის ფუნქცია, ანუ მხედველობა კი ვითარდება 6 წლამდე. მის შემდეგ ზრდასთან ერთად ასაკის მომატების მიხედვით 15-20 წლამდე მხედველობა თანდათანობით სრულყოფილი და მყარი ხდება.

მხედველობის ორგანო, მართალია, თვალია მაგრამ, თვალის გარდა, მთელი ორგანიზმი მოწაწილებს მხედველობის პროცესში. უმთავრესად კი კუნთები და ნერვული სისტემა. მხედველობის პროცესში თქვენი გონება და ყურადღებაც სათანადო როლს ასრულებს.

თუ მხედველობისათვის სათანადო პირობები არ იქნება, მხედველობა დაძაბუნდება და თავის მხრივ მთელ ორგანიზმზე გავლენას მოახდენს.

საჭირო არის ვიცოდეთ, რომ თუ საგნებს ახლოდან ვუყურებთ, მაშინ თვალი იძაბება, იღლება. თუ საგნებს შორიდან ვუყურებთ, მაშინ თვალი ნაკლებად იღლება.

მხედველობა ნორმალურად რომ განვითარდეს, ბავშვებო, საჭიროა თვალის გაფრთხილება, მისი ჰიგიენა.

ჰიგიენა უპირველესად თვალის ნორმალურ განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. მაინც რა პირობებია საჭირო კარგი მხედველობისათვის? რა არის საჭირო იმისათვის, რომ თვალი დიდხანს ემსახურებოდეს ადამიანს, რომ ერთბაშად არ გადაიღლოს, რასაც შეიძლება მხედველობის დაქვეითება და დაზიანებაც კი მოჰყვეს?

მხედველობის ჰიგიენაზე როცა ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ, საგნის, ობიექტის განათებაზე. აქვე უნდა განვსაზღვროთ სინათლის წყაროს დაშორება ანუ მანძილი ნათურიდან წასაკითხ საგნამდე. ამასთან ერთად საჭიროა სინათლის თანაბარი განაწილება: არ შეიძლება, ოთახი იყოს ჩაბნელებული, ხოლო მაგიდა, მერხი და საგნები, სადაც თქვენ მუშაობთ, ძლიერ განათებული. მხედველობაზე ცუდად მოქმედებს თუ სამუშაო ადგილი ძალზე განათებულია და აქვე ბრჭყვიალა საგნებიც არის.

სკოლასა და სახლში სარგებლობთ ბუნებრივი (მზის სინათლე) და ხელ-

ოვნური (ელექტროგანათება) სინათლით. ოქტომბრიდან მარტამდე, საკლასო ოთახში, კედლებთან განლაგებული მერხების განათება 3-4 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ფანჯრებთან მდებარე მერხებისა. ამიტომ პირველ გაკვეთილზე (დილით) ელექტროგანათება უნდა ჩართოთ. ერთდროულად კლასი განათდება ბუნებრივი და ხელოვნური სინათლის წყაროთი. შერეული განათება კი თვალისათვის საზიანო არ არის.

ფანჯრებიდან სინათლე თავისუფლად უნდა შემოდოდეს, როგორც სკოლაში ისე სახლში. ფანჯრების ყვავილებით გადატვირთვა არ არის სასურველი. ფანჯრის მინა ხშირად უნდა გასუფთავდეს: შიგნიდან თვეში ორჯერ და გარედან წელიწადში სამჯერ.

ოთახის განათებაზე გავლენას ახდენს ოთახის ჭერისა და კედლების ფერი. მიღებულია, რომ ჭერი და კედლები ღია ფერის საღებავით იყოს შეღებული. ეს ხელს უწყობს მზის სინათლის ოთახში კარგად გავრცელებას. ასევე უკეთესია, თუ ოთახის კედლები პრიალა კი არ იქნება, არამედ დაბინდული.

საკლასო ოთახში სასურველია, გქონდეთ მწვანე და ყვავისფერი, ხოლო ხაზვის კაბინეტში შავი ფერის დაფა.

დაბალ კლასებში მერხებზე მოსწავლეთა განაწილება ხდება სიმალის მიხედვით.

მაგრამ საკმარისი არ არის მოხერხებული მერხი, საჭიროა, თქვენ, პატარებო, სწორად გამოიყენოთ იგი. დადგენილია, რომ ასაკის მომატებასთან ერთად თქვენ შორის იზრდება იმ ბავშვთა რიცხვი, რომელთაც ხერხემალი გამრუდებული აქვთ და ახლომხედველნი არიან. რათა თავიდან ავიშოროთ მხედველობის დაზიანება, აუცილებელია გავიგონოთ და გულისხმიერად მოვიქცეთ მოზობლებისა და მასწავლებლების რჩევა-დარიგებას მხედველობის ჰიგიენის შესახებ და სხვა.

მხედველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ორგანიზმის ჯანმრთელობას. თვალს აქვს აკომოდაციის (შეგუების) უნარი. ეს ნიშნავს იმას, რომ შეგიძლიათ დაინახოთ როგორც შორს, ისე ახლომდებარე საგნები. ზოგიერთს თვალის

აგებულების გამო აკომოდაციის უნარი დაკარგული აქვს. ასეთ შემთხვევაში თვალს ძალა ადგება, თვალი იტვირთება. დაახლოებით მესამე კლასისათვის მხედველობა ქვეითდება. ბავშვებს უჭირთ წერა, კითხვა, სწავლაზე გული უცრუვდებათ. შემდეგ დაერთვის თავისა და თვალის ტკივილი. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ექიმს უნდა მიმართოთ. იგი დაადგენს მხედველობის დაქვეითების მიზეზს და, თუ საჭიროა, სათანადო სათვალესაც შეარჩევს. თვალი აღარ გადაიღლება, კითხვა ისევ სასიამოვნო გახდება. ნერვული სისტემაიც დაწყნარდება. ამ დროს ბავშვი აღარ ჭირვეულობს, ხდება გამგონი, უკეთესად სწავლობს.

კითხვის დროს მაგიდასთან უნდა ისხდეთ წელში გამართული, წიგნსა და თვალს შორის დაშორება ნორმალურად უდრის 30 სმ. მაგიდის ნათურა კი თავსდება მარცხნივ.

თვალის ნორმალური მუშაობისათვის ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ჩვენი თხოვნაა, შეასრულოთ ეს რჩევა-დარიგებანი.

ჩვენ შეგვხვდა ზოგიერთი ბავშვი, რომლებიც შეჩვეული იყვნენ ახლო მანძილიდან წიგნის კითხვას. მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ეგონათ, რომ ბავშვს მხედველობა დაქვეითებული ჰქონდა. ჩვენი გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ ბავშვს თვალის აგებულება და მხედველობა კარგი ჰქონდა, მხოლოდ იყო გამოუმუშავებული არასწორი ჩვევა. ეს კი 2-3 წლის განმავლობაში უთუოდ იწვევს ახლომხედველობას. ამ დროს ბავშვი ხედავს მხოლოდ ახლო საგნებს და შორს მდებარეს კი ვერა.

მაშ, ჩვენო პატარა მეგობრებო, ცოდნის შესაძენად კარგი იარაღია ჯანმრთელი თვალი, ნორმალური მხედველობა. მხედველობის ორგანოს ფაქიზად უნდა მოექცეთ, თვალის ჰიგიენას ზუსტად უნდა ასრულებდეთ ყველანი.

წ. კოპანი,

საქართველოს სსრ
დაცვის სამინისტროს
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის
ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ხიჭი, ფერის და ჭინკა

გუგული გომონიკა

მხატვარი ვ. ფოცხიშვილი.

გოთხრობა

ლამით, ყველას რომ სძინავს, მარტები და შროშანები ზანზალაკებს აწკრი-
ალებენ და ტყე ჯადოსნური ჩურჩულით
ივსება:

- გამოდით...
- ახლა შეიძლება...
- ჰო, დროა, დრო...
- შტოები აკვანივით დაირწევინ, ამ-

რიალდებიან. ვითომ კარი გამოადესო, ხეებიდან ქურდულად ჩამოდიან თხი-
ლის ტოტივით მოქნილი ხის ფერები და ველი თითქოს თეთრი ყვავილებითა და კვირტებით ივსება. მთვარის ჩამო-
ღვრილ შუქზე შეჯვრდებიან: — ხომ არავინ გვაკლიაო, — დაიჩურჩულებენ. თუ ვინმეს მოისაკლისებენ, თვალბში სევდა ჩაუდგებათ. მერე ერთმანეთს შე-
ათვალეიერებენ, ეამბორებიან, დიდი ხნის უნახავივით სიხარულის ცრემლებს გადმოჰყრიან, და, იცით, ეს ცრემლი ქარიშხლისაგან ნაირრევე ჭრილობებს ელგაზე უსწრაფესად უშუშებთ! მერე ხელობილჩაკიდებულნი, ჩამომწყაზრე-
ბულები ფერხულს უვლიან. ისე მსუბუ-
ქად ცვეკვენ, ისე ჰაეროვნად მიმოდი-
ან, ბალახის ერთი ღეროც კი არ იქელებ-
ბა. ნამიც კი არ ცვივა ძირს. ღამეს ჭა-
ღარა რომ გამოერევა, თავთავიანთ სამ-
ყოფელს მიაშურებენ. შედიან ხეში, აწეწილ ფოთლებს ისწორებენ და ჯა-
დოსნური ამბორით განაკურნებულები ბედნიერად თვლებენ.

ავიანზე ბიჭუნა გადმომდგარიყო და
შუშპრობდა...



გედის ბუმბულივით მსუბუქად ეშვე-
ბოდნენ ცისარტყელას ფერებით ავსე-
ბული საპნის ბუშტები. პატარამ შეფ-
რფვინვით ჩააყოლა ამზიურებული თვა-
ლები.

— ჰა-ჰა-ჰა! — გაისმა სატანური ხა-
რხარი და ქარივით მოვარდნილმა ჭი-
კარტა ჭინკამ წიკპურტი გაჰკრა სიფ-
რიფანა ბუშტს. ბუშტი გაქრა...

— ე... ექ! — თვალეები დაენისლა ბი-
ჭუნას და წუთით გაირინდა... მერე ისევ ხელფაქიხად ჩამოაფრიალა. საპნის ბუშტები ცაცხავით დაემუნენ. დაბლა

ჩასვლას ვერც კი ასწრებდნენ. სიზმა-
რივით ქრებოდნენ. და ჰგონდა, წყნის
გორგალი, აგორდა და ცრემლად გად-
მოგორდა.

— უქ! — შეშრიალდა პაწია ცაცხვი,
ტოტები მკლავებივით გაშალა. მწვანე
ფურცლები ხელისგულივით შეუშვირა
კამკამა ცრემლს, დასიცხულ ტურნებთან
მიიტანა და ეამბორა. ცრემლს აღმური
მოედო და ყვავილად აბზინდა. ბიჭუნამ
თვალი ჰკიდა გამობრწყინებულ ყვა-
ვილს და შუბლი გაეხსნა.

ისევ ჩამოაფრიალა მზის სხივებით
აფერადებული ბუშტები...

ისევ გაისმა სატანური ხარხარი.
და ასე, ცალ თვალზე რომ ცრემლი
ეკიდა პატარას, მერე უდიმოდა...

ჰოდა, გახელდა ჭიკარტა ჭინკა. ჭინ-
კა მთიდან მოვარდნილი ღვარტაფი-
ვით მივარდა ცაცხვს და მკლავები მარ-
წუხივით შემოუჭირა. შიმელა ხე შე-
ირხა, გაიბრძოლა და ჭინკას დაუსხლ-
ტა. ნეკნებივით გაიტკაცუნეს ღეროებ-
მა.

— ვაი! — დააცდენინა ტკივილმა და
მოჭრილი მკლავივით ჩამოეკიდა ჩა-
მოსლენილი შტო.

— უუქ! — შეწუხდა ბიჭუნა და ტო-
ტი ააკრა. ავად გაიღიმა ჭიკარტა ჭინ-
კამ. მზემ თვალი ჩაუკრა პატარას და
ქედს იქით ჩაყურყუმელავდა.

იმ ღამით ცაცხვმა ღია ფანჯარაში
გადაჰყო ხელი. იქვე, საწოლში მძინა-
რე ბიჭუნას ლოყაზე მწვანე თითები
მოუცაცუნა, მერე თმაში შეუცურა და
აუწეწა.

ბიჭუნამ თვალი გაახილა. ხე ყვავი-
ლებით ავსებულიყო და სურნელებას
აფრქვევდა. უცებ შეირხა და ხიდან გო-
გონა გამოვიდა. ამ საოცრებაზე სიოც
კი გაიღურსა. ხოლო ბიჭი ისე გაოცდა,
თვალეები ჰყიტა.

მთვარის შუქი გედის ფრთასავით
ჩამოეშვა სიბნელეში. ბიჭუნამ ნათლად
ღაინახა — მის წინ ყელყარყარა გოგო-
ნა იდგა. მუქი თმის ჩქერალი დაჰფე-
ნოდა მხრებზე, კალთა ყვავილებით
ავესო და ყელზეც პაწაწა ყვავილების
ღადარე ჰქონდა შემოვლებული.

ბიჭუნა გაუნძრევლად იწვა. კარგად
ვერ გარკვეულიყო, სიზმარი იყო თუ
ცხადი. ბოლოს, როგორც იყო, გაბედა
ხმის ამოღება:

— ვინა ხარ?
— ხის ფერია! — ნიავივით აჩურ-
ჩულდა, — ხესთან ერთად ვიბადები,
ვიზრდები და... — გოგონა წუთით გა-
ირინდა, მერე შეხვეული მკლავი წინ
წამოსწია და ზედ საღი ხელი ფრთხი-
ლად ჩამოისვა.

— ჩემი ცხვირსახოცი?! — გაოცები-
საგან ფეხზე წამოხტა ბიჭი, — ამით
ხომ ჩამოსლენილი ტოტი ავაკარი?..

— ჩუმაღ, არავინ გაადვიძო! აკი გი-



თხარი, ცაცხვი ვარ-მეთქი... რომ შე-
მიხვიე, გამიყურდა. შენ რომ არა, დი-
დხანს არ დამიამდებოდა...

ამ დროს ჭოტივით დაიჭყვილა ჭინ-
კამ. გოგონა თვალსა და ხელშეა გაქრა.
გაქრა კი არა, ისევე ხეში შეიმალა. ბი-
ჭუნამ თვალეები დააფახულა და ცაცხვს
შეაშტერდა.

ისევ დაიჭყარტალა ჭინკამ, კენწეროს
წაავლო ხელი, გადასწია, გადასწია და...

— ვაიმე, არ გადატყდეს, — შემინ-
და ბიჭუნა, — ფერია... ა... ა...

— ჰა-ჰა-ჰა... ფერიაო! — ახარხარ-
და ჭინკა. — მოგეჩვენა, ზმანება იყო,
საპნის ბუშტივით ლამაზი ზმანება.

— ნუთუ? — სევდიანად ჩაილაპარა-
კა პატარამ და ყელყარყარა ცაცხვს
დაიჭვებით შეხედა. ყვავილები, აი ისე-
თი, კალთაში რომ ყვარა გოგონას, საწ-
თლებივით ანათებდნენ ზედ. ტოტები
მავდრებლის მკლავებივით გამოეშვი-
რა, თითქოს რაღაცას სთხოვსო. ფოთ-
ლები მოქვითინესავით ცაცხვებდნენ.

ჭიკარტა ჭინკას ბაგეზე ავი ღიმილი
შეუთამაშდა, ავაზისებური ნახტომით
მივარდა ფანჯარას და ზრიალით მი-
ხურა. მერე წვივლ-კვივლით მიეხალა
ხეს. ბასრი ბრჭყალები ჩაასვა, ფოცხი-
ვით მიუსვ-მოუსვა ნორჩ ტოტებზე.
ყვავილები მკვდარი პეპლებივით ჩამო-
ცვივდნენ.

— ჰა-ჰა-ჰა, ფერია?! — ქარს ააყო-
ლა ხარხარი და მიიმალა.

ბიჭუნამ გაბზარულ შუშას შეხედა
და გაოგნებული საწოლში ჩაწვა. ის
იყო, თვალეები უნდა დაეხუჭა, რომ ცა-
ცხვი შემრივდა და ისე, როგორც ზღა-
პრებში ხდება ხოლმე, ხიდან ისევე ფე-
რია გამოვიდა. ბიჭუნამ თვალეები და-
ხუჭა... მერე გაახილა...

გოგონას მწვანე თითები მოედო სარ-
კმელზე და გაუნძრევლად იდგა, მწყა-
ზარი, უზაკველი თვალეებით. მერე ისე,
თითქოს ფოთლები შრიალებენო, აღი-
დინდა...

გათენებისას, ბიჭუნამ თვალეები რომ
გახილა, — სიზმარი ვნახეო! — ხმამა-
ღლა შესძახა და მყისვე ყველაფერი
დაივიწყა.

ცაცხვმა მოიწყინა. მთელი დღე გა-
რინდული, გაშტერებული იდგა. ღამით
კი ვერა და ვერ დაიძინა, თითქოს ძილი
მოჰპარესო. განთიადს ისე დაელოდა,
როგორც გვალვაში ნანატრ წვიმის
წყვეთს... დილით, ბიჭუნამ კიბე რომ ჩა-
მოირბინა, ხემ ტოტები შეარხია და ბი-
ლიკზე ყვავილები დაუფინა. მას შემ-
დე, აივანზე გადმოდგარს დასიცხუ-
ლი შუბლის გასაგრილებლად ჩრდილ-
სა და ნიაფს უგზავნიდა ხოლმე, ეზო-
დან გამავალს თვალს გააყოლებდა,
ტოტებს შეარხევდა, თითქოს ხელეებს
უქნევსო და მის დაბრუნებამდე მოლო-
დინით ივსებოდა.

ჭინკა კი ქარის ფრთებზე შემომჯდა-

რიყო, მხიარულად დაშლივინებდა და
ხარხარებდა. მის ხარხარზე ცაცხვს,
თითქოს მათრახი გადაჰკრესო, გააკან-
კალებდა და სახეს არიდებდა. ჭინკა
წელზე მკლავს შემოხვევდა, მერე გა-
ანჩხლებული ხელს ჰკრავდა და მიწაზე
გასართხმელად იმეტებდა. ხე სწორდე-
ბოდა, აივნისაკენ გადაიხრებოდა, ტო-
ტებს მკლავებივით გაშლიდა და მწვა-
ნი თითებით სარკმელს მიელაცხებოდა.
ერთხელ, ფანჯარაზე თავმიდებულმა
ცაცხვმა უცებ ტკივილი იგრძნო — ვი-
ლაცამ დანა ჩამოუსვა ტანზე. თავი მი-
აბრუნა და ჰოი საკვირველებავ, მის წინ
ბიჭუნა იდგა!..

არა, ეს შეუძლებელია, ის ამას არ
ჩაიდენდა... მომეჩვენაო, — იფიქრა.

მერე ბიჭმა აყვავებული ტოტი ჩამო-
ამტვრია, ვითომ ცხენიაო, ზედ გადა-
ებოტა და „აჩუ-აჩუს“ ძახილით მიწაზე
გაათროკიალა. ცაცხვი შეტორტმანდა,
ბურუსივით შემოეხვია ფიქრი. წყენამ
ტკივილი სულ დაავიწყა. თვალეებზე
თითქოს ბინდი გადაეკრა. ვეღარ ხე-
დავდა მხეს, ბალახს, ყვავილებს; ვეღარ
გრძნობდა წვიმის სიგრილეს; ვეღარც

ჩიტუნებს ეფერებოდა. ნაფელჩამდევე
რი თვალეებით გახედავდა ღია სარკ-
მელს...

მეორე დღეს ბიჭუნამ სასხლავი გა-
მოიტანა, გამხმარი წკირები შეატრა
ხეს. ჩამოსლერილი ტოტები აუკრა, რე-
ზინის მილი მიუშვირა და წყლით გა-
ბანა. მერე ტანი კირით შეუთეთრა.

შუადღისას ბიჭუნამ ისევ მოიტანა
რეზინის მილი, კირი ჩამოურეცხა, სა-
ხვევები შემოაგლიჯა და ციქ-ციქით
ეზოდან გავიდა.

ცაცხვს ველარაფერი გაეგო, გაოგნე-
ბისაგან ფიქრი გაეყინა.

ნიაფს შეებრალა ხე და ზესაიდუმლო
გაანდო: ბიჭის ნიღაბი გაიკეთა ჭინ-
კამო, — ჩასჩურჩულა და წაფრიალდა.
გაკვირვებამ და სიხარულმა გამოაცო-
ცხლა ცაცხვი.

— მაგრამ რომელია ჭინკა და რო-
მელია ბიჭი?.. — ღამით, ყველას რომ
ეძინა, ღია ფანჯარაში გადაჰყო ხე-
ლი, ბიჭუნა მოძებნა და მწვანე თითები
თმაში შეუტყურა.

პატარამ თვალე გაახილა თუ არა, ხი-
დან გოგონა გამოვიდა... ბიჭუნას ახლა-



ლა გაახსენდა სიზმარში თუ ცხადში ნა-
ნახი ფერია. ფანჯარასთან მივიდა, ზმა-
ნება ხომ არ არისო, ხელი შეახსო, შე-
ათვალეირა... გოგონას იარებით ჰქონ-
და მკლავები დაფარული, სახეზე ნა-
კაწრები ზოლ-ზოლად ემჩნეოდა. კაბაც
დასჭმუჭნოდა. ცალ ფეხზე თეთრი ფა-



ჩუჩი გახდოდა. ბიჭი შემფოთდა. თმაზე ალერსით ჩამოუსვა ხელი და, ჰოი საკვირველებავ, — გოგონას იარები გაუქრა. ტურჩებსა და დაწვებზე ფერი აუთამაშდა.

— მამ, შენ, შენ არ ყოფილხარ?... ტოტებს ფურმე... — უცებ გოგონა გაილურსა და მერე ჩუმად, სიოსავით აჩურჩულდა:

— გესმის? ზანზალაკებს აწკრიალებენ შროშანები და მაჩიტები...

ბიჭმა მიაყურადა... მასაც შემოესმა... გაოცებისაგან პირი დაალო... იქ, ტყეში, ფერიები ხეებიდან გამოდიოდნენ, რომ ერთმანეთი მოენახლებინათ და ავდრისა და ჭინკებისაგან მიყენებული იარები ამბორით მოეშუშებინათ.

დილით, მზემ რომ გვირილასავით ამოყო თავი, ბიჭუნა აივანზე გადმოდგა და საპნის ბუშტები ჩამოაფრიალა... შეფრფინვით ჩააყოლა ამზიურებული თვალები...

— ჰა-ჰა-ჰა! — გაისმა სატანური ხარხარი და ქარივით მოვარდნილმა ჭიკარტა ჭინკამ წკიპურტი გაჰკრა სიფრიფანა ბუშტს. ბუშტი გაქრა...

— ეჰ! — თვალები დაენისლა პატარას და ცრემლი გადმოაგდო. ცაცხვმა მწვანე ფურცლები ხელისგულივით შეუშვირა, ტურჩებთან მიიტანა და ეამბორა.

— ბუჰ! — ამოისუნთქა სიხარული-საგან ცრემლმა და უცებ ფერად სიფრიფანა ბუშტად იქცა. ბიჭუნა აყიჟინდა, ხელში აიტაცა, გაღიმებული დააცქერდა და მერე ზეცაში აუშვა. ცაცხვის ხემ მკლავებივით გაშალა ტოტები და ისე შეირხა, თითქოს მასაც გაფრენა უნდაო.

სად იყო და სად არა, გრიგალივით მოვარდა ჭიკარტა ჭინკა და მზისაკენ აფრენილ ბუშტს ფრჩხილი გაჰკრა...

ბუშტი შეხტა... მერე ისევ, ტორთლასავით მალდა, მალდა აიჭრა.

ბიჭუნას თვალეში ჭიკაკონა დაენთო. ჭინკამ კი ისეთი წკმული გააბა, თითქოს თავში ქვა ჩაარტყესო. სიბრაზისაგან ფრჩხილები დაიკვნითა.

იმ ღამით, ყველას რომ ეძინა, აივანზე ზანზალაკები აწკრიალდნენ და ჯადოსნური ჩურჩული გაისმა:

— ხედავდი ცისარტყელას ფერებით ავსებულ ბუშტებს, გედის ბუმბულივით რომ მოფრიალებდნენ?..

— ჰო... ქრებოდნენ...

— ეს ჭინკა, ჭინკა გაჰკრავდა ხოლმე ფრჩხილებს...

— და ვტიროდი...

— ცრემლებს ვეამბორე და ფერად ბუშტებად იქცნენ. ხომ დაინახე, როგორ მიფრიალებდნენ სულ მალდა, მალდა მზისაკენ, ყაყაოსავით ბრდღვიალა გამჭვირვალე ბუშტები?



«ქიქვას ლიზნეკიან»...

მემორიალური მონუმენტი „კიდევაც დაიზრდებიან“ აღმართულია მარნეულის შესასკვლელთან, ცენტრალური გზატკეცილის პირას, ე. წ. ლომის ვორაკზე. მისი ავტორია უკვე კარგად ცნობილი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. სანამ მონუმენტს განვიხილავდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ბერძენიშვილის განვლილი შემოქმედებითი გზა. მერაბ ბერძენიშვილის პირველი საინტერესო ნამუშევარი, საზოგადოების ყურადღება რომ მიიქცია, იყო მისი საღიბლომო შრომა „შოთა რუსთაველი“, რომელიც 1955 წელს შექმნა. აქ კარგად გამოჩნდა მოქანდაკის პლასტიკური აზროვნება, სახის გახსნის გამომსახველობითი სტილი, საკუთარი ძლიერი ხელწერა. ამ ნამუშევრის შემდეგ მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებისადმი ყურადღება აღარ შენელებულა. მოქანდაკემ იმავე 1955 წელს ვენის ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე ნამუშევრისათვის „ქართველი ქალის პორტრეტი“ საპატიო დიპლომი დაიმსახურა. 1958 წელს მან შექმნა გრაფიკული ნამუშევრები და პლასტიკების სერია. ეს ნამუშევრები გამოფენილი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იმავე წელს ბერძენიშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება იხეიმა: ვახტანგ გორგასალის ძეგლის კონკურსში მისმა ნამუშევარმა მეორე პრემია დაიმსახურა.

ალბათ ყველას გინახავთ ი. ჭავჭავაძის გამზირზე პატარა სკვერში დიდი ქართული პოეტის დავით გურამიშვილის ქანდაკება, იგი მერაბ ბერძენიშვილმა 1959 წელს გამართულ კონკურსზე წარადგინა და გაიმარჯვა კიდევ. ქანდაკება 1965 წელს დაიდგა. მოქანდაკის ახალმა ნამუშევარმა გვიჩვენა, რომ შეგვეძინა ურთულესი პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტის უნარის მქონე მოქანდაკე. პოეტის სახის შინაგანი განწყობილება ისეთი ძალით იგრძნო და გადმოსცა მხატვარმა, რომ იგი მარტო მონუმენტური ქანდაკების პრინციპებით ვერ შემოიფარგლებოდა. მოქანდაკე აქ დაზგური და მონუმენტური ქანდაკების შეზავებით აღწევს ვასაოცარ პლასტიკურ და აზრობრივ გამომსახველობას.

შემდეგი პერიოდის ნამუშევრებისაგან აღსანიშნავია „მედვა“, რომელიც კურორტ ბიჭვინთაში დაიდგა. ეს არის ენერგიით აღსავსე, „ფართო მონასმებით“ შესრულებული, საოცრად მეტყველი და დინამიკური მონუმენტი, რომელიც განუსაზღვრელი სივრცის ფონზე ისე შეერწყო და შეეზარდა გარემოს, რომ მთელი კომპლექსის ცენტრი გახდა. აქ კვალიც არ დარჩა იმ ლირიკისაგან, რასაც დავით გურამიშვილთან ეხედავთ. ალბათ გიორგი სააკაძის მონუმენტიც გინახავთ, კასპში რომ დადგა მოქანდაკემ. სააკაძის ცხენიანი ფიგურა ერთ მასად არის შეკრული და მისი დაუოკებელი დინამიკა შესტად შეეგება მება ამ დიდი მოღვაწის პიროვნებას, მის მოუსვენარ ცხოვრებას. შემდეგ თბილისის ფილარმონიის შენობის წინ აღიმართა დიდი ფიგურა — „მუზა“, დეკორატიულ-მონუმენტური ქანდაკების ბრწყინვალე ნიმუში... აი უკანასკნელ წლებში შექმნილ ნამუშევართა არასრული სია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მერაბმა რამდენიმე წლის წინან შექმნა ლაოსის მეფის ქანდაკება, რომელიც ლაოსში დაიდგა.

და აი, ბოლოს, მოქანდაკემ კიდევ ერთი შესანიშნავი მონუმენტით გაგვახარა. „კიდევაც დაიზრდებიან“ შინმოუსკვლელთა საზრდებელი ძეგლია, აღმართულია საქართველოს იმ კუთხეში, საიდანაც უძველესი დროიდან მიდიოდნენ საომარ და თავს დაღებდნენ სამშობლოსათვის. ასე იყო ახლაც. დიდი სამამულო ომის დროსაც.

„კიდევაც დაიზრდებიან“ პირველი ქართული ძეგლია, რომელიც



იხსოვ თუ აკა უნეს კომოზიკა მხაჯას?

გასცდა ქალაქის ფარგლებს და „ტრიალ მინდორში“ დაიღობინა. ღვას გიგანტური მონუმენტი (ქალის 11-მეტრიანი ფიგურა) ცის ქვეშ, უსაზღვრო სივრცეში. სადღაც შორს, ჰორიზონტზე მკრთალად მოჩანს მთების სილუეტები, ქართლის ფერადოვანი და მიზნადილი სივრცე, ჰაერის ვეებერთელა მასა, განუსაზღვრელი მასშტაბით რომ აუფერულვებს ყველა საგანს. აი ასეთ რთულ გარემოში „ჩაისვა“ ეს კომპოზიციკა, თავისი დიდი დარღვითა და ნაღველით, სევდიითა და იმედით. იგი უნდა შეებრძოლოს ამ უკიდურეს სივრცეს, ბუნებას წაართვას სიდიადის ნაწილი და თავისი განწყობილებით შეიჭრას ადამიანის აზრსა და გონებაში. ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს ჰაერის ვეებერთელა მასა, გააწონასწოროს მისი ზემოქმედება, შეებრძოლოს გაშლილი ველუბის ფერადოვნებას და პლასტიკის ურთულესი და უძნელესი ვნით თქვას ის, რასაც თვით ბუნება ამბობს. უფრო მეტიც, აქტიურად იმოქმედოს ადამიანზე და იგი პასიური მჭკრეტელის როლიდან მოაზროვნის როლში ჩააყენოს. მერაბ ბერიძენიშვილი ყოველივე ამას მხატვრის უხილავი ალღოთი გრძნობს. ეს არ არის მარტო ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის ნაყოფი, ეს „ღვთით“ მომადლებული ნიჭია, ადამიანებს ესოდენ იშვიათად რომ ეძლევათ ხოლმე. მონუმენტი მართლაც უღიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სიხადით, ფორმათა სივრცეში „შერწყმის“ გრძნობით და სულიერი სიმშვიდით. სწორედ ასეთ დროს უჩნდება მხახველს სურვილი აქტიურად ჩაერიოს ძეგლის შეფასებაში. ხალხის გულში შესვლა, სულიერის გაცოცხლება, არაკონკრეტულისათვის კონკრეტული ფორმის მიცემა ურთულესი ამოცანაა. მოქანდაკემ ბრწყინვალედ გადაჭრა ეს საკითხი.

როგორც უკვე ითქვა, „კიდევაც დაიზრდებიან“ გასცდა ქალაქს და გაშლილ ველზე დაიდგა. მონუმენტი გზიდან საკმაო მანძილით არის დამორბეული, და მასთან მრავალსაფეხურიან კიბებს აყვავართ. მონუმენტი სამფიგურიანია, ბრინჯაოში ჩამოსხმული (სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ იგი საქართველოში ჩამოსხმა ასეთი დიდი ზომის ფიგურების ჩამოსხმა ძნელი საქმეა და ფრიად საგულისხმოა, რომ ჩვენში ათთვისეს იგი). კომპოზიციკაა: დედა და ორი ბიჭუნა ვეება ხმლით ხელში, მათ თითქოს უჭირთ ხმლის ზიდვა. ჩვენ მონუმენტის შინაარს არ ვყვებით, იგი პლასტიკური

*
გავშვებო, მოგვწვი-
რეთ საღ და როდის
დაიდგა ეს მონუმენტი.
ჰინ არის მისი ავტორი.

*
ფორმა, რომელსაც შესაფერისი შინაარსი აქვს და რომელიც ორი სიტყვით ასე გადმოიცემა. მონუმენტის კომპოზიციური ცენტრია მარნეულისაკენ მიმავალი გზა. ქალის ზეაწეული მოძრაობა კომპოზიკის ძირითადი ღერძია. ბერიძენიშვილმა აქაც გვაოცებს სინთეზურობით—დაზღურსა და მონუმენტურის შერწყმით. ქალის ფიგურა, ოღნავ მარჯვნივ შებრუნებული, საოკრად მშვიდი და შინაგანად დაძაბული დრამატიზმით ხაიათდება. ტანსაკმალს მოცულობიან დეტალებს ბავშვებისაკენ გაწვდილი ხელების მოძრაობას, მაყურებლის მხერა ქალის სახისაკენ მიჰყავს და სწორედ ქალის სახეა მონუმენტის ცენტრი; კედემამოსილი, ძლიერი, ნებისყოფიანი და ლირიკული. პლასტიკურად ძალზე მეტყველი დეტალებია: ბავშვების მუხლისთავები, ხმალს შემოტმასანილი ხელები, შუბლზე დაყრალი თმის კულულები. როგორი გაბედული, ღონიერი, თამამი უნდა იყოს პლასტიკა, რომ ამ უსაზღვრო სივრცეში არ ჩაკარგულიყო მხატვრულად გააზრებული და მონუმენტურ მთლიანობაში აღქმული ეს პატარა დეტალები! მონუმენტი განიცდის, იბრძვის. იგი ებრძვის სივრცეს, ჰაერს, გარემოს, მაგრამ მასთან ერთობაშია. თუ ფერმწერს ჰაერი სურათში შეჰყავს, საგნებს ჰაერის მასაში ახვევს და კომპოზიციკასთან ერთად მასაც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. მოქანდაკეს ეს არ შეუძლოა. მან რტუიკით,

ფანტაზიით უნდა ალოქვას გარემო. სახელოსნოში შექმნილი ფიგურა შემდეგ უნდა გაიტანოს ჰაერზე, ეს კი საოკრად ძნელია. აი აქ გამოჩნდება მოქანდაკის გარემოს გრძნობის უტყუარი ალღო, შიკი პლასტიკური ხედვის კიდევ ერთი დამატებითა ხედვას უნარი. ეს მერაბ ბერიძენიშვილის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა. მისი ფიგურა კალკე, ასე ვთქვათ, დამოუცილებელი არასდროს არ არის. იგი მუდამ „ზის“ ბუნებაში, ჰაერში. და როცა ფიგურა ზუსტია, ძლიერა, ბუნებრავია, იგი აღარ გაურბის საგნებს. რომლებთანაც მან ურთიერთობა უნდა დაამყაროს.

მონუმენტს ერთი, განსაკუთრებულად გამოკვეთილი ხედვის წერტილი არცა აქვს, იგი მეტ-ნაკლებად თანაბრად იკითხება ყოველი მხრიდან. ქანდაკებას მარჯვნიდან მსუბუქი, დახვეწილი, ძლიერი და კხადი სილუეტე აქვს. ხედვას წერტილის ოღნავ შეცვლა დიდ პლასტიკურ კვლილებას იწვევს და ეს მრავალფეროვნება მას მომხიბვლობას მატებს.

მონუმენტი უკვე კარგა ხანია დაიდგა. მან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმთავსურა. იგი მთელი გულით შეიყვარა ხალხმა.

ა. ჩხარბიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელოვნების რედაქციის განყოფილების გამგე.



კონკრეტი სახეობი... კავშირების ნაპროექტი

საქართველოს ნაკრძალებს შორის თავისი ბუნებრივი პირობების იშვიათობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაშლოვნის სახელმწიფო კომპლექსურ ნაკრძალს.

ვაშლოვნის ნაკრძალი დაარსდა 1935 წელს, 1951 წელს იგი გაუქმდა, მაგრამ 1957 წელს კვლავ აღდგა თავის იურიდიულ უფლებებში.

ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ზეგანზე მდებარეობს და ადმინისტრაციულად წითელწყაროს რაიონს ექვემდებარება. წითელწყაროდან სამხრეთაღმოსავლეთით ნაკრძალი 52 კილომეტრით არის დაშორებული. ეს გახლავთ საოცარი, შეიძლება ითქვას, ზღაპრული კუთხე.

შირაქ-ელდარის ველებისა და ნახევარუდაბნოებისათვის დამახასიათებელი ერთფეროვანი, მონოტონური ლანდშაფტების ფონზე ერთბაშად იშლება ზღვის დონიდან 70 მეტრი სიმაღლის ქვებისებურ თაზისზე ნაკრძალის თვალიწარმტაცია სანახაობანი. დასახლებული პუნქტებიდან სიშორემ და ძნელად მისასვლელმა გზამ განადგურებას გადაარჩინა და შეინახა ვაშლოვნის ნაკრძალის ტერიტორიის ეს ნათელი ტყე, რომლის მასივები აღმოსავლეთ საქართველოში, ერთ დროს, ფართოდ იყო წარმოდგენილი, მაგრამ დროთა განმავლობაში მტაცებლური ექსპლუატაციის გამო განადგურდა და ამჟამად მარტო ვაშლოვანში არის აქა-იქ შერჩენილი მცირე ფრაგმენტების სახით.

ვაშლოვნის ნაკრძალის არცთუ ისე დიდ ფართობზე დღემდე გამოვლენილია 550-მდე სახეობის მცენარე, რო-

მელთაგან 41 კავკასიის, ხოლო 5 საქართველოს ენდემია. ცხოველთა სამყაროდან ჯერჯერობით რეგისტრირებულია მწერების 10 ჯგუფი, ასევე ამფიბიებისა და ქვეწარმავლების 20, ფრინველების 60-მდე და ძუძუმწოვრების 17 სახეობა.

მთავარი კომპონენტი, რითაც პირველ რიგში ფასობს ვაშლოვნის ნაკრძალი, ეს სალსალაჯია. გარდა ძირითადი სახელწოდებისა, მცენარეს აქვს სინონიმებიც: საკმლისხე, კვეისხე, ფსტა. აკადემიკოსი ნ. კეცხოველი აღნიშნავს, რომ ვაშლოვნის საკმლისხის წითელი ტყე ერთ-ერთი და, შესაძლებელია, ერთადერთი ისეთი უნიკალური ნაკვეთთაგანია საბჭოთა კავშირში, სადაც სალსალაჯი ასე კარგად არის შენახული. ერთმანეთისაგან 15-20 მეტრით დაშორებული, ბურთისებური ვარჯის მქონე სალსალაჯები გარეგნულად ხელოვნურად გაშენებულ ვაშლის ბაღს მოგვაგონებს. ალბათ სწორედ აქედან წარმოდგება ხალხური წიალიდან წარმოშობილი ნაკრძალის მიდამოების ტოპონიმიკაც — ვაშლოვანი.

საღსალაჯი

საღსალაჯის ვარჯი იმდენად ძლიერად ვითარდება, რომ ხშირად თვით შტამბიც აღარ ჩანს. ოვალურ გუმბათად შეკრული, ერთმანეთში გადახლართული ტოტები მიწამდე გართხმული. ერთმა ჟურნალისტმა დიდებული საღსალაჯი ამერიკულ ვიკვამს შეადარა. და, მართლაც, ზოგიერთი ეგზემპლარი იმდენად გიგანტურია, რომ მის ქვეშ თავისუფლად მოთავსდებოდა ინდიელთა თითქმის მთელი ტომი.

საღსალაჯს არაერთი ძვირფასი თვისება აქვს, მისი მწიფე ყურძნის მტევნისებური ნაყოფი შეიცავს საკმაო რაოდენობით ცილასა და შაქარს. ნაყოფის დამწიფება აგვისტოში იწყება. მცენარეთა ერთ წყებას ნაყოფი შეფერილი აქვს ღია მწვანედ ან ყვითლად, სხვებს — ნარინჯისფრად, წითლად ან ვარდისფრად. ნაყოფით დახუნძლული 400-500-წლიანი პატრიარქები განსაკუთრებით შთამბეჭდავნი სწორედ წელიწადის ამ დროს არიან. ნაყოფმწიფობა ერთ თვეს გრძელდება. ნუგბარი საკვებით ამ დროს განცხრომას ეძლევიან გარეული ღორები, მაჩვები, ფრინველები და მღრღნელები, მწერები და თვით მტაცებლებიც — მგლები და მელიებიც კი.

საღსალაჯის ნაყოფს ყველაზე საინტერესოდ გარეული ღორები, განსაკუთრებით ტახები მოიპოვებენ. თუ ტოტები მიწამდე ჩამოწეული, მტკვნების

„თინარ ალანილაზში“ ბინაღროგან მბაცაბალი ფრინველები.

დაუფლება პრობლემა არ არის, მგლები ბოლოს და ბოლოს, ადვილად მოსწივონ ნაყოფი გამოილევა. და აი, სწორედ ამ დროს ახდენს თავის შესაძლებლობათა დემონსტრაციას ბებერი ტახი. ნადირი დგება უკანა ფეხებზე, წინა ფეხებით ეყრდნობა ხეს და ძლიერი, ხანჯლებით გაშიშვლებული ეშვებით ელვისებურად, ბალახის ღეროსავით მოცელავს მკლავის სიმსოფროებს. სალსალაჯის ღერო კი სიმაგრით ფოლადს თუ ჩამოუვარდება. ტოტები ცვივა და ტახიც თავის სტიქიაშია. ცოტა ხნის შემდეგ მძღარი გოლიათი ტოვებს ნასუფრალს, რომელსაც მდედრები და მოზარდები ამთავრებენ.

როგორც ითქვა, ხემცენარის მერქანი საოცრად მაგარი და მკვრივია. იმდენად, რომ საღსალაჯის ხის ნაჭერი წყალში ადვილად იძირება. მისი დაპობისას კი ნახაზი წკრიალებს.

ძნელია საღსალაჯის ნიადაგდამცავი ფუნქციების შეფასება. იზრდება იგი უნაყოფო, მაგრამ თაბაშირით მდიდარ ნიადაგზე. აღმოსავლეთ საქართველოს ამ ადგილებში ორი-სამი თვე ისე გაივლის, რომ ციდან წვიმის წვეთი არ დევცემა, მზე ისე გადაბუგავს მიწას, რომ გვალვისაგან დამსკდარ ნაპრალებში კაცს ფეხი ჩაუვარდება. საღსალაჯი კი, თითქოსდა არაფერი მომხდარაო, დგას არხეინად, გალადებულ-გადაფურჩქნული. ჭარბი მუქ-მწვანედ მოხასხასე მისი ფოთლები საოცრად ცოცხლად გამოიყურებიან. მათი შემყურე აბა ვინ დაიჯერებს, რომ ხეს თვეების განმავლობაში არ უნახავს წვიმისა თუ დილის ნამის თუნდაც ერთი წვეთი!

ამაყად განმარტოებულან ოთხას-ხუთასწლიანი გოლიათები. პირდაპირ





ვაშლიკონის ნაკრძალი. სალსალაჯის ნათელი ტყე.

დაუჯერებელია მათი გვალვაგამძლეობის უნარი. ვერც ერთი სხვა მცენარე ვერ უძლებს უკომპრომისო ნახევარწლიან ომს, რომელსაც მზე და გვალვა უცხადებენ აქაურობას. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სალსალაჯი ნიადაგიდან „სვამს“ დიდი რაოდენობის ტენს. სეზონში ერთი ხე საშუალოდ 15-20 ტონა წყალს მოიხმარს. უნებლიეთ იბადება კითხვა: ამ გაუდაბურებულ ადგილებში საიდან მოიპოვებს მცენარე ამდენ წყალს? ხელმისაწვდომი ტენის ძებნაში სალსალაჯის ფესვები მოდებული არიან 40-50 მეტრი რადიუსით, შესაბამისად, მათ ტყვეობაში ორი ათასი კუბური მეტრი გრუნტი იმყოფება. სწორედ ამიტომ „ცხოვრობენ“ სალსალაჯები ერთმანეთისაგან დაშორებით.

თავისი ძვირფასი თვისებების გამო სალსალაჯს არაერთი „პროფესია“ აქვს. შუა აზიის კვებით მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება მისი ნაყოფი. ამ ნაყოფისაგან დამზადებული ცხიმო (იგი შეიცავს ადვილადდნობადი ცხიმების სამოც პროცენტს) შეუცვლელია მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესებისას. ფისი იხმარება საუკეთესო ლაქების დასამზადებლად. ამ ბლანტი მასის უხვად შემცველობის გამო ეწოდა მცენარეს აგრეთვე კვიისხე. სალსალაჯისაგან ამზადებენ მდგრად საღებავს ხალიჩათწარმოებისათვის, მთრიმლავ ნივთიერებებსა და სამედიცინო პრეპარატებს. მაგარი ბექტერიისაგან აკეთებენ ათასგვარ საოჯახო საგანს, დიდი პერსპექტივა აქვს მას მშენებლობაშიც.

ყველა ამ ძვირფასი თვისების გამო თურქმენეთში, კოპეტდაღის მთის კალთებზე დაიწყეს ტურასული მეთოდით სალსალაჯის ხელოვნური რგვა-გამწეება. დღეს აქ ასობით ჰექტარზე ახარებენ არიდული ტყის საოცრებას — სალსალაჯს.

ღ ვ ი ა

წელიწადის რა დროსაც უნდა მოხვდეთ ნაკრძალის ტერიტორიაზე, ალიონი ერთნაირად გამაცოცხლებლად შეგხვდებათ. აღნიშნულის მიზეზი კი ღვიის სამი სხვადასხვა სახეობიდან გამოყოფილი სასიამოვნო სურნელია. ღვიიანი ვაშლოვანის ნაკრძალში საქმლის ხესთან ერთად ტყის მთელ მასივებს ქმნის.

ზაფხულის ერთფეროვან სიმწვანეში ვერც კი შეამჩნევთ, თუ რა მშვენიერი და დეკორატიულია ღვია. ზოგიერთები ბურთებად შეკრულან, სხვებს პირამიდის ფორმა მიუღიათ. მხოლოდ შემოდგომის მიწურულს, როდესაც ყველაფერი უფერულდება და მზერაც ველარაფურს იჭიდება, ადამიანის თვალი ეტანება და ისვენებს ღვიის მარადიულ სიმწვანეში.

მაგრამ საქმე მარტო სილამაზეში როდია. მთავარი ღვიის სასარგებლო თვისებებია. ღვიიანი — ეს ჯანმრთელობის ბუნებრივი ლაბორატორიაა. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ღვიის ერთი ჰექტარი დღე-ღამეში ოცდაათ კილოგრამამდე მფრინავ ორგანულ ნივთიერებებს — ფიტონციდებს გამოყოფს. ფიტონციდების აღნიშნული რაოდენობა კი საკმარისია დიდი ქალაქის ატმოსფეროს ბაქტერიებისაგან გასაწმენდად. საოცრად მდგრადია ღვიის კვიპაროსისებური არომატა.

ღვია სამკურნალო მცენარეა. მისი ნაყოფი უხსოვარი დროიდან გამოიყენება სახალხო მედიცინაში. კენკრისებური გირჩა პირველ წელიწადს მწვანება, მხოლოდ მეორე წელიწადს მწიფდება. მწიფე ნაყოფი სექტემბერში შავ ფერს იღებს, მოცისფრო ნაფიფქით. ნაყოფი უხვად შეიცავს ეთერზეთებს, ფისს, ვაშლის, ძმრისა და ჭინჭველმუყავეს, ასევე სხვა ნივთიერებებსაც. ღვიის ნაყოფი ფართოდ გამოიყენება სამკურნალოდ. მისით იკურნება: მალარია რევმატიზმი, ნერვული სისტემის მოშლილობანი... განმკურნებელია ნაყენები ექსტრაქტები, ფხვნილები.

საინტერესოა ისიც, რომ გირჩები იმდენსავე შაქარს შეიცავენ, რამდენსაც ყურძენი — 42 პროცენტს. ღვიის შაქარი — ფრუქტოზა — ერთნახევარჯერ ტკბილია შაქრის ჭარხალისაგან დამზადებულ შაქარზე. ზოგიერთ ადგილებში მას წარმატებით იყენებენ მეღვინეობაში. ღვიის შტამბისაგან დამზადებულ ჭურჭელში ძალიან დიდხანს ინახება რძე.

სიცოცხლის ხანგრძლივობით ღვია სალსალაჯს არ ჩამოუვარდება. არცთუ იშვიათად შეხვდებით სამას-ხუთას-

წლიან მცენარეებს, ზოგიერთი გიგანტი ღვია კი უფრო ხნიერიც არის.

ღვია ნაკრძალს მარტო სილამაზეს როდი მატებს. ნოემბრიდან მოყოლებული მთელი ზამთრის განმავლობაში „ქიფობენ“ მისი ნაყოფით კაკბები, ჩხიკვები, კაჭკაჭები, ბუები, ზარნაშოები, შაშვები და ჩხართვები. გირჩა ნადირთა ზამთრის დიეტაც არის, მისით იკვებებიან ღორები, დათვები, მეღიები, მგლები.

ნაკრძალის ტერიტორიაზე მობიძინე იშვიათ მცენარეებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პანტიშარას ხეობის განშტოებაში — დათვის ხეეში მოზარდი თურანულას კორომი. თურანულას, ჩვენებური ვერხვების ამ ახლო ნათესავის, ყველაზე დიდი ღირსება მისი არქაულობა გახლავთ. იგი შესამეული პერიოდის რელიქტია — ე. ი. მილიონი წლების ისტორია აქვს და, გარდა სილამაზისა და მაღალი დეკორატიული ეფექტისა, ერთი თავისებურებითაც ხასიათდება — ერთსა და იმავე ხეს სხვადასხვა ფორმის ფოთლები აქვს. თურანულა კავკასიაში იშვიათი მცენარეა, როგორც ძველი ფლორის ნაშთი, მეცნიერების დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ლამაზად მოყვავილე ჟასმინს, უძრახელასა და თრიმლს, გარდა ესთეტიკური ღირებულებისა, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვთ, კერძოდ, დიდია მათი როლი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავისებური რელიეფისა და ნიადაგური პირობების გამო, ეროზია ნათელი ტყეების № 1 მტერია. რელიეფის თავისებურებაზე რომ ვლაპარაკობთ, აქ პირველ რიგში ე. წ. ბედლენდის ტიპის რელიეფი გვაქვს მხედველობაში. ეს არის ერთმანეთში უსწორმასწოროდ გა-

ნლაგებული, მცენარეულობით ღარიბი და უდაბური, თიხნარი, დარეცვილი ბორცვები. კიდევ უფრო შიშველია და თავისებური ზოგიერთ გორაკთა სამხრეთი ექსპოზიციები. ამ ფრიალო ფერდობებს „ალესილებს“ უწოდებენ და მათზე მხოლოდ ცოცხა მცენარეები თუ იკიდებენ ფეხს. ბედლენდის ტიპის რელიეფის დამაგრებაში უდიდესი როლი მიუძღვით ზემოხსენებულ ბუჩქოვანებს. თუ არა ისინი, აქაურობას თვალის დასამხამებაში გადარეცხავდა არიდული ზონის ჰავისათვის დამახასიათებელი ღვარცოფა წვიმები. ამ დროს გაუდაბურებულ ხეობებს ქვა-ქვიშა-ლამნარევი მღვრიე წყლის გაგიჟებული სტიქიონი ღვთის რისხვად ევლინება ხოლმე. მაგრამ ბუნება ყოვლისშემძლეა და საკვირველებათა დაუმრეკელი წყარო. გვანცვიფრებს, ეკლით შემოსილი, ჯუჯა ერთფეროვანი მცენარეების გვერდით ამ ურთულეს ბუნებრივ პირობებში რამ გაზარდა ზამბახი, უკადრისა, ტიტა, ჯადარი... მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა განაპირობა მათი სიცოცხლის ეფემერულობა — ისინი სულ ორიოდე კვირას თუ ხედავენ მზის სხივებს, შემდეგ კი იკარგებიან.

სამი სახეობის ზამბახიდან ქართული ზამბახი საყვავილე ღეროს სიმალლით, ყვავილის საკმაოდ დიდი ზომითა და ფერთა გამით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. გარუჯულ ნიადაგზე ალისფრად მოყვავილე აქაურ ტიტას ფერის სიკაშკაშით ახლოსაც ვერ მიუვლენ საყვავილე მალაზიებსა და ბალ-პარკებში თავმოწონედ გამოფენილი კულტურული თანამოგვარენი. სამწუხაროა, რომ დეკორატიულ ხელოვნებაში დღემდე ვერ პოვეს ამ მცენარეებმა სათანადო ადგილი.

პანტიშარას ხეობა სპეციალისტებსა თუ ბუნების მოყვარულებს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებს. აქ, ამ ერთფეროვან, გაავარდებულ ნახევარუდაბნოთი გარშემორტყმულ ხეობაში აუარებელ ბროწეულთან ერთად ხარობს გარეული ვაზი, ლევი, ბალი.

ვაშლოვნის ნაკრძალის მრავალფეროვან ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული ცხოველთა სამყაროს სიმდიდრე და, რიგ შემთხვევაში, იშვიათობაც. წლების მანძილზე არაერთი სპეციალისტი ჩამოსულა სტუმრად, როგორც რესპუბლიკიდან, ისე მის ფარგლებგარედან.

აქ ბინადრობენ იშვიათი ცხოველები, რომელთა ცხოვრების ნირზე და ბუნებაში მათ როლზე ჯერჯერობით ფრიად ღარიბი ცნობები გვაქვს. ავილოთ მაგალითისათვის ნაკრძალის ტერიტორიაზე მცხოვრები ისეთი მრისხანე ქვეწარმავალი, როგორიც არის გიურზა. შიშის ან ზიზლის ინსტინქტით შეპყრობილი

ადამიანები მუსრს ავლებენ მას; გიურზას შხამი კი მედიცინაში ახლა ოქროზე ძვირად ფასობს. შესაბამისად მისი დაცვა და მომრავლება ახლა სახელმწიფოებრივი საქმეა. სპეციალისტებმა, პრაქტიკოსებმა დაადგინეს — ისევე, როგორც ყველა სხვა ცხოველი, გიურზაც გაურბის ადამიანს. ვაშლოვნის ნაკრძალის არსებობის საკმაო ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ქვეწარმავლის მიზეზით უბედური შემთხვევის არც ერთი შემთხვევა. ვაშლოვანი კი გიურზას ყველაზე მასობრივი გავრცელების ადგილია მთელ საქართველოში.

პანტიშარას ხეობის ალესილების გარკვეულ უბანზე მნახველთა ყურადღება არ შეიძლება არ მიიპყროს მერცხალთა დიდმა რაოდენობამ. მათი დასახლება აქ იმდენად ხშირია, რომ მგზავრებს ეს ადგილი „მერცხლის ქალაქად“ მოუნათლავთ. შემოდგომით ფრიალო კლდეზე მერცხლის ბუდეებს კლდის ბედურები ეუფლებიან. გაზაფხულზე ბინის კანონიერ მეპატრონეებსა და სტუმრებს შორის უკომპრომისო ბრძოლა იმართება, რომელიც მერცხლების სასარგებლოდ მთავრდება. ყუმურის ხეობის თიხნარ ალესილებში მოლულუნე გარეული მტრედები დაბუდებულან. ფრინველთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კაკაბი, რომელიც ნაკრძალში მრავლად ბუდობს. კრუხობის დროს ამ ძვირფასი ქათმისნაირის კაკანს შინაურისაგან ვერაფრით განასხვავებ. ერთ-ერთ ბუდეში ჩვენ კაკბის 21 კვერცხი დავთვალეთ. ერთი კრუხისათ-



ველურად მოზარდი ტიტა სიცოცხლეს მატებს ნაკრძალს.

ვის ეს ციფრი სარეკორდოა. მტაცებელი ფრინველებიდან ნაკრძალის მთავალ ადგილებში ბუდობენ დედინიშნის მქონეები — ორბი და სვავი. ისინი ბუნების ნამდვილი სანიტრები არიან. ლეში-ჭამიების მახვილ, ტელესკოპურ მხედველობას არ გამოეპარება ყველაზე მივარდნილ ხეობაში მკვდარი ან მიხრწნილი ცხოველი. ყოველგვარი ინფექციისადმი თვითონ საოცრად გამძლენი, ისინი ლეშს არ აძლევენ საშუალებას გაავრცელოს ეპიდემიები. ნაკრძალში ბევრია მიმინო, გვხვდება არწივი, ფასკუნჯი.

ძუძუმწოვრებიდან ვაშლოვანში ცხოვრობენ მელები, ტყის კატები, ფოცხვერები, მაჩვიები და სხვები. ყველაზე დიდი ზომის ბინადარია დათვი, ყვლაზე აგრესიული კი — მგელი. ნაკრძალში მგლების რაოდენობა ბოლო დროს ერთობ შემცირდა. მათი ძირითადი ნაწილი მიგრაციას ეწევა შირაქის ცხვართან ერთად.

თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით, მაგრამ ნაკრძალში დღემდე შერჩა ზოლებიანი აფთარი. აქაური ალესილები და კლდეთა ნაპრალები შესანიშნავი თავშესაფარია ამიერკავკასიაში ამ გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველისათვის. ლეშიჭამია ფრინველების მსგავსად, აფთარი ბუნების თავისებური მესაფლავია, რომელიც ასრულებს ყველაზე „შავ სამუშაოს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფთარის გადაშენება ბუნებრივ პირობებში სრულებით არ არის სასურველი.

ჩლიქოსანი ცხოველებისაგან ვაშლოვანში ყურადღებას იპყრობს გარეული ღორი. იგი დიდი რაოდენობით იყრის თავს აქ შემოდგომაზე, როდესაც საკმლისა და ღვინის ნაყოფები სრულ სიმწიფეში შედიან. არის აზრი, რომ გარეული ღორები წელიწადის უმეტეს დროს ნაკრძალის გარეთ, ივრის საზაპირობებზე ატარებენ;

ამგვარად ვაშლოვნის ნაკრძალს ბუნებრივი პირობების სიმდიდრისა და, რაც მთავარია, ორიგინალურობის გამო, ძალიან დიდი ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქციები აქვს. სამწუხაროდ, მას რესპუბლიკის მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტი თუ იცნობს, მით უმეტეს მოსწავლე ახალგაზრდობა. ჩვენი ღრმა რწმენით აქ მოწყობილი ორგანიზებული ექსკურსია-მეცადინეობები მოზარდებს მეტად საჭირო ცოდნას მისცემდა ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, გეოგრაფიაში, ნიადაგმცოდნეობასა და მიწურალოგიაში. გააცნობდა ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის ამ უაღრესად თავისებურ კუთხეს.

არნოლდ ბეჰეჰაჰორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



საქართველოს მათემატიკის კლუბი

ჩვენი 2+2?

— აბა, თუ მეტყვი, რას უდრის $2+2$? — ვკითხვ ერთხელ ჩემს მეგობარს ნათია რუხაძეს.

— რა უცნაური ხარ, თამუნია! განა ეგ საკითხავია? შენმა პირველკლასელმა ძმამაც კი იცის, რომ $2+2=4$.

— გეთანხმები. გიორგი მართლაც დარწმუნებულია, რომ $2+2$ მხოლოდ და მხოლოდ 4-ს უდრის. ისე, არც მე მეპარება ეჭვი ამაში, მაგრამ... მაინც უნდა გითხრა, რომ შეიძლება სწორი იყოს ასეთი ტოლობაც $2+2=10$ ან $2+2=11$.

— არა, ვერ დავიჯერებ, რომ $2+2=10$ ან $2+2=11$ ტოლობებით დასტოვდება ჩვენი მათემატიკა.

— ჩემო ნათია, მეც ასე მეგონა, სანამ ყველაფერში დაწვრილებით გავფიქვინებდი. ახლა კი სულ სხვა აზრისა ვარ. საქმე ის არის, რომ გუშინ კახასთან ვიყავი, კახამ კი, როგორც მოგახსენება, ძალიან კარგად იცის მათემატიკა — სულ ხუთეტი ჰქონდა სკოლაში, ახლაც უნივერსიტეტში ფრიალებს იღებს. ჰოდა, ვკითხე: კახა, მართალია, რომ $2+2=10$ ტოლობა შეიძლება სწორი იყოს-მეთქი? მართალია, მიპასუხა და ყველაფერი ამიხსნა. ახლა მე ვიცი, რომ ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური ტოლობები, როგორც არის, მაგალითად, $2+2=10$, $7+8=16$, $3+9=14$ და ბევრი კიდევ სხვა შეიძლება სწორი იყოს.

— და შეგიძლია ეს დაასაბუთო? — მაინც უნდობლად მკითხა ნათიამ.

— რატომაც არა! მომიამინე და მე ყველაფერს ავიხსნი.

— სიამოვნებით. გისმენ!

— მაშ ასე, ავიღოთ რაიმე რიცხვი, მაგალითად, 18. რას ნიშნავს ეს ჩანაწერი? ცხადია, იგი ნიშნავს, რომ ამ რიცხვში 1 ათეულია და 8 ერთეული. ესე იგი, 18 ეს არის $1 \cdot 10 + 8 \cdot 1$ ჯამი. ასევე, 352 არის $3 \cdot 100 + 5 \cdot 10 + 2$ ჯამი.

— ეგ მე ძალიან კარგად ვიცი. სხვათა შორის, მათემატიკის მასწავლებელმა ისიც კი გვითხრა, რომ 100 შეიძლება ასეც ჩაწეროთ: 10^2 — „ათი კვადრატში“. მაშინ ის ჯამი, რომელიც შენ დაწერე, შემდეგ სახეს მიიღებს: $3 \cdot 10^2 + 5 \cdot 10 + 2$.

— სწორია! 10-ის ნაცვლად შეიძლება 10^1 — „ათი პირველ ხარისხში“ დავწეროთ, 1-ის ნაცვლად კი — „ათი ნულ ხარისხში“. საერთოდ, მიღებული ყოფილა შეთანხმება: ნულისაგან განსხვავებული ნებისმიერი რიცხვი ნულ ხარისხში ერთის ტოლია. მაგალითად, $10^0=1$, $2^0=1$, $15^0=1$ და ა. შ. რაც შეეხება რიცხვის პირველ ხარისხს, იგი თვით რიცხვის ტოლია: $10^1=10$, $2^1=2$, $15^1=15$... აი, თუ ამას გავითვალისწინებთ, 352 -სათვის ასეთი ტოლობა გვექნება: $352=3 \cdot 10^2 + 5 \cdot 10^1 + 2 \cdot 10^0$, შეხედე, ტოლობის მარჯვენა ნაწილში 3, 5 და 2 მსხვილად დავწერე — ეს ხომ 352 -ის ციფრებია!

— მოდო, 352 -იც მსხვილი ციფრებით ჩაწეროთ, უფრო ნათელი იქნება, — თქვა ნათიამ და დაწერა:

$$352 = 3 \cdot 10^2 + 5 \cdot 10^1 + 2 \cdot 10^0$$

— ეს მართლაც კარგად მოიფიქრე, ყველაფერი შესანიშნავად ჩანს — მარცხნივ 352 , მარჯვნივ იგივე ციფრები, ოღონდ მათი დახმარებით უკვე ჯამია ჩაწერილი ავიღოთ კიდევ სხვა რიცხვები. მაგალითად, 1977 ან 222669. როგორ დაწერ?

ნათიამ თითქმის დაუფიქრებლად დაწერა:

$$1977 = 1 \cdot 10^3 + 9 \cdot 10^2 + 7 \cdot 10^1 + 7 \cdot 10^0, \\ 222669 = 2 \cdot 10^5 + 2 \cdot 10^4 + 2 \cdot 10^3 + 6 \cdot 10^2 + 6 \cdot 10^1 + 9 \cdot 10^0.$$

— გამოდის, რომ ყველა რიცხვი შეიძლება ასეთი ჯამის სახით წარმოვადგინოთ... — თქვა ნათიამ, — წერას რომ მოარჩა.

— დაბა! და ეს ყოფილა თურმე მთავარი. რადგან ნებისმიერი რიცხვი ასეთი ჯამის სახით წარმოდგება, ამიტომ შესაძლებელია რიცხვები, ძალიან დიდიც კი, სულ ათი ციფრის, — 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 დახმარებით ჩაწეროთ. ასეთი ჩაწერისას ათს გან-

საკუთრებული როლი ენიჭება, ამიტომ რიცხვების ჩაწერის ამ წესს ანუ სისტემას ათობითი სისტემა ჰქვია, თვით ათს კი — სისტემის ფუძე. ამრიგად, რიცხვების ჩაწერისას ჩვენ თვლის ათობითი სისტემით ვსარგებლობთ. ამ სისტემის ფუძე, როგორც ვთქვი, არის ათი.

— არ შეიძლება ათის ნაცვლად სხვა რიცხვი ავიღოთ ფუძედ?

— თურმე შეიძლება და ამიტომაც გეუბნებოდი, რომ იქნება $2+2=10$ ან $2+2=11$ ტოლობა იყოს ჭეშმარიტი და არა $2+2=4$.

— თითქოს რაღაცას ვხვდები, მაგრამ...

— ნუ გეშინია, ყველაფერი ძალიან მარტივია! ვთქვათ, ათობითი სისტემა კი არა გვაქვს, არამედ ოთხობითი. ეს ნიშნავს, რომ რიცხვს ერთეულებისაგან, ასეულებისაგან და ა. შ. შედგენილად კი არ წარმოვიდგენთ, არამედ ერთეულებისაგან, ოთხეულებისაგან, თექვსმეტეულებისაგან და ა. შ.

— რატომ თექვსმეტეულებისაგან?

— იმიტომ, რომ $4^2=16$. შემდეგი თანრიგი კი $13^3=48$ იქნება, ე. წ. თრმოცდარვეული...

— გასაგებია, გასაგებია. თუ სისტემის ფუძე ხუთია, მაშინ თვლა უნდა ვაწარმოოთ ერთეულებით, ხუთეულებით, ოცდახუთეულებით, ასოცდახუთეულებით და ა. შ.

— მართალი ხარ, როგორც ხედავ, დასაწყისში ცოტა უცნაურად გვეჩვენება, თორემ ისე ყველაფერი ბუნებრივია. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ოთხობით სისტემას. რამდენი ციფრი იქნება საჭირო ამ სისტემაში რიცხვების ჩასაწერად? ალბათ მიხვდები, რომ საკმარისია ოთხი ციფრი—0, 1, 2, 3. შემდეგი ციფრი, ე. ი. 4 საჭირო აღარ არის — ეს ხომ სისტემის ფუძეა და იგი 10-ის სახით ჩაიწერება. საოცარია თითქოს, მაგრამ დაუკვირდი, რას გვიჩვენებს ეს ჩანაწერი: პირველი ციფრი—1 გვიჩვენებს, რომ ამ რიცხვში 1 ოთხეულია, მეორე ციფრი კი, ე. ი. 0, გვიჩვენებს, რომ ამ რიცხვში ერთეულები არა გვაქვს. აბა, ვნახოთ, როგორ ჩაიწერება ამ სისტემაში 7. რადგან $7=1 \cdot 4^1 + 3 \cdot 4^0$, ამიტომ, ცხადია, რომ შვიდი ოთხობით სისტემაში იქნება 13 — ერთი ოთხეული და სამი ერთეული. ასევე, რადგან ოთხმეტეში სამი ოთხეულია და ორი ერთეული, ამიტომ ეს რიცხვი 32-ის სახით ჩაიწერება. თექვსმეტი ამ სისტემაში 100 იქნება, ჩვიდმეტი—101, ოცდაორი—112, ოცდაათი—132 და ა. შ.

— მიხვდები! ეს იმიტომ, რომ $16=1 \cdot 4^2 + 0 \cdot 4^1 + 0 \cdot 4^0$, $17=1 \cdot 4^2 +$



$0.4^1 + 1.4^0, 22 = 1.4^2 + 1.4^1 + 2.4^0, 30 = 1.4^2 + 3.4^1 + 2.4^0.$

— სწორია. ხომ ხედავ, სულ ადვილი ყოფილა ყველაფერი... ახლა შენთვის, რა თქმა უნდა, გასაგებია რომ ოთხობით სისტემაში $2+2=10$. ასევე, რადგან სამობით სისტემაში სამეულებით ვითვლით, ოთხში კი ერთი სამეული და ერთი ერთეულია, ამიტომ ამ სისტემაში $2+2=11$.

— მართლაც, ძალიან საინტერესოა! აბა, ახლა მე ჩაწერ რომეღსა-მე რიცხვს, მაგალითად... ექვსობით სისტემაში. რა რიცხვი ავიღოთ? ავიღოთ...

— ბოდიშს ვიხდი, სიტყვა უნდა შევამწყვეტინო. იცი, კახამ მითხრა, თუ ერთდროულად სხვადასხვა სისტემაში უხდებათ რიცხვების ჩაწერა, რიცხვს ქვევით ნიშნაკად სისტემის ფუძეს მიუწერენო. მაგალითად:

7_{10} — „შვიდი ათობითი“, 12_7 — „თორმეტი შვიდობითი“, 203_6 — „ორას სამი ექვსობითი“ და სხვა. ან კიდევ:

$2_{10} + 2_{10} = 4_{10}$,
 $2_4 + 2_4 = 10_4$, $2_3 + 2_3 = 16_3$.

როგორც ხედავ, ეს მართლაც მოსახერხებელია. მოდი, ჩვენც ასე ვწეროთ. ახლა კი ჩაწერე რაიმე რიცხვი ექვსობით სისტემაში.

— კარგი, ავიღოთ 50 , ე. ი. 5_{10} . ექვსობით სისტემაში ამ რიცხვის

თანრიგებში იქნება ერთეულები, ექვსეულები და ოცდაათეულები. მეტი თანრიგი — უფრო მაღალი, აღარ იქნება, რადგან $6^3 = 216 > 50$. ამრიგად, უნდა გვქონდეს:

$50_{10} = a \cdot 6^2 + b \cdot 6^1 + c \cdot 6^0,$

სადაც a, b და c რაღაც რიცხვებია 0 -დან 6 -მდე. ცხადია, რომ $a=1$, რადგან 36 მოცემულ რიცხვში მხოლოდ ერთხელ მოთავსდება. ნაშთში 14 დაგვრჩება. მასში 6 ორჯერ მოთავსდება ე. ი. $b=2$. დარჩება კიდევ 2 — ეს ერთეულების რაოდენობაა. მაშასადამე, $c=2$. საბოლოოდ, $50 = 122_6$, ხომ სწორია?

— მგონი სწორია, მაგრამ შემოწმებაც არ არის ძნელი:
 $122_6 = 1 \cdot 6^2 + 2 \cdot 6^1 + 2 \cdot 6^0 = 1, 36 + 2 \cdot 6 + 2 = 50_{10}.$

ყველაფერი სწორი ყოფილა. ახლა შენ შეამოწმე, სწორია თუ არა შემდეგი ტოლობა:

$10101_2 : 111_2 = 11_2.$

ნათია დაფიქრდა.
— როგორ შევამოწმო, როცა ორობით სისტემაში რიცხვების გაყოფა არ ვიცი?

— ეგ არაფერია. ეს რიცხვები ათობით სისტემაში გადაიყვანე და თუ...

— მიეხვდი! — გამაწყვეტინა გახარებულმა ნათიამ, — თუ გადაყვანის შემდეგ სწორ ტოლობას მივიღებ.

მაშინ მოცემულიც სწორია. ახლავე შევამოწმებ. გვაქვს:

$10101_2 = 1 \cdot 2^4 + 0 \cdot 2^3 + 1 \cdot 2^2 + 0 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0 = 16 + 4 + 1 = 21_{10};$

$111_2 = 1 \cdot 2^2 + 1 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0 = 4 + 2 + 1 = 7;$

$10101_2 : 111_2 = 11_2$ ტოლობა იგივეა, რაც $21_{10} : 7_{10} = 3_{10}.$

ტოლობა, უკანასკნელი სწორია, მაშასადამე, მოცემულიც სწორია.

— მართალი ხარ. იცი, ორობითი სისტემა ძალიან საინტერესო ყოფილა. ჯერ ერთი, მასში, როგორც ხედავ, სულ ორი ციფრია — 0 და 1 . მეორეც, ძალიან ადვილია ორობით სისტემაში ჩაწერილი რიცხვების შეკრება და განსაკუთრებით გამრავლება. კახამ მითხრა, ორობით სისტემაში გამრავლების ცხრილი არც კი არისო — საქმარისია ვიციოდეთ, რომ ნულზე გამრავლება ისევე ნულს გავძლევს, ერთზე გამრავლება კი რიცხვს არ ცვლისო.

— რა საინტერესო რაღაც ყოფილა! სთხოვე, რა, კახას, მოგიყვას ამის შესახებ.

— მე უკვე ვთხოვე. ამ დღეებში უნდა მივიღე კიდევ მასთან. თუ გინდა, შეგატყობინებ და შენც წამოდი.

— როგორ არ მიინდა, აუცილებლად წამოვალ — სინარულით თქვა ნათიამ.

თაშუნი ლეხაძე.

საკითხავი

6. გველბაძე — უცნობი ბიჭის დღიური (მოთხრობა)... გარეკ. 1 გვ.	ს. მარშანი — ორი მეზობლის ამბავი (თარგმანი ვ. ყუბუხიძისა) 22
6. გვასალია — ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ (ნარკვევი) 6	ზ. კოპანი — გავუფრთხილდეთ მხედველობას (წერილი) . . . 23
ს. რახვიაშვილი — ნიკოლოზ (ნიკო) ბეშიძე... (წერილი) . . . 9	ბ. ტოგონიძე — ბიჭი, ფერია და ჭინკა (მოთხრობა) 24
ი. მამულაძე — გეტყვით (ლექსი) 11	ბ. ჩხარტიშვილი — „კიდევაც დაიზრდება“ (წერილი) . . . 26
შ. ხოლანაძე — ზაფხული (ლექსი) 11	ბ. გვამყორი — აფრიკული სავანები... ვაშლივინის ნაკრძალში (წერილი) 28
ზ. ნეოზის ანბანი 12	მ. ლეშაძე — რას უდრის 2+2? (წერილი) 31
6. შამანაძე — ბრიყვი დათვი, ასანთის ღერი (ლექსები) . . . 13	გამოგადგები გარეკ. 8 გვ.
6. აფხაზაძე — მკაცრი სამხილი (ფანტასტიკური მოთხრობა) 14	ცხრაკლიტული გარეკ. 8 გვ.
„ბი სი“ 21	

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ირემ სანაძისა. მეოთხე გვერდზე მხატვრობა ჯავახიშვილის ნახატი „გორის მიღამოები“.



საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო გვამყორი, ზურაბ ლეშაძე (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიონ ფრანკო (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შაფრიანი, ლევან ჩიქვანი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივანის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01


საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 22/IV-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-77 წ. ქალაქის ფორმატი 60x90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 1445 ტირ. 146.000. უფ. 085-3.

ფასი 20 კაპიკი


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



რთის კამერა ან სათბურა მოათავსე. წყალი იოლად გათბება და სითბოს აკვარიუმს გადასცემს.





მარცვლით ტომრის გავსება გაგიადვილდება, თუ ტომრის ყელს უძირო ყუთზე ჩამოაცვამ.




დაფასთან ცარციით ხელები არ დაგეთხვრება, თუ ცარცს ცალ მხარეს საკანცელარიო წებოს წასცხებ.




გრამფირფიტებისა და მაგნიტოფონის კასეტების დასაწყობად ძალზე მოსახერხებელია ორგანული მინისაგან გაკეთებული ასეთი სადგარისები.




ხელი მელნით არ მოგესვრება, თუ მელნის ამოღების წინ სამელნეს ასეთ საფარს გაუკეთებ.





თუ გინდა იოლად შეადულო წვრილწვრილი დეტალები, გამადიდებელი შუშა მოარგე.



თაროზე წიგნები არ დაცურდება, თუ თაროს ზედაპირზე პოროლონის (ან ლეიკოპლასტის) ორ წვრილ ზოლს დააკრავ.




სქელი ქაღალდისაგან გამოჭერი ასეთი ტრაფარეტი, შემდეგ დაკეცი, გინდა მაგიდაზე დადე, გინდა კედელზე მიამაგრე და ფანქრებისა და ავტოკალმების ჩასაწყობად იხმარე.



აკვარიუმში წყალი შეგიძლია ასედაც გაათბო: აკვარიუმსა და ცენტრალური გათბობის მილს შორის წყლით სავსე ბუ-

კ რ მ ს მ რ ი



- შეშუღალ: 1. ჭილღო ანუ?; 2. სოფელი ქართლში; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. ზომის ერთეული ძველად საქართველოში; 7. ვინაიხის ნაწარმოები; 8. მათემატიკის საგანი; 9. ფრანგი მწერალი; 13. მუსიკალური ნაწარმოები; 15. მთა თურქეთში; 17. კამფეტი; 18. მეფის თანხლები ჯარი; 21. ყველაზე პატარა ჩიტი; 22. გამოჩენილი ფიზიკოსი; 23. მთა აზიაში; 27. იუმორისტული ჟურნალი; 28. პიონერთა ბანაკი ყირიმში; 30. ბოსტნეული; 31. ძველი თბილისის უბანი.
- თარაზუღალ: 5. უნგრული ფულის ერთეული; 6. სისხლძარღვი; 10. მუსიკალური საკრავი; 11. მგალობელი ფრინველი; 12. ყვავილი; 14. თევზი; 16. შინაური ფრინველი;

18. კონტინენტი; 19. ბოსტნეული მცენარე; 20. ვულკანის ქედი; 24. ქალაქი სსრკ-ში; 25. სახელმწიფო ევროპაში; 26. პლანეტა; 29. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; 32. საქართველოს მეფე; 33. ინგლისელი მწერალი; 34. სამხრეთ ამერიკის მტაცებელი ცხოველი; 35. თევზის რიში.
- მბაბ და მბა კორძაძეები, თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, V კლასი.
- პასუხი
№ 4-ში მოთავსებულ „ცხრბალიტულეა“ გამოსცანები
ვაზი; ზღვა და მდინარე; მიმოზა; შადრევანა; ძილი; კვირის დღეები; მდინარე.
შარბაღა
გლობუსი.

ИНДЕКС 76157

671/100

ეროვნული
ბიბლიოთეკა

